

საქართველოს
საინჰინერო
სიახლეები

სსს

3'21

GEORGIAN
ENGINEERING
NEWS

GEN

ISSN 1512-0287

საქართველოს
საინჰინირო
სიახლეები

GEORGIAN
ENGINEERING
NEWS

N3, vol. 94, 2021

საქართველოს საინჟინრო სიახლეები GEORGIAN ENGINEERING NEWS, vol. 94, 2021

საერთაშორისო საინჟინრო აკადემია
საქართველოს საინჟინრო აკადემია

მთავარი რედაქტორი: არჩილ ფრანგიშვილი

სარედაქციო კოლეგია

- პ. ბიელიკი (სლოვაკეთი), ბ. გუსევი (რუსეთი), ნ. ედილბერტი (პერუ), ი. ჯმრი (სლოვაკეთი),
ა. გასილევი (უკრაინა), ლ. ივანოვი (რუსეთი), ა. კაბულოვი (უზბეკეთი),
ბ. კატალინიჩი (ავსტრია), ვ. კეკელიძე (რუსეთი), პ. კერვალიშვილი (საქართველო),
გ. კოშიგულოვი (ყირგიზეთი), ს. მინასიანი (სომხეთი), ო. ნამიჩეიშვილი (საქართველო),
პ. ნიკიტენკო (ბელარუსია), დ. ნოვიკოვი (რუსეთი), ა. აბაშევი (აზერბაიჯანი),
რ. ჯინევიჩიუსი (ლიტვა), ბ. უშმაგულოვი (ყაზახეთი), ლ. საიდმუროდოვი (ტაჯიკეთი),
რ. შრაფტი (გერმანია), დ. ჩომახიძე (საქართველო), გ. ჯავახაძე (საქართველო),
ა. ჯანახაძე (აზერბაიჯანი)

სარედაქციო საბჭო
დ. გორგიძე, ა. დოლიძე, ქ. მახაშვილი, მ. ფანწგიძე

International Engineering Academy Georgian Engineering Academy

Editor-in-Chief: Archil Prangishvili

EDITORIAL BOARD

N. Edilberto (Peru), D. Chomakhidze (Georgia), G. Javakhadze (Georgia), A. Janahmadov (Azerbaijan),
P. Bielik (Slovakia), B. Gusev (Russia), I. Emri (Slovenia), L. Ivanov (Russia), A. Kabulov (Uzbekistan),
K. Kozhogulov (Kyrgyz Republic), B. Katalinich (Austria), P. Kervalishvili (Georgia),
V. Kekelidze (Russia), S. Minasyan (Armenia), R. Ginevičius (Lithuania), O. Namicheishvili (Georgia),
P. Nikitenko (Belarus), D. Novikov (Russia), A. Pashayev (Azerbaijan), L. Saidmurodov (Tajikistan),
R. Shrafft (Germany), A. Vasiliev (Ukraine), B. Zhumagulov (Kazakhstan).

EDITORIAL STAFF:
D. Gorgidze, A. Dolidze, K. Makhashvili and M. Panchvidze

Georgian Engineering News (GEN)LTD

Address: TECHINFORMI, St. Kostava 47, Tbilisi 0179

Tel.: 995 (32) 2335315, 2335122

Fax: 995 (32) 2335122

[e-mail:nellym@caucasus.net](mailto:nellym@caucasus.net)

Internet: www.tech.caucasus.net

Copyright © by GEN LTD

სარჩევი

უცნობი განაზილების სიმპტომის ძალუბული შეფასების
საპიონისათვის

ბუაძე ტ.გ., გორგაძე გ.ა.

5

არათანაბარი განათებით გამოწვეული, გამოსახულების გრადიენტული
ფონების ლოკალიზაცია და გაზილტრიბუა, მათემატიკური
მოწოდების გარდამმარების საშუალებით
სენიაშვილი დ.ნ., სვანიძე რ.გ.

11

მონაცემთა გაზის მართვა PYTHON დაპროგრამების ენაზე
გაჩერილაძე ლ.ფ., მარგველა შვილი ა.გ.

15

მეორადი გეტონის სიმტკიცის მახასიათებლების კვლევა
ცირკიძე ნ.თ., კიკიძე თ.გ., ბარათა შვილი მ.კ., ბალანჩიძაძე მ.გ.

20

ერთპარლა აოლიეთილენის ნაშროვი იზოლაციით შესრულებულ
გაგელებები მიმღინარე ელექტრომაბნიტური პროცესების გამოკვლევა
და ეპრანის დამიზების მეთოდის გაცლენა ფიმპრატურულ რეზისუალ
როგორაშვილი ნ.ო.

25

თხევადვაზური ეპიტაქსიის გამოყენება სილიციუმის ზედაპირზე
გალიუმის ფოსფიდის თხელი ფირების გასაზრდელად
ლაფერა შვილი თ.ლ., კვიციანი თ.რ., ლაფერა შვილი დ.ლ., კოხრეიძე რ.დ.

31

ვეროშენადნობთა ფარმოების ნარჩენების თერმული ღესტრუქციის შესავლა
მოსია ჯ.გ., ჭუმბაძე მ.თ., მაისურაძე ი.ბ., აბესაძე რ.კ.

36

**ASSIMILATION OF Cr BY ARTHROBACTER GLOBIFORMIS 151B AT
DIFFERENT CONCENTRATIONS OF Zn (II) IONS**

Tugushi L.S., Rcheulishvili A.N., Ginturi E.N., Rcheulishvili O.N. and Gurrielidze M.A.

39

ს.ს. „რუსთავის აზოტი“-ს ციანმჟავას ფარმოებაში გამოყენებული
აქტივირებული აკსორბენტის ანალიზური კონტროლის
მეთოდების შემუშავება
მერქება შვილი ნ.ე., ცინცაძე მ.გ., მაჭარა შვილი კ.ჯ., მამაგული შვილი თ.ნ.

43

კვანტურ-ქიმიური ნახევრადეგანირიული AM1 მეთოდით გამოვლილი
ალფა-კირიდინალდეპიდის იზონიკონტინოლჰიდრაზონის (აპაინ) კოლეკულის მეორების მიმღინარე ელექტრონული და
სტრუქტურული მახასიათებლები სხვადასხვა ბამხსელება
ჭარტურია მ.მ., გორგაძე თ. ხ., ლომო შვილი დ.მ., გულბანი დ.გ.

46

ნიადაგში ტყვიის სულფატის ინცილტრაციის რიცხვითი მოდელირება
შუბლაძე ე.შ., სურმავა ა.ა., ერისთავი დ.გ., ბუაძე ნ.ს.

55

მღინარე მტკვრის დაგინძურება ანაარილინი ქ. თბილისის ტერიტორიაზე
უბანიძე გ.გ.

65

დიკლოფენაპის სეზონური ცვლილებები მღინარე მტკვარში გარდაპის
ჩამდინარე ფენოლების გამოვაწვდება ნაგებობის მიმღებარე ფირიფორიაში
სურამელა შვილი ე.რ.

70

საკვებ დანამატთა კონცენტრატები მომავლის პერიოდის პროდუქტების ფანციონირების მიზანის წიგოვიძე ნ.შ., წიგწივაძე თ.ი., სულაქველიძე გ.ა.	73
სკოლამდელი ასაკის ბავშვთა ვართიური პერიოდის კონვენია ბიოლოგიურად აძლიური ნატურალური დანამატების ბამოყვებით ერგემლიძე თ.დ., ქარჩავა მ.ს., ბერულავა ი.ო., აფხაძე ქ.რ.	76
აჭარაში ბაგრცელებული ფქავის კომოლობიური და ფანციონიური კვლევა სურმანიძე დ.დ.	79
აჭარაში ბაგრცელებული მოცხარის ბგარის (<i>Ribes L.</i>) ბიოლოგიური თავისებურებანი მემარნე ქ.გ.	82
ღვინი „ხაშმის საცერავი“-ის თვისებათა პავშირი ფარმოფობის აღგილთან მირველაშვილი გ.შ. ლამბაშვილი გ.ო., სალია გ.შ.	87
ხელოვნური ბანეური და მისი მნიშვნელობა მეცნიერებების მიზანისთვის ნოზაძე თ.პ.	90
ფრინველის კვერცხის შემაღებელობა და თვისებები ნოზაძე თ.პ.	94
ТЕРМАЛЬНЫЕ ИСТОЧНИКИ И МИНЕРАЛЬНЫЕ ВОДЫ В ПРОИЗВОДСТВЕ СПРЕЙ-МИСТОВ ДЛЯ ЛИЦА Джекидзе В.Б.	97
საცერავის ჯიშის შურპნის ფიატის ბიოქიმიური კვლევა და კოსმეტიკაში ბამოყვება დეგდარიანი ნ.გ., ბოკუჩავა ნ.გ., წერეთელი თ.გ.	101

OUR AUTHORS (2021)

უცნობი ბანაზილების სიმპტომის ძალდებული შეფასების საპირისათვის

ბუაძე ტ.გ., გიორგაძე გ.ა.

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

1. შესავალი. მათემატიკური სტატიისტიკის ერთ-ერთი ძირითადი მიმართულებით, კერძოდ, არაპარამეტრულ სტატიისტიკურ შეფასებათა თეორიის განხრით, წარმოებული კვლევების მრავალ ავტორთა ყურადღება წინა საუკუნიდან დაწყებული მიმართული იყო ამა თუ იმ ძალდებულების თვისების მატარებელი ლებეგის ზომის მიმართ, ალბათური ზომების სიმკვრივეების ანალოგების მოძებნისაკენ.

განაწილების სიმკვრივის ემპირიული ანალოგების შესწავლას საფუძვლად უდევს ძირითადი სტრატეგიული ამოცანა, რომელიც გამოიხატება თეორიული განაწილების ტერმინებში, როგორც უცნობი განაწილების სიმკვრივის არაპარამეტრული სტატიისტიკური შეფასების ამოცანა. პირველი შედეგები მიღებულია ვ. გლივენკოს [1] და ნ. სმირნოვის [3] მიერ. მათ დამოუკიდებელი დაკვირვებით ააგეს „ჰისტოგრამული“ ტიპის შესაფეხბები. მოგვიანებით მ. როზენბლატმა [4] და გ. პარზენმა [5] განიხილა „გულოვანი“ შეფასებები, აგებული ბორელის $K(x)$ გულით (ფუნქციით) და შეისწავლეს მისი თვისებები.

ქართული ალბათურ-სტატიისტიკური მათემატიკური სკოლის ფუძემდებელმა გ. მანიამ [2] და მისმა მოსწავლემ ე. ნადარაიამ [6,7] დამოუკიდებელ დაკვირვებებზე დაყრდნობით დიდი წვლილი შეიტანეს ქართული მეცნიერების ამ მიმართულებით განვითარების საქმეში. მათ მიერ განხილულია და განზოგადებულია მრავალგანზომილებიანი გულის შემთხვევა და მ. როზენბლატმის შედეგი, რის საფუძველზეც დაადგენილია დამოუკიდებელი დაკვირვებებით აგებული შეფასების სიმკვრივისაკენ ალბათობით 1 თანაბარი კრებადობის საკმარისი პირობები. ჩემს მიერ განხილულია მრავალგანზომილებიანი განაწილების სიმკვრივის „გულოვანი“ და ნ. ჩენცოვის „პროექციული“ ტიპის არაპარამეტრული შეფასებების ასიმპტოტური ყოფაქცევის საკითხები [9,10]. რ. აბსავამ და ე. ნადარაიამ განიხილა ალბათურ განაწილებათა ფუნქციონალების არაპარამეტრული შეფასებების ამოცანების ფართე საექტრი [11]. პ. ბაბილუამ, მ. ნადარეიშვილმა, გ. სოხაძემ, ე. ხმალაძემ განიხილა განაწილების სიმკვრივეების შეფასებები სხვადასხვა მეტრიკით [8].

2. დაგუშვათ $\{\Omega, F, P\}$ ალბათური სივრცეა, Ω – ელემენტარულ ხდომილებათა სივრცეა, F არის Ω -ს ქვესიმრავლებისგან შედგენილი σ ალგებრა. $\{\Omega, F\}$ ზომადი სივრცეა. ამავე დროს, განვიხილოთ $\{R, B_R\}$ ზომადი სივრცე, სადაც B_R არის ბორელის σ ალგებრა, ანუ R -ის დია ქვესიმრავლებისგან შედგენილი უმცირესი σ ალგებრა და ასახვა (ფუნქცია $X = X(\omega)$): $\Omega \rightarrow R$, ყოველი $A \subset B_R$ -თვის $X^{-1}(A) = \{\omega \in \Omega : X(\omega) \in A\} \in F$. მაშინ X შემთხვევითი სიდიდეა. იმ შემთხვევაში, როცა $\Omega = R^n$ და ვიხილავთ ასახვას ორ $\{\Omega, F\}$ და $\{R^n, B_{R^n}\}$ ზომად სივრცეებს შორის, საჭმე გვაქვს შემთხვევით ვექტორთან.

დავუშვათ X შემთხვევით სიდიდეს გააჩნია განაწილების სიმკვრივე $f(x)$, R -ზე. ამასთან ამ სიმკვრივის სახე ცნობილი არ არის. ცნობილია მხოლოდ ის, რომ ასეთი სიმკვრივე არსებობს. საჭიროა X შემთხვევით სიდიდეზე დამოუკიდებელი დაკვირვებების (შერჩევის) საშუალებით ავაგოთ გარკვეული აზრით ოპტიმალური შეფასება უცნობი სიმკვრივისათვის. ასე, რომ ვთქვათ X_1, X_2, \dots, X_n ერთმანეთისაგან დამოუკიდებელი და ერთნაირად განაწილებული შემთხვევითი სიდიდეებია. ამასთან თითოეული მათგანი განაწილებულია ისე, როგორც X , განაწილების უცნობი კანონით $P(\cdot)$.

ემპირიული განაწილება $P_n(\cdot)$, რომელიც აიგება n მოცულობიანი შერჩევით X_1, X_2, \dots, X_n , წარმოადგენს დისკრეტულ განაწილებას $\frac{1}{n}$ -ის ტოლი „წონის“ ატო-

მებით თითოეული X_i , $i=1,\dots,n$ დაკვირვებისათვის. ამავე დროს, თითოეულ X_i დაკვირვებას შეიძლება დავუკავშიროთ დელტა ზომა $\delta_{X_i}(\cdot)$, თავმოყრილი X_i წერტილში, ხოლო დამოუკიდებელ დაკვირვებებს დავუკავშირებოთ $\delta_{X_i}(\cdot)$ ზომათა არითმეტიკულ საშუალოს

$$P_n(\cdot) = \frac{1}{n} \sum_{i=1}^n \delta_{X_i}(\cdot),$$

სადაც

$$\delta_{X_i}(A) = \begin{cases} 1, & \text{თუ } X_i \in A, \\ 0, & \text{თუ } X_i \notin A. \end{cases}$$

თუ უცნობი განაწილების კანონისათვის არსებობს გლუვი $f(x)$ სიმკვრივე, მაშინ შესაძლებელი იქნება შევცვალოთ $\delta_{X_i}(\cdot)$. ზომა რაიმე ზომით გარკვეული $K_n(x, X_i)$ სიმკვრივით და გამოვიყენოთ იგი უცნობი $f(x)$ განაწილების სიმკვრივის შესაფასებლად, რითაც შემოგვაქვს სიმკვრივის შეფასებათა ახალი კლასი.

ამრიგად, ზემოთ მიმოხილული ნაშრომების ძირითადი იდეა დასმული ამოცანისადმი ე.წ. არაპარამეტრული სტატისტიკური მიდგომაა. ჩამოვაყალიბოთ ეს იდეა. ავიდოთ რაღაც ინტეგრებადი (ლებეგის ზომით) ფუნქცია $K(x)$, რომელიც განაწილების სიმკვრივის თვისებების მქონე ფუნქციაა. გარდა ამისა, ავიდოთ ნულისაკენ კრებადი h_n მიმდევრობა და შევადგინოთ სტატისტიკა

$$\hat{f}_n(x) = \frac{1}{nh_n} \sum_{k=1}^n K\left(\frac{x-X_k}{h_n}\right), \quad h_n \rightarrow 0, \quad nh_n \rightarrow \infty.$$

საჭიროა მოიძებნოს ის პირობები, როდესაც $\hat{f}_n(x)$ მიისწრავის $f(x)$ ფუნქციისაკენ რაღაც აზრით. მ. როზენბლატმა აჩვენა, რომ $\hat{f}_n(x)$ მიისწრავის $f(x)$ ფუნქციისაკენ თანაბრად ალბათური კრებადობის აზრით. იმისათვის, რომ მოვიყვანოთ ზოგადი შედეგები, წინასწარ ჩამოვაყალიბოთ ზოგიერთი მოსამზადებელი შედეგი.

ვთქვათ $F(x)$ არის X შემთხვევითი სიდიდის განაწილების ფუნქცია. $\frac{dF(x)}{dx} = f(x) X_1, X_2, \dots, X_n$ შერჩევაა. $F(x)$ ფუნქციის შეფასებისათვის იდებენ ემპირიული განაწილების ფუნქციას – $S_n(x)$ -ს. სიდიდეს, რომელიც არის ფარდობითი სისშირე შერჩევის იმ ელემენტების რაოდენობისა, რომლებიც ნაკლები არიან x -ზე. განისილავენ $S_n(x)$ სიდიდის $F(x)$ ფუნქციისაგან გადახრის ზომად შემდეგ სიდიდებს:

$$\begin{aligned} D_n(\theta_1, \theta_2) &= \sup_{x \in F^{-1}([\theta_1, \theta_2])} |S_n(x) - F(x)|, \\ D_n^+(\theta_1, \theta_2) &= \sup_{x \in F^{-1}([\theta_1, \theta_2])} [S_n(x) - F(x)], \\ D_n^+(\theta_1, \theta_2) &= \sup_{x \in F^{-1}([\theta_1, \theta_2])} [F(x) - S_n(x)]. \end{aligned}$$

შემოგთავაზებთ ვ.ი. გლივენკოს თეორემის საინტერესო დამტკიცებას.

თეორემა 1. (ვ. ი. გლივენკო, 1933 წ.). ალბათობით 1 ადგილი აქვს თანაბრად კრებადობას

$$P\{\lim_{n \rightarrow \infty} D_n(0,1) = 0\} = 1.$$

დამტკიცება. განვიხილოთ $\frac{j}{k}$ წილადები. აღვნიშნოთ x_{jk} -ით x -ის ის უმცირესი მნიშვნელობა, რომლისთვისაც

$$F(x) \leq \frac{j}{n} \leq F(x+).$$

აღნიშვნის თანახმად $X < x_{jk}$ ხდომილების სიხშირე არის $S_n(x_{jk})$. ამასთან

$$P\{X < x_{jk}\} = F(x_{jk}).$$

აღვნიშნოთ $C_{jk} = \{\omega : S_n(x_{jk}) \rightarrow F(x_{jk})\}$. ბორგლის გამდიერებული დიდ რიცხვთა კანონის თანახმად $P(C_{jk}) = 1$.

ასევე თუ აღვნიშნავთ $E_{jk} = \{\omega : S_n(x_{jk}+) \rightarrow F(x_{jk}+)\}$, მაშინ გვექნება $P(E_{jk}) = 1$.

ვთქვათ $K_{jk} = C_{jk}E_{jk}$ და

$$K_k = \bigcap_{j=1}^k K_{jk} = \left\{ \omega : \sup_{1 \leq j \leq k} |S_n(x_{jk} \pm) - F(x_{jk} \pm)| \rightarrow 0 \right\}.$$

ამაზინ

$$P(\bar{K}_k) = P\left(\bigcup_{j=1}^k \bar{K}_{jk}\right) \leq \sum_{j=1}^k P(\bar{K}_{jk}) = 0.$$

ამიტომ $P(K_k) = 1$. თუ ავიდებთ $K = \bigcap_{k=1}^{\infty} K_k$, მაშინ ანალოგიური მსჯელობით მივიღებთ $P(K) = 1$.

მეორეს მხრივ ნებისმიერი x -სათვის, რომელიც x_{jk} -სა და $x_{j+1,k}$ -ს შორის მდებარეობს, გვექნება

$$F(x_{jk}+) \leq F(x) \leq F(x_{j+1,k}) \quad \text{და} \quad S_n(x_{jk}+) \leq S_n(x) \leq S_n(x_{j+1,k}).$$

ამასთან ნებისმიერი ისეთი x_{jk} -სათვის, რომლისთვისაც $x_{j+1,k} > x_{jk}$, გვექნება

$$0 \leq F(x_{j+1,k}) - F(x_{jk}+) \leq \frac{1}{k}.$$

ამიტომ

$$S_n(x) - F(x) \leq S_n(x_{j+1,k}) - F(x_{jk}+) \leq S_n(x_{j+1,k}) - F(x_{j+1,k}) + \frac{1}{k},$$

და

$$S_n(x) - F(x) \geq S_n(x_{jk}+) - F(x_{j+1,k}) \geq S_n(x_{jk}+) - F(x_{jk}+) - \frac{1}{k}.$$

აქედან გამოდის, რომ ნებისმიერი x -სა და k -სათვის,

$$|S_n(x) - F(x)| \leq \sup_{1 \leq j \leq k} |S_n(x_{jk} \pm) - F(x_{jk} \pm)| + \frac{1}{k}$$

ანუ

$$D_n(0,1) \leq \sup_{1 \leq j \leq k} |S_n(x_{jk} \pm) - F(x_{jk} \pm)| + \frac{1}{k}.$$

აქედან ვღებულობთ, რომ $P\{D_n(0,1) \rightarrow 0\} \geq P(K) = 1$. თეორემა დამტკიცებულია.

თეორემა 1. (მ. როზენბლატი). ვთქვათ, $f(x)$ თანაბრად უწყვეტია R -ზე, ხოლო $K(x)$ შემოსაზღვრული ვარიაციის ფუნქციაა და $\int_R K(x)dx = 1$, მაშინ $\sup_{x \in R} |E\hat{f}_n(x) - f(x)| \rightarrow 0$.

თეორემა 2 (ე. ნადარაია). ვთქვათ შესრულებულია თეორემა 1-ის პირობები, მაშინ თუ $\sum_{n=1}^{\infty} \exp(-\gamma nh_n^2)$ კრებადია ნებისმიერი $\gamma > 0$ რიცხვისათვის, გვექნება

$$\lim_{n \rightarrow \infty} \sup_{x \in R} |\hat{f}_n(x) - f(x)| = 0 \text{ ალბათობით 1.}$$

3. ვთქვათ, გვაქვს $\{X_i\}$ შემთხვევითი შერჩევა $X_i = (X_1^{(1)} \dots X_i^d)$, $i = 1, \dots, n$, პოვლაციიდან, რომელიც განისაზღვრება მრავალგანზომილებიანი $f(x)$ განაწილების სიმკვრივით $x \in R^d$, $x = (x_1, \dots, x_d)$, $f(x) \in L_2(R^d)$) განაწილების სიმკვრივე $f(x)$ ლებეგის ზომით კვადრატით ინტეგრებადი ფუნქციათა კლასის ფუნქციაა. $f(x)$ უცნობი ფუნქციაა. მის შესაფასებლად ვიხილავთ სტატისტიკას

$$f_n(x, \tau_n) = n^{-1} \sum_{j=1}^n \prod_{i=1}^d a_i(n) K_i \left(a_i(n)(x_i - X_j^{(i)}) \right) \quad (1)$$

სადაც $a_n = (a_1(n), \dots, a_d(n))$, $\{\overline{a_i(n)}\}, i = 1, d$ დადგებით რიცხვთა მიმდევრობაა ისეთი, რომ $\lim_{n \rightarrow \infty} a_i(n) = \infty$ და $\lim_{n \rightarrow \infty} n^{-1} \prod_{i=1}^d a_i(n) = 0$

$K_i(v) v \in R'$, $i = 1, d$ ბორელის აზრით, ზომადი ფუნქციაა და აკმაყოფილებს რეგულარობის პირობებს:

$$K1) K(-x) = K(x) \int_{R^d} K(x)dx = 1; \quad \sup_{x \in R^d} |K(x)| < \infty;$$

$K2) K(x)$ აქვს უწყვეტი წარმოებულები მათ შორის m რიგის,

$$K3) \int_{R^d} x_1^{i_1} \dots x_d^{i_d} K(x)dx = 0, \quad \sum_{j=1}^d i_j < S, \quad \int_{R^d} x_j^S K(x)dx \neq 0, \quad V_j \leq d$$

$$K4) \int_{R^d} x_1^S |K(x)|dx \leq \infty, \quad Y_j \leq P, \quad S > \max \left(\frac{d}{2}, 1 \right), \quad S - \text{ლური}$$

$$\text{აღვნიშნოთ } K(x) = \prod_{i=1}^d K_i(x_i), \quad x_i \in R^1, \quad i = \overline{1, d}, \quad K_i(\cdot) \in L_2 P^1,$$

C_S -ით აღვნიშნოთ ყველა შემოსაზღვრული უწყვეტი $\varphi(x)$ ფუნქციის სიმრავლე, $x \in R^d$, რომელთაც აქვთ უწყვეტი კერძო წარმოებულები x წერტილის მიდამოში S რიგამდე ჩათვლით, ამასთან $f(x) \neq 0$ და $\frac{\partial^S f(x)}{\partial x_i^S} \neq 0$ ყველა i -სთვის $i = \overline{1, d}; S$ ლური რიცხვია.

W_S -ით აღვნიშნოთ სიმრავლე ყველა შემოსაზღვრული, უწყვეტი $\psi(x)$ ფუნქციებისა, $x \in R^d$, რომელთაც აქვთ შემოსაზღვრული, უწყვეტი კერძო წარმოებულები S რიგამდე ჩათვლით, რომლებიც გაუთვიან ლებეგის აზრით კვადრატით ინტეგრებად

ფუნქციათა $L_2(R^d)$ სიგრუეებს. $f(x) \neq 0$ და $\frac{\partial^S f(x)}{\partial x^S} \neq 0$ ერთი მაინც i -სათვის, $i = \overline{1, d}; S$

დღეში რიცხვია.

ლოკალური გადახრის ზომად განვიხილოთ საშუალო კვადრატული ცდომილება:

$$M[f_n(x, a_n) - f(x)]^2 = V_n(x, a_n) \quad (2)$$

შევისწავლოთ ამ გამოსახულების ასიმპტოტური ყოფაქცევა, როცა $n \rightarrow \infty$ და ვიპოვოთ $a_n = (a_1(n), a_2(n), \dots, a_n(\tau_n))$ ოპტიმალური მნიშვნელობები, რომლებიც მინიმუმს ანიჭებენ $V_n(x, \tau_n)$ -ს.

მტკიცდება ოეორქმა, რომელიც ამტკიცებს შეფასების ასიმპტოტურ ძალას და ულებას.

თეორემა 4. თუ $f(x)$ სიმკვრივე C_s კლასის ფუნქციაა და $K(x)$ ფუნქცია აკმაყოფილებს $K1), K2), K3), K4)$ პირობებს, მაშინ როცა $n \rightarrow \infty$, ადგილი აქვს ტოლობებს

$$M[f_n(x, a_n) - f(x)]^2 \sim \frac{\alpha(x)}{n} \prod_{i=1}^d a_i(n) + \left(\sum_{i=1}^d \frac{b_i}{a_i^s(n)} \right)^2,$$

$$\text{სადაც } \alpha(x) = f(x) \prod_{i=1}^d \int_{R'} K_i^2(t_i) dt_i, \quad b_i(x) = \frac{\alpha_i}{S!} \frac{\partial^S f(x)}{\partial x_i^S}, \quad i = \overline{1, d}$$

$$\alpha_i = \int_{R'} x^S K_i^2(t_i) dt_i$$

$$a_i(n) \quad \text{პარამეტრების} \quad \text{ოპტიმალური} \quad \text{მნიშვნელობები} \quad \{a_i^o(n)\}, \quad i = \overline{1, d}, ,$$

$$a^o(n) = (a_1^o(n) \dots a_d^o(n)), \quad \text{რომლებიც} \quad V_n(x, a_i(n)) \quad \text{გადახრას} \quad \text{სიმცირის} \quad \text{საუკეთესო} \quad \text{რიგს}$$

$$\text{ანიჭებენ, } \frac{1}{2s+d} \quad \text{რიგის} \quad \text{არიან}$$

$$a_i^o(n) = \theta_i(f) n^{\frac{1}{2s+d}},$$

სადაც

$$\theta_i^{2s+d}(f) = \frac{2Sd(b_i(x))^{\frac{2s+d}{d}}}{a(x) \prod_{i=1}^d [b_i(x)]^{\frac{1}{s}}}, \quad i = 1, d,$$

და როცა $n \rightarrow \infty$

$$M[f_n(x, a_n) - f(x)]^2 \sim (d+2S) \left[\left(\frac{\alpha(x)}{2S} \right)^{2s} d^d \prod_{i=1}^d b_i^2(x) \right]^{\frac{1}{2s+d}} n^{-\frac{2s}{2s+d}}.$$

ლიტერატურა

1. Гливенко В.И. Курс теории вероятностей. - М.-Л.: Гостехиздат, 1939, 220с.
2. Мания Г.М. Статистическое оценивание распределения вероятностей. -Тбилиси, 1974, 238с.
3. Смирнов Н.В. О приближении плотностей распределения случайных величин. Уч. записки МГПИ им. В.П. Потемкина, 1951, 16, 3, сс. 69-96.
4. Rosenblatt M. Remarks on some nonparametric estimates of a density function. // Ann. Math. Statist., 1956, 27, pp. 832-837.

5. Parzen E. On estimation of a probability density function and mode. // Ann. Math. Statist., 1962, 33, pp. 1065-1076.
6. Nadaraya E. Nonparametric Estimation of Probability Densities and Regression Curves. // Kluwer Academic Publishers, 1988.
7. Э.А. Надарая. Непараметрическое оценивание плотности вероятностей и кривой регрессии. –Тбилиси, ТГУ 1983, 194с.
8. Sokhadze G. On the Absolute Continuity of Smooth Measures. // Theory of Probability and Mathematical Statistics, 1996, 49, pp. 159-164.
9. Buadze T.G., Giorgadze V.A. To the Issue of Distribution Density Functionals Estimation. // Georgian Engineering News, 2020 #2. pp.30-32.
10. Буадзе Т.Г. Статистические вопросы оценивания распределения вероятностей. -Тбилиси, Технический университет, 2009, 93 с.
11. Абсава Р.М., Надарая Э.А. Некоторые задачи теории непараметрического оценивания функциональных характеристик закона распределения наблюдений. -Тбилиси, ТГУ, 2005, 247с.

SUMMARY

TO THE ISSUE OF UNKNOWN DISTRIBUTION DENSITY CONSISTENT ESTIMATE

Buadze T.G. and Giorgadze V.A.

Georgian Technical University

The work deals with Rosenblatt-Parzen and E. Nadaraya kernel-type, consistent non-parametric statistical estimates in the space of linear L_1 functions and L_2 functions square-integrable towards Lebesgue measure, composed through general statistical approaches by independent observations for unknown density of multidimensional distribution.

Keywords: estimation, independent observations, consistent non-parametric statistical estimate.

არათანაბარი განათებით გამოვლენლი, გამოსახულების გრადიენტული ფონების ლოპალიზაცია და გაფილტრება, მათმატიკური მოწოდობის გარღაშმნების საშუალებით


სენიაშვილი დ.ნ., სვანიძე რ.გ.

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

არათანაბარი განათების დროს, გამოსახულებაზე ვლებულობთ განათების გრადიენტები, რომლის გამოსახულებიდან მთლიანად მოშორება ან მაქსიმალურად გაფილტრება აუცილებელია გამოსახულების შემდგომი ანალიზისათვის და გარდაქმნებისათვის.

განათების გრადიენტების შესამცირებლად შესაძლებელია მორფოლოგიური ტოპ-ჰეტი ოპერაციების გამოყენება, რადგან ტოპ-ჰეტები ფართო იზოტროპული სტრუქტურული ელემენტით გამოსახულებაზე მოქმედებს როგორც მაღალსიხშირული ფილტრი [1].

ვინაიდან გრადიენტი მდებარეობს გამოსახულების დაბალ სიხშირულ დიაპაზონში, მისი მოშორება შესაძლებელია მორფოლოგიური ტოპ-ჰეტი ოპერაციების გამოყენებით. კერძოდ, ეწ. ოეთრი ტოპ-ჰეტები გამოიყენება წინა პლანის პიქსელებთან შედარებით მუქი ფონის მქონე გამოსახულებებში, ხოლო შავი ტიპ-ჰეტები ნათელი ფონის მქონე გამოსახულებაში. ოეთრი ტოპ-ჰეტით გამოსახულების დამუშავების მაგალითი ნაჩვენებია (სურ.1).





სურ. 1. გამოსახულების დამუშავება ტოპ-ჰეტი ოპერაციით

როგორც სურათიდან ჩანს არათანაბარი განათების მქონე საწყის გამოსახულებაზე ზღურბლის ოპერაცია გვაძლევს არასასურველ შედეგს.



თუ ფონის გამუქებასთან ერთად, გამოსახულებაზე არსებულ ჩვენთვის საინტერესო ობიექტებს და გამოსახულების ფონს შორის კონტრასტი კლებულობს, მაშინ საწყისი გამოსახულების გახსნასთან ან დახურვასთან გაყოფით შესაძლებელია მივიღოთ ჩვენთვის სასურველი ვიზუალური ეფექტი.

როგორც სურათზე (სურ. 2,а) ჩანს, გრადიენტული ფონის მქონე საწყისი გამოსახულების ბინარულად გარდაქმნა ზღურბლის ოპერაციით არ იძლევა სასურველ

შედეგს, რაღგანაც, გრადიენტის ფარგლებში მოქცეული ასოები მთლიანად იკარგება (სურ. 2,ბ), შესაბამისად, მათი შემდგომი აღდგენა შეუძლებელი ხდება. თუმცა, ტოპ-პერიოდის გამოყენებით შესაძლებელია, გრადიენტული ფონის ისე მოშორება, რომ ნაკლებად ვიმოქმედოთ წინა პლანის პიქსელებზე (სურ. 2,გ), რის შედეგადაც მიღებულ გამოსახულებაზე შესაძლებელი ხდება შემდგომი მანიპულაციების ჩატარება (მაგალითად, კონტრასტის ცვლილება (სურ. 2,დ.)




ტექსტური ინფორმაციის შემცველ გამოსახულების ინტენსიურობა უფრო მაღალია ვიდრე არათანაბარი განათებით მიღე- ბული ფონის გრადიენტის [2]. შესაბამისად, მორფოლოგიური გახსნა და დახურვის ოპერაციების შესრულებისას სტრუქტურული ელემენტების ზომაზე მცირდება და დაგვრჩება მხოლოდ რეგიონები რომლებიც აღემატება სტრუქტურულ ელემენტებს ზომაში. ამგვარად, ტოპ-პეტიონ აპერაციის გამოყენებით შესაძლებელია გამოსახულება. თუმცა აღსანიშნობა ის ფაქტი, რომ სტრუქ-



გამოსახულებაში, ტექსტის შემცველი გიდრე არათანაბარი განათებით მიღე- ბული ფონის გრადიენტის [2]. შესაბამისად, მორფოლოგიური გახსნა და დახურვის ოპერაციების შესრულებისას სტრუქტურული ელემენტების ზომაზე მცირდება და დაგვრჩება მხოლოდ რეგიონები რომლებიც აღემატება სტრუქტურულ ელემენტებს ზომაში. ამგვარად, ტოპ-პეტიონ აპერაციის გამოყენებით შესაძლებელია გამოსახულება. თუმცა აღსანიშნობა ის ფაქტი, რომ სტრუქ-

ტურული ელემენტის ზომის ზრდასთან ერთად ჩნდება ე.წ. ბლოკური ეფექტი, ცრუ კიდეების ეფექტის გაჩენის გამო [3].

გამოსახულებაში, ბლოკური ეფექტით შექმნილი ხმაურის შემცირება შესაძლებელია ტოპ-ჰეტი ალგორითმების რეკონსტრუქციული გახსნა და დახურვის ოპერაციებით მოდიფიცირებით. დანარჩენ სხვა მორფოლოგიურ ოპერაციებთან შედარებით, რეკონსტრუქციული გახსნას შეუძლია გამოსახულებაში შეინარჩუნოს ყველა იმ ობიექტის ფორმა რომელიც არ იქნენ მთლიანად მომორგებული მორფოლოგიური ეროზის ოპერაციის შედეგად [4]. მაგალითი ნაჩვენებია სურ. 3



სურ. 3. 1. საწყისი გამოსახულება 2. გამოსახულების ეროზია სტრუქტურული ელემენტით.
3. რეკონსტრუქციული გახსნა იმავე სტრუქტურული ელემენტით

რეკონსტრუქციული გახსნის ოპერაცია საშუალებას გვაძლევს მარტივად აღმოვაჩინოთ გამოსახულების უკანა ფონი. ამგვარად, ტოპ-ჰეტ ალგორითმში, ბაზისური გახსნის ოპერატორის, რეკონსტრუქციული გახსნის ჩანაცვლებით შეგვიძლია მივიღოთ მოდიფიცირებული ტოპ-ჰეტი რომლის თვისებები უფრო ესადაგება მოცემულ ამოცანას.

$$\tilde{g}^{\omega}(f) = f - \tilde{\gamma}R(f) \quad (1)$$

მიუხედავად იმისა, რომ მოდიფიცირებული თეორი ტოპ-ჰეტი კარგად ასრულებს გამოსახულებაში განათების გათანაბრებას (ეკვალაიზერი) და შედეგად ვლებულობთ დაბალანსებული განათების მქონე ფონს ბლოკური ეფექტის გარეშე, ამ ოპერაციის შედეგად ჩნდება ახალი პრობლემა – ტექსტის ნაწილი ზედმეტად განათების გამო აღიქმება როგორც ფონი [6].

ამ პრობლემის დასაკორექტირებლად, ვიყენებთ რეკონსტრუქციული გახსნის ორადულ ოპერაციას – რეკონსტრუქციულ დახურვას, რომელიც აშორებს ფონიდან შეცდომით აღქმულ ტექსტურ ინფორმაციას და შედეგად ვლებულობთ მხოლოდ გამოსახულების ფონს.

$$\tilde{\phi}_{\gamma}(f) = \tilde{\phi}_R[\tilde{\gamma}_R(f)] \quad (2)$$

ამგვარად, მოდიფიცირებული ტოპ-ჰეტი დებულობს შემდეგ სახეს:

$$\tilde{g}(f) = f - \phi_{\gamma}(f) = f - \tilde{\phi}_R[\tilde{\gamma}_R(f)] \quad (3)$$

ამრიგად, გამოსახულების არათანაბარი განათებით გამოწვეული გრადიენტული ფონების მოშორების მიზნით განხორციელდა გაფილტვრის მორფოლოგიური მექანიზმების შედარება პირველადი გამოსახულების, ზღურბლის ოპერატორის ბინარიზაციით მიღებული გამოსახულების – მორფოლოგიური ალგორითმით დამუშავებულ გამოსახულებასთან, რამაც დაადასტურა მორფოლოგიური ოპერატორების

უპირატესობები. დასახული ამოცანის შესასრულებლად ნაშრომში გამოყენებული იქნა ტოპ-ჰეტ ალგორითმი, რომელიც თავის მხრივ იყენებს რამოდენიმე პირველად მორფოლოგიურ ოპერაციას, როგორიც არის „კლასიკური“ მორფოლოგიური გახსნა და დახურვა.

ასევე, გამოსახულებაში გრადიენტულ ფონთან მუშაობისას წარმოქმნილი ბლოკური ეფექტის ხმაურის შეცირებისათვის ნაშრომში გამოყენებულია ტოპ-ჰეტის მოდიფიცირებული ალგორითმი, სადაც პირველადი მორფოლოგიურ გახსნის და დახურვის ოპერაციები ჩანაცვლებულია გეოდეზიური მორფოლოგიური ოპერატორების ბაზაზე აგებული რეკონსტრუქციული ოპერაციებით,

მოდიფიცირებული ტოპ-ჰეტ ალგორითმის შედეგად მიღებულია დამუშავებული გამოსახულება, რომლიდანაც მთლიანად მოშორებულია გრადიენტული ფონი და არ გვაქვს ბლოკური ეფექტი.

ლიტერატურა

1. Soille P. Morphological Image Analysis-Principles and Applications, Springer, 408 pg ISBN-10 : 3642076963, 2010.
2. Guocheng Wang, Yiwen Wang, Hui Li. Morphological Background Detection and Illumination Normalization of Text Image with Poor Lighting, PLoS ONE, vol 1, no 11, 2014, pp.7
3. Salembier P., Pardas M. Hierarchical morphological segmentation for image sequence coding. //Image Processing, IEEE Transactions on vol.3, no.5, 1994, pp. 639-651
4. Salembier P, Serra J. Flat zones filtering, connected operators and filters by reconstruction. //Image Processing IEEE Transactions on vol.4, no.8, 1995, pp. 1153-1160.
5. <https://www.mathworks.com/help/images/understanding-morphological-reconstruction.html>
6. Angélica R. Jiménez-Sánchez, Jorge D. Mendiola-Santibañez, Iván R. Terol-Villalobos Morphological Background Detection and Enhancement of Images with Poor Lighting, IEEE Transactions on Image Processing, vol. 18, no. 3, 2009, pp. 613-623

SUMMARY

FILTRATION OF GRADIENT BACKGROUND, CAUSED BY UNEVEN ILLUMINATION USING MATHEMATICAL MORPHOLOGY ALGORITHMS

Sekhniashvili D.N. and Svanidze R.G.

Georgian Technical University

Gradient background introduced by uneven illumination complicates the task of such document processing and analysis. The paper discusses the issues of restoring these irregularities by filtering out the image using the mathematical morphology algorithms. Examples of correction of a gradient image, as well as filtering it using modified top hat operators, are presented.

Keywords: filtering, correction, gradient image, mathematical morphology.

მონაცემთა ბაზის მართვა PYTHON დაპროგრამების მნახვ

გაჩეჩილაძე ლ.ფ., მარგველაშვილი ა.გ.

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

1. შესავალი

საუკუნელთაოდ ცნობილია ის ფაქტი, რომ მონაცემთა ბაზები, ფაქტიურად, კვლეული გამოიყენება.

მონაცემთა ბაზა ბიბლიოთეკაა, რომელიც მონაცემებს ამა თუ იმ სახით ინახავს. ის, ელექტრონული ინფორმაციის მართვის სისტემაა, რომელიც ორი ნაწილისგან: მონაცემთა ბაზის მართვის სისტემისა (**DBMS – Database Management System**) და თავად ინფორმაციისგან შედგება. თანამედროვე მონაცემთა ბაზები დაფუძნებულია მონაცემთა ბაზების მართვის რელაციურ მოდელზე. მონაცემთა ბაზის მართვის სისტემა საშუალებას გვაძლევს, ვაკონტროლოთ მონაცემების განსაზღვრის, მათი დამუშავებისა და ერთობლივად გამოყენების პროცესი [1].

რელაციურ მონაცემთა ბაზებში ინფორმაცია ცხრილებში ინახება, რომლის სტრუქტურა წინასწარ, მკაცრად არის განსაზღვრული.

SQL (Structured Query Language) მოთხოვნების სტრუქტურირებული ენაა. უხეშად რომ კოქებათ, ეს დაპროგრამების ენაა, რომელიც მონაცემთა ბაზების მართვის საშუალებას გვაძლევს.

მონაცემთა ბაზები **Data Science**-ის განუყოფელი ნაწილია, რამეთუ, ხშირად გვიწევს შენახულ მონაცემებთან მუშაობა: მიღება, დამატება, წაშლა, განახლება და ანალიზიც კი.

რელაციურ მონაცემთა ბაზის ყველაზე გავრცელებულ მართვის სისტემებს წარმოადგენს: **Microsoft Sql Server, MySql, Oracle, SQLite, PostgreSQL** და ა.შ.

წინამდებარე სტატიის მიზანს წარმოადგენს მონაცემთა ბაზის მართვა Python დაპროგრამების ენის გარემოში ობიექტზე ორიენტირებული მიღებით და იმ უპირატესობების ჩვენება, რითაც ეს უკანასკნელი ხასიათდება.

2. მირითადი ნაწილი

SQLite მონაცემთა ბაზის მართვის საიმედო სისტემაა, რომელიც დაპროგრამების ენა პითონში ჩაშენებულია **sqlite3** ბიბლიოთეკის სახით და შესაბამისად, მასთან სამუშაოდ საჭირო არ არის რაიმეს დაყენება (ინსტალირება), საქმარისია მხოლოდ მისი იმპორტირება. კომპიუტერზე მონაცემთა ბაზასთან კავშირის დასამყარებლად აუცილებელია გზის მითითება. თუ პითონი ბაზას ეკრ მოძებნის, მას თვალ შექმნის. იმისათვის, რომ მომხმარებელმა შეიმუშავოს **SQLite** მონაცემთა ბაზა, საკმარისია შექმნას კავშირის მარტივი ობიექტი, ხოლო კავშირის დამყარების შემდეგ შესაძლებელია SQL-მოთხოვნების შესრულება [2].

ზემოაღნიშნულის საილუსტრაციოდ წანამდებარე სტატიაში წარმოგიდგენთ მონაცემთა ბაზის **SQLite** მართვის სისტემას Python დაპროგრამების ენის **Pycharm** ინტეგრირებულ გარემოში ობიექტზე ორიენტირებული დაპროგრამების ძირითადი ინსტრუმენტების გამოყენებით და სამომხმარებლო მოდულის შემუშავების გზით [3,4].

დაუუშვათ, ვქმნით მონაცემთა ბაზას სახელწოდებით **students.db**, რომელიც მოიცავს ცხრილს სახელწოდებით **students**. ეს უკანასკნელი შემდეგი ველებისგან შედგება: **student_name** (სტუდენტის სახელი), **student_surname** (სტუდენტის გვარი), **personal_number** (პირადი ნომერი), **group_number** (ჯგუფის ნომერი) და **student_age** (სტუდენტის ასაკი).

აღნიშნული ცხრილი შევავსოთ მონაცემებით და განვახორციელოთ SQL-მოთხოვნები პითონის სამომხმარებლო კლასისა და მასში განსაზღვრული მეთოდების გამოყენებით. ასევე, შევქმნათ სამომხმარებლო მოდული და მოვახდინოთ მისი იმპორტირება პითონის ხელისმიერ ფაილში.

ჩვენი მიზანია, მკითხველს ვაწვენოთ, რომ სამომხმარებლო მოდულიდან კლასის ნებისმიერი მეთოდის გამოძახება საკმაოდ მარტივად პპოვებს ასახვას არა მხოლოდ **Pycharm** ინტეგრირებულ გარემოში, არამედ **DB Browser (SQLite)**-შიც.

სამომხმარებლო მოდულის შესაბამის პროგრამულ კოდს შემდეგი სახე აქვს:

```
import sqlite3 as sql
con=sql.connect('students.db') #ბაზასთან კავშირის დამყარება
cur=con.cursor()
class student:
    def students_db(self): #ცხრილის შექმნა და შევსება
        cur.execute("""CREATE TABLE IF NOT EXISTS students(
student_name TEXT,
student_surname TEXT,
personal_number TEXT,
group_number INTEGER,
student_age INTEGER
)
""")
        con.commit()
    students_list=[

        ( 'ანა', 'მარგველაშვილი', '01023492834', 8071, 24),
        ( 'მარიამ', 'ასანიძე', '01022837612', 8071, 25),
        ( 'გიორგი', 'ნათენაძე', '01029056934', 8071, 24),
        ( 'ლევან', 'დადიანი', '01024069780', 8071, 26),
        ( 'ნუცა', 'მაჭავარიანი', '01024079854', 8071, 24),
        ( 'მიხეილ', 'ენუქიძე', '01020956835', 8071, 25),
        ( 'თამარ', 'ახობაძე', '01023409518', 8071, 24),
    ]
    cur.executemany("INSERT INTO students VALUES(?, ?, ?, ?, ?);", students_list)
    con.commit()
def view_db(self): #ცხრილის ჩვენება
    cur.execute("SELECT * FROM students")
    print( საწყისი ცხრილი: )
    for x in cur:
        print(x)
def criteria_db(self): #საჭირო მონაცემების წარმოდგენა
results = cur.execute("SELECT student_name, student_age FROM students").fetchall()
print("\nსტუდენტთა სახელები და ასაკი:")
for t in results:
    print(t)
def sort_db(self): #ცხრილის დახარისხება ასაკის მიხედვით კლებადობით
results2 = cur.execute("SELECT * FROM students ORDER BY student_age DESC").fetchall()
print("\nასაკის მიხედვით კლებადობით დახარისხებული ცხრილი:")
for t in results2:
    print(t)
def update_db(self): #მონაცემის ცვლილება
cur.execute("UPDATE students SET student_age==? WHERE student_age==?", (27, 26))
    con.commit()
    cur.execute("SELECT * FROM students")
    print("\nცვლილება ცხრილში:")
    for p in cur:
        print(p)
def delete_db(self): #ცხრილის წაშლა
```

```
cur.execute("DROP TABLE students")
con.commit()
```

მოდულის იმპორტირება, student კლასის ობიექტის შექმნა და მეთოდების გამოძახება:

```
from mymodule import student
ob=student()
ob.students_db()
ob.view_db()
ob.criteria_db()
ob.sort_db()
ob.update_db()
ob.delete_db()
```

შედეგები **DB Browser (SQLite)**-ში:

საწყისი ცხრილი პირველ სურათზეა ნაჩვენები, ხოლო ასაკის მიხედვით კლებადობით დახარისხებული ცხრილი Pycharm ინტეგრირებულ გარემოში – მე-2 სურათზე. კონსოლზე მიღებული შედეგები ასახულია მე-3 სურათზე.

	student_name	student_surname	personal_number	group_number	student_age
	Filter	Filter	Filter	Filter	Filter
1	ანა	მარგველაშვილი	01023492834	8071	24
2	მარიამ	ასანიძე	01022837612	8071	25
3	გიორგი	ნათენაძე	01029056934	8071	24
4	ლევან	დადიანი	01024069780	8071	27
5	ნუსა	მაჭავარიანი	01024079854	8071	24
6	მიხეილ	ენუქიძე	01020956835	8071	25
7	თამარ	ახობაძე	01023409518	8071	24

სურ. 1. საწყისი ცხრილი

	student_name	student_surname	personal_number	group_number	student_age
	Filter	Filter	Filter	Filter	Filter
1	ლევან	დადიანი	01024069780	8071	27
2	მარიამ	ასანიძე	01022837612	8071	25
3	მიხეილ	ენუქიძე	01020956835	8071	25
4	ანა	მარგველაშვილი	01023492834	8071	24
5	გიორგი	ნათენაძე	01029056934	8071	24
6	ნუსა	მაჭავარიანი	01024079854	8071	24
7	თამარ	ახობაძე	01023409518	8071	24

სურ. 2. ასაკის მიხედვით კლებადობით დახარისხებული ცხრილი
შედეგები კონსოლზე Pycharm ინტეგრირებულ გარემოში:

```

anyfile
C:/Python34/python.exe C:/Users/Pc/PycharmProjects
საწყისი ცხრილი:
('ანა', 'მარგველაშვილი', '01023492834', 8071, 24)
('მარიამ', 'ასანიძე', '01022837612', 8071, 25)
('გიორგი', 'ნათენაძე', '01029056934', 8071, 24)
('ლევან', 'დადიანი', '01024069780', 8071, 26)
('ნუცა', 'მაჭავარიანი', '01024079854', 8071, 24)
('მიხეილ', 'ენუქიძე', '01020956835', 8071, 25)
('თამარ', 'ახობაძე', '01023409518', 8071, 24)

სტუდენტთა სახელები და ასაკი:
('ანა', 24)
('მარიამ', 25)
('გიორგი', 24)
('ლევან', 26)
('ნუცა', 24)
('მიხეილ', 25)
('თამარ', 24)

ცვლილება ცხრილში:
('ანა', 'მარგველაშვილი', '01023492834', 8071, 24)
('მარიამ', 'ასანიძე', '01022837612', 8071, 25)
('გიორგი', 'ნათენაძე', '01029056934', 8071, 24)
('ლევან', 'დადიანი', '01024069780', 8071, 27)
('ნუცა', 'მაჭავარიანი', '01024079854', 8071, 24)
('მიხეილ', 'ენუქიძე', '01020956835', 8071, 25)
('თამარ', 'ახობაძე', '01023409518', 8071, 24)

ასაკის მიხედვით კლებადობით დახარისხებული ცხრილი:
('ლევან', 'დადიანი', '01024069780', 8071, 27)
('მარიამ', 'ასანიძე', '01022837612', 8071, 25)
('მიხეილ', 'ენუქიძე', '01020956835', 8071, 25)
('ანა', 'მარგველაშვილი', '01023492834', 8071, 24)
('გიორგი', 'ნათენაძე', '01029056934', 8071, 24)
('ნუცა', 'მაჭავარიანი', '01024079854', 8071, 24)
('თამარ', 'ახობაძე', '01023409518', 8071, 24)

```

სურ. 3. შედეგები კონსოლზე

3. დასკვნა

სტატიაში წარმოდგენილი პროგრამული კოდის მიხედვით, ადგილი შესამჩნევია, თუ რამდენად მარტივად შესაძლებელია ვმართოთ მონაცემთა ბაზა პითონზე Pycharm ინტეგრირებულ გარემოში ობიექტზე ორიენტირებული მიღებომით და კიდევ ერთხელ დავრწმუნდეთ, რომ **SQLite** არის მონაცემთა ბაზების მართვის სწრაფი, საიმედო სისტემა, რომელიც MySQL, PostgreSQL, Oracle მონაცემთა ბაზების მართვის

სისტემებისგან განსახვავებით, ორიენტირებულია ეპონომიაზე, საიმედოობასა და სი-
მარტივებე.

ლიტერატურა

1. სურგულაძე გ., შონია ო., ყვავაძე ლ. მონაცემთა ბაზების მართვის სისტემები: Ms Access, SQL Server, InterBase, Oracle, Corba. -თბილისი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, 2004, 445 გვ.
2. Rick F. van der Lans. The SQL guide to SQLite. Published by O'Reilly Media, Inc. USA. 2009, 517 p.
3. Lutz M. Learning Python. 5th Edition. Published by O'Reilly Media, Inc. USA. 2013, 1640 p.
4. ლ. გაჩეჩილაძე. დაპროგრამების ენა Python. -თბილისი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, 2018, 157 გვ.

SUMMARY

MANAGEMENT OF DATABASE ON PYTHON PROGRAMMING LANGUAGE

Gachechiladze L.P. and Margvelashvili A.G.

Georgian Technical University

The paper deals with database management issues from the point of view of using object-oriented programming tools on the Python programming language. In the article are related to each other the Pycharm framework and database management system DB Browser (SQLite).

Keywords: DBMS – Database Management System, SQL - Structured Query Language, DB Browser (SQLite), Pycharm - Integrated environment, Python - Object-Oriented Programming Language.

მეორადი გეზონის სიმულაციის მახასიათებლების კვლევა

ცირკები 6.თ., პიკვიძე ო.გ., ბარათაშვილი მ.კ., ბალანჩივაძე მ.ვ.

აკაკი წერეთლის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი

სამშენებლო ნარჩენების უტილიზაცია დღეისთვის ითვლება ერთ-ერთ მნიშვნელოვან პრობლემად სამშენებლო დარგში. ევროსოციაციის მონაცემებით შენობების ნგრევის შედეგად მთელს პლანეტაზე ყოველდღიურად გროვდება 2,5 მილიარდი ტონა სამშენებლო ნარჩენები მათ შორის მარტო ევროპაში 200 მილიონი ტონა.

დღეისთვის არსებობს სამშენებლო ნარჩენების უტილიზაციის 2 მეთოდი 1) სამშენებლო ნარჩენების დამარხვა სპეციალურად გამოყოფილ პოლიგონებზე ან სანაგვებზე; 2) სამშენებლო ნარჩენების სრული გადამუშავება სპეციალური ტექნიკით.

რეინაბეტონის გადამუშავება მეორადი გამოყენებისათვის ორმაგ სარგებელს იძლევა 1) გამოთავისუფლება ბეტონიდან მეტალის ჩასატანებელი დეტალები და არმატურა, ხდება მათი გადადნობა და მეორედ გამოყენება. 2) ბეტონის ნარჩენები გადამუშავების შემდეგ თითქმის მთლიანად გამოიყენება მეორადი ბეტონის დასამზადებლად როგორც შემავსებელი და აგრეთვე როგორც ბალასტი საგზაო სატრანსპორტო წარმოებაში, ქვასამსხვრევი მოწყობილობები რკინა-ბეტონის გადამუშავებისთვის შედეგა 2 ან 3 კონსტრუქციული ნაწილისაგან: ხედლეული ხვდება სამსხვრევში სადაც ხდება მათი დამტკრევა, შემდეგ გადადის მაგნიტურ სეპარატორში სადაც ხდება არმატურის გამოცალკავება და დანარჩენი მასა გადადის სამსხვრევში და ხდება მათი ფრაქციებად დაყოფა.

რეინაბეტონის უტილიზაციას დიდი ეკონომიური ეფექტი იყოფა მრავალ ფაქტორად, ამათგან უმთავრესია დაბალი თვითდირებულება მეორადი ღორღის რომლის ფასი 2-ჯერ ნაკლებია ვიდრე გრანიტის ღორღის.

ბეტონი თანამედროვე შემნებლობაში ძირითადი საშენი მასალა, რომელიც მშენებლობის მოცულობის თითქმის 60 % შეადგენს. იგი, უნივერსალური და უნიკალურია იმით, რომ გამოიყენება მშენებლობის თითქმის ყველა დარგში. ყველა შენობა ნაგებობა გარკვეული დროის შემდეგ საჭიროებს განახლებას, ბეტონს აქვს ის უნიკალური თვისება, ნორმალური ექსპლუატაციის პირობებში მისი სიმტკიცე ექსპლუატაციის სტადიაზე, მიაღწევს რა საპროექტო სიმტკიცეს 28 დღის შემდეგ, გარკვეული დროის განმავლობაში კიდევ უფრო იზრდება.

საქართველოში ისევე როგორც მთელ მსოფლიოში მშენებლობა ქვეყნის ეკონომიკის უმნიშვნელოვანესი დარგია, ძველ შენობა-ნაგებობებს ცვლის ახალი. ძველი შენობების ნგრევის პროცესის შედეგად წარმოიქმნება ნარჩენები, მაგალითად, როგორიც არის მეორადი ღორღი და ქვიშა.

მეორადი ბეტონის გადამუშავების შედეგად მიღებული ინერტული მასალა შეიძლება გადამუშავდეს და გამოვიყენოთ შემავსებლად ახალი ბეტონის მისაღებად. ამ საკითხით ჯერ კიდევ მე-20 საუკუნის 70–80-იან წლებში დაინტერესდნენ.

საავტომობილო გზების მშენებლობისას მეორადი ბეტონისაგან მიღებული სხვადასხვა ფრაქციის სახით წარმოდგენილი ნედლეული აქტიურად შეიძლება იქნას გამოყენებული, მისი მეშვეობით შეიძლება ინერტული მასალის ჩანაცვლება საფარის მოწყობის მიზნით წარმოებულ ბეტონში, რითაც საგრძნობლად მცირდება მასალის თვითდირებულება და უზრუნველყოფს მასალის ერთგვაროვნებას და დასასტაბილურებს მის ფიზიკურ-მექანიკურ თვისებებს. განსაკუთრებით მნიშვნელოვანი შედეგები შეიძლება მიღწეული იქნას ბეტონის მეორადი ნედლეულის გამოყენებისას საავტომობილო გზების სხვადასხვა ფენების მოსაწყობად, ამ დროს მინიმუმადე შეიძლება ნარჩენი დეფორმაციის მაჩვენებლის დაყვანა და მასალის პლასტიკური დეფორმაციის პროექტით განსაზღვრული მაჩვენებლების უზრუნველყოფა. ამ მახასიათებლების მკვეთრად სტაბილური მაჩვენებლების უზრუნველყოფა მნიშვნელოვანია გზების, ხიდების და გვირაბების მისასვლელებთან. მეორადი ბეტონის გამოყენება აქტუალურია ისეთი რეგიონებისთვის სადაც ბუნებრივი შემავსებლები, როგორიცაა ქვიშა, ღორღი, ნაკლებად ხელმისაწვდომია.

ექსპერიმენტული კვლევის მიზანია, ბეტონის ნარჩენების გადამუშავებით მიღებული სამშენებლო მასალის (ბეტონი) მექანიკური მახასიათებლების შესაწავლა და მათი გამოყენების არეალის დადგენა. სტაციაში განხილულია ბეტონის ნარჩენების მეორადი გამოყენების შესაძლებლობები, წარმოდგენილია მათი მეორედ გამოყენებისას გარემოზე ზიანის მიუენების მასშტაბების შემცირების შესაძლებლობები [2].

მიზნის მიღწევისათვის აღებული იქნა ქალაქ ქუთაისის გარეუბნებში უკონტროლოდ მიმოფანტული ბეტონის ნარჩენები, რომლებიც გადამუშავებული იქნა სამსახურებ-109 აპარატში. მოხდა ნამსხვრევების სეპარაცია, განისაზღვრა მეორადი დორდის გრანუმეტრიული შედგენილობა. სამსხვრევიდან აღებული სინჯი გატარებულ იქნა ცხაურებში. განხორციელდა დორდის და ქვიშის სარისხის შემოწმება ლაბორატორიულ პირობებში.

სინჯის წონამ შეადგინა: 115900 გრამი, ჩატარდა დორდის გრანულომეტრიული შედგენილობის განსაზღვრა (საცრითი ანალიზი) საცრების ზომა იყო: 40, 20, 10,5, (მმ), მირი. ნარჩენი თითოეულ საცერზე პროცენტებში გამოითვლება ფორმულით $a_i = m_i / m * 100\%$, სადაც m_i არის ნარჩენის წონა მოცემულ საცერზე. m – არის სინჯის საერთო წონა გრამებში. მაგალითად: $a_{i1}=41000/115900*100=35,35\%$ ასევე გამოვითვალეთ დანარჩენი საცრებისათვის და შედეგები შეტანილია ცხრ. 1-ში.

ცხრილი 1. მეორადი ბეტონის ფრაქციები პროცენტებში

ნარჩენი საცრებზე	საცრის ხვრების ზომები მმ-ში				
	40	20	10	5	მირი
ნარჩენი გრ-ში	41000	21900	24300	13800	14900
ნარჩენი %	35,37	18,89	20,96	11,91	12,85
სრული ნარჩენი %	35,37	54,26	75,22	87,13	99,98

გამოთვლილი იქნა: დორდის სიმკვრივე ნაყარ მდგომარეობაში: ცდა ჩატარდა სამჯერ, 1. $1710-220=1490$, 2. $1720-220=1500$. 3. $1730-220=1510$. ტარის წონა იყო 220 გრამი. საშუალო სიმკვრივე ტოლია $(1490+1500+1510):3=1500 \text{ კგ/მ}^3$.

გამოთვლილი იქნა დორდში ბრტყელი და ნემსისებური მარცვლების რაოდენობა ვიზუალური მეთოდით, ამისათვის ავიდეთ 2000 გრამი დორდი, ვიზუალური დათვალიერებით ამოვარჩიეთ ბრტყელი და ნემსისებური მარცვლები და ავტონეტ რამაც შეადგნა 660 გრამი, გამოვთვალეთ პროცენტული შემცველობა: $660:2000*100=33\%$

შემოწმებული იქნა ქვიშის სარისხი:

1. ქვიშის სიმკვრივე ნაყარ მდგომარეობაში. ცდა ჩატარდა სამჯერ, ტარის წონა იყო 220 გრამი. 1. $1600-220=1380 \text{ კგ/მ}^3$, 2. $1620-220=1400 \text{ კგ/მ}^3$, $1630-220=1410 \text{ კგ/მ}^3$ ქვიშის საშუალო სიმკვრივე ტოლია $(1380+1400+1410):3=1396,6 \text{ კგ/მ}^3$

ქვიშის გრანუმეტრიული შედგენილობა განისაზღვრა:

სინჯის წონა 1000 გრ, საცრის ხვრების ზომებია 2,5; 1,25; 0,63; 0,315; 0,16 მმ.

ცდის შედეგები შეტანილია ცხრ. 2-ში.

ცხრილი 2. ქვიშის გრანუმეტრიული შედგენილობა

ნარჩენი საცრებზე	საცრის ხვრების ზომები მმ				
	2,5	1,25	0,63	0,315	0,16, მირი
ნარჩენი გრ-ში	390	175	150	175	80 30
ნარჩენი %-ში	39,0	17,5	15,0	17,5	8,0 3,0
სრული ნარჩენი %-ში	39,0	56,5	71,5	89,0	97,0 100

განისაზღვრა ქვიშის სიმსხოს მოდული ფორმულით:

$$M_{\text{სიმსხ.}} = (39,0 + 56,5 + 71,5 + 89,0 + 97,0) : 100 = 3,53$$

გამოთვლილ იქნა ქვიშაში თიხოვანი, მტკრისებრი და ლამოვანი მინარევების რაოდენობა განლექვის მეთოდით:

სინჯის წონა – (m) 1000 გრ. გარეცხილი ქვიშის წონა – (m₁) 965-გრამი

$$\Pi_{\text{განლ.}} = \frac{m - m_1}{m} \cdot 100\% = \frac{1000 - 965}{1000} \cdot 100\% = 35$$

დასკვნა:

სახელმწიფო სტანდარტის და საამშენებლო ნორმების მიხედვით 0,63 საცერზე ნარჩენისა და სიმსხოს მოდულის მიხედვით ქვიშა მიეკუთვნება მსხვილი ქვიშების ჯგუფს.

ექსპერიმენტისთვის შემკვრელად გამოყენებული იქნა პორტლანდ ცემენტი M-500-42,5 R.

ვცადეთ ბეტონის დამზადება ღორღისაგან ფრაქციით 40 მმ, ცემენტისაგან და წყლისაგან, რადგან არ დავამატეთ წერილი შემასავსებელი, ბეტონი არ შეიკრა და ნიმუშები ვერ დავამზადეთ. ამიტომ უმჯობესია მეორადი ღორღი ფრაქციით 40 მმ გამოყენებული იქნას საგზაო და სატრანსფორმო მშენებლობაში გზების მოსაშანდა-გებლად.

შერჩეული იქნა შედგენილობა 1 მ³ ბეტონისათვის [4]:

ცემენტი: 339 კგ, ღორღი: 1326 კგ, ღორღის ფრაქცია (20–10), ქვიშა: 491 კგ, წყა-ლი: 213 ლ, დანამატი: 19 გრამი (1,4 % ცემენტის წონიდან).

დამზადდა 9 ნიმუში ზომით (100*100*100) მმ, ზემოთ მოცემული შედგენილო-ბით. ნიმუშები მოიზიდა მექანიკურად ხელით, სამი სხვადასხვა პიროვნების მიერ, ნი-მუშებს გავუკეთეთ ეტიპები, დავაფარეთ სველი გაწურული ტილო და დავტოვეთ ოთახის ტემპერატურაზე 24 საათის განმავლობაში, (ნახ. 1) ყალიბები გაისხნა და გა-ნისაზღვრა ნიმუშების წონა, პირველი სამეულის წონაა (2420 გრ 2290 გრ 2350 გრ); მეორე სამეულის წონაა: (2420 გრ 2290 გრ 2350 გრ) მესამე სამეულის წონაა (2370 გრ 2345 გრ 2350 გრ) ნიმუშები ყალიბებიდან ამოღების შემდეგ ჩაიწყო აბაზანაში სადაც წყლის ტემპერატურა მერყეობდა 18⁰ ± 2⁰.



ნახ.1. ნიმუში ყალიბში

გამოსაცდელი ნიმუში აბაზანიდან ამოღების შემდეგ ყოვნდებოდა 24 საათი ოთახის ტემპერატურაზე. ნიმუშები გამოიცადა მე-7 დღეს, აღებული იქნა თითო სა-მეულიდან თითო ნიმუში, ასევე მე-14 და 28-ე დღეს [4] (ნახ.2.) პირველი სამეულის შედეგები მოცემულია ცხრ. 3-ში.



ნახ. 2. ნიმუშის გამოცდა ჭნებში

ცხრილი 3. ნიმუშების გამოცდის შედეგები

N	ნიმუშის წონა, გ	ნიმუშის ასაკი და გამოცდის თარიღი	ჭნების მაჩვენებელი, კნ	ჭნების საშუა- ლო მაჩვენებელი	სიმტკიცე, მგპა
1	2420	15,04 (7დღე)	137 139,6 138,7	138,4	13,84
2	2290	22,02 (14დღე)	275,5 278,5 276,4	276,9	27,69
3	2350	8,03 (28 დღე)	290 290,7 287,85	289,5	28,95

გამოთვლილი იქნა ჭნების მაჩვენებლის საშუალო მნიშვნელობა,

$$m = \sum \frac{mi}{n} = \frac{(137 + 139,6 + 138,7)}{3} = 138,4 \text{ კნ}$$

დადგენილი იქნა მიღებული საშუალო მნიშვნელობების საიმედოობის ინტერ-
ვალები [5].

$$I_{\beta} = (m - t_{\beta} \sigma_m) (m + t_{\beta} \sigma_m) \quad (1)$$

სადაც, t_{β} -ს მნიშვნელობა აიღება ცხრილიდან ნორმალური განაწილებისათვის β -ს
მიხედვით. $\beta=0,8$. შესაბამისად $t_{\beta}=1,282$ [5].

საშუალო კვადრატული გადახრა ნმ განისაზღვრება ფორმულით:

$$\sigma_m = \sqrt{\frac{D}{n}}$$

დისპერსიის შეფასებისათვის ვიღებთ სტატისტიკურ დისპერსიას

$$D = \sum \frac{(mi - m)^2}{n-1} = \frac{1}{2} [(137 - 138,4)^2 + (139,6 - 138,4)^2 + (138,7 - 138,4)^2] = 1,745$$

$$\sigma_m = \sqrt{\frac{1,745}{3}} = 0,76$$

$$\text{საიმედოობის მიღამო } \varepsilon = t_\beta * \sigma_m = 1,282 * 0,76 = 0,97$$

პირველი ფორმულით შესაბამისად ინტერვალი განისაზღვრება როგორც
 $I_\beta = (138,4 - 0,97; 138,4 + 0,97)$ საიმედოობის ინტერვალი 7 დღეზე [137,43; 139,37].

ნიმუშებისათბის ანალოგიურად იქნა დადგენილი საიმედოობის ინტერვალები
 მე-14 და 28-ე დღეზე. [202,13; 207,87] [288,65; 298,34]

ექსპერიმენტების შედეგების ანალიზით დადგინდა, რომ მიღებულ იქნა M-300
 მარკის, B-22,5 კლასის ბეტონი. რომელსაც აქვს ფართო გამოყენება, მას იყენებენ
 ინდივიდუალური სახლების მშენებლობაში, საშუალო სიმაღლის კორპუსების მშენებ-
 ლობაში, თითქმის ყველგან მაღლივი შენობებისა და წყალქვეშა კონსტრუქციების
 გარდა.

ბეტონისა და რკინაბეტონის ნარჩენების დამუშავებით შეიძლება გადაიჭრას
 მთელი რიგი ამოცანები ნედლეულის მიწოდებიდან დაწყებული რიგი ეკოლოგიური
 საკითხებით დამთავრებული. მეორადი ნედლეულის ფართოდ დანერგვისათვის სამშე-
 ნებლო საქმეში აუცილებელია დამუშავდეს სტანდარტები და მეორადი დორდის
 გამოყენების ტექნიკური პირობები.

ლიტერატურა

1. კვერდელიძე ნ. პოლიტიკის კვლევა მყარი ნარჩენების მართვა საქართველოში, საქართველო-2019, 18 გვ. კვლევა, Regional Program Political Dialogue South Caucasus, Policy and Management Consulting Group – PMCG.
2. Cleanup Georgia, “Report on Municipal Solid Waste Management in Georgia”.
http://www.cleanup.ge/documents/report_eng.pdf 2012.
3. Л.И. Дворкин, В.И. Гон, О.Л. Дворкин. Испытания бетонов и растворов. Проектирование их составов. –Москва, Инфра-инженерия, 2017, 236 с.
4. Я. Н. Ковалева.. Строительные материалы лабораторный практикум. –Минск, Новое знание, Москва, инфра-М 1996, 214 с.
5. თ. კოვიძე. ექსპერიმენტის დაგეგმვა და ანალიზი. საქართველო, 2017, 198 გვ.

SUMMARY

STUDY OF THE STRENGTH CHARACTERISTIC OF SECONDARY TOKEN

Tsirekidze N.T., Kikvidze O.G., Baratashvili M.P. and Balanchivadze M.V.

Akaki Tsereteli State University

The article examines the strength of construction concrete samples made from recycled raw materials. Experiments show that it is possible to obtain M-300 grade B-22.5 grade concrete, which, given its strength and physical-mechanical characteristics, can be used in the construction of houses, medium-height buildings. Almost everywhere except high-rise and underwater structures, based on research results, we can conclude that in the manufacture of concrete structures or other types of materials it is possible to effectively use concrete waste as a secondary raw material, which is important in terms of environmental protection.

Keywords: second-hand concrete, concrete debris recycling, waste management, hardness.

ერთპარაგობა კოლეგიალურის ნაშროვი იზოლაციით შესრულებულ გაპელებში
მიმდინარე ელექტრომაგნიტური პროცესების გამოკვლევა და ეპრანის დამიწების
მეთოდის ბაზლენა ტემპერატურულ რეზისის

რთველაძე ნ.ო.

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

შესავალი.

ელექტრომომარაგების სისტემის საშუალო ძაბვის ქსელების მუშაობის საიმედობას ქსელის ელექტრომომარაგების ტრაქტში მონაწილე ყველა ძირითადი ელემენტის გამართული და შეუფერხებელი მუშაობა განაპირობებს [1]. აღსანიშნავია, რომ ქალაქების ელექტრომომარაგების სისტემის საშუალო ძაბვის ქსელებში განვითარებული ავარიული გამორთვების ძირითადი წილი საკაბელო ხაზების დაზიანებებზე მოდის [2]. მნიშვნელოვანია, რომ თანამედროვე ქალაქებში, ცალკეული უბნების გაზრდილი ელექტრული დატვირთვების ინტენსიური ზრდის პირობებში, სულ უფრო აქტუალური ხდება საშუალო ძაბვის ელექტრომომარაგების ქსელის ერთდარღვა კაბელებით შესრულება [3]. შესაბამისად, ერთდარღვა მშრალი იზოლაციით შესრულებული კაბელებით (ემიშკ) შესრულებულ ქსელებში მიმდინარე ელექტრომაგნიტური პროცესების გამოკვლევა და ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლების დადგნა თანამედროვე აქტუალურ პრობლემას წარმოადგენს [4]. ბოლო პერიოდში საშუალო და მაღალი ძაბვის ქსელებში (6–500 კვ), ელექტრომობმარების დონის და ელექტრული დატვირთვების სიმკვრივის ინტენსიური ზრდის შედეგად, ერთფაზა პოლიეთოლენის ნაქსოვი იზოლაციით შესრულებული ძალური კაბელების გამოყენება სულ უფრო და უფრო აუცილებელი ხდება [5].

ერთფაზა ნაქსოვი პოლიეთოლენის იზოლაციით შესრულებული კაბელები (ნპიშ), ძარღვის ძაბვის მაღალი დონის გამო, აღჭურვილია კარგი ელექტრული გამტარებლების მქონე მასალისგან (სპილენი) დამზადებული ეკრანით. მის ძირითად დანიშნულებას კაბელის მთავარ იზოლაციაზე მოქმედი ელექტრული ველის თანაბრად განაწილება წარმოადგენს და იგი შესაძლებელია მხოლოდ ეკრანის მინიმუმ ერთმხრივ დამიწების პირობებში [6].

ერთფაზა საკაბელო ხაზების პროექტირებისა და ექსპლუატაციისას მნიშვნელოვანი პრობლემები წარმოიქმნება კაბელის ეკრანში დაინდუქტირებული გრძივი დენებისა და ძაბვის შეზღუდვის აუცილებლობის გამო. კაბელის ეკრანში დაინდუქტირებული გრძივი დენებისა და ძაბვის, ეკრანის ერთმხრივი დამიწების ან ტრანსპოზიციის საშუალებით, ეკრანში წარმოიქმნება ძაბვა, რომელიც მნიშვნელოვნად აღემატება გარსაცმის ელექტრულ სიმბაკიცეს. ასევე, იგი საფრთხეს უქმნის კაბელთან ახლოს მყოფ ადამიანებს. აქედან გამომდინარე, აუცილებელია კაბელის ეკრანში დაინდუქტირებული დენებისა და ძაბვის განსაზღვრის მათემატიკური მოდელის დაზუსტება, კაბელების ოპტიმალური კვეთების შერჩევისათვის [7].


სამუშაოს მიზანს წარმოადგენს, საშუალო და მაღალი ძაბვის ერთფაზა კაბელებით შესრულებულ სამფაზა ქსელებში, მიმდინარე ელექტრომაგნიტური პროცესების გამოკვლევა, მათ მიერ ქსელის ელემენტებში გამოწვეული ძაბვის, სიმძლავრისა და ელექტროენერგიის დანაკარგების მიზეზების დადგენა და შეფასება. მათი კონსტრუქციული შესრულების გავლენის დადგენა მუშაობის რეჟიმებზე, ელექტრომომარაგების საიმედობასა და ქსელის მუშაობის მდგრადობაზე. შესაბამისად, კვლევებით მიღებული შედეგების ანალიზის, კრიტიკული შეფასებისა და განზოგადოების საფუძველზე, მომზადდეს საპროექტო და საექსპლუატაციო ღონისძიებების ნუსხა, რომელიც უზრუნველყოფს ქსელის მუშაობის საიმედობისა და მდგრადობის ამაღლებას, ენერგეტიკული მაჩვენებლებისა და ენერგოეფექტურობის გაუმჯობესებას, საექსპლოაციო უსაფრთხოებას.

კვლევის მასალები და შედეგები.

საშუალო და მაღალი ძაბვის ერთფაზა კაბელებით აღჭურვილი სამფაზა საკაბელო ქსელების მუშაობის საიმედობა, მდგრადობა, თბური რეჟიმები, კაბელის

გამტარუნარიანობა, ენერგეტიკული მაჩვენებლები და ენერგოეფექტურობა მთლიანად განპირობებულია ქსელის ელემენტებში მიმდინარე ელექტრომაგნიტური პროცესებით, როგორც მუშაობის ნორმალურ რეჟიმებში, ასევე ავარიისა და ავარიის შემდგომ პერიოდში.

თავის მხრივ, მიმდინარე ელექტრომაგნიტური პროცესების გამოკვლევა-შესწავლა და პარამეტრების აღექვაზე შეფასება შესაძლებელია განხორციელდეს მხოლოდ ქსელის შენაცვლების ელექტრულ სქემაზე, რომელიც სრულად მოიცავს ქსელის ყველა თავისებურებებს. აღნიშნული მიდგომით, შედგენილია ნაქსოვი პოლიეთილენის იზოლაციით შესრულებულ ერთფაზა საკაბელო ქსელების შენაცვლების ელექტრული სქემა და წარმოდგენილია ნახ. 1-ზე.



ნახ. 1. ნაქსოვი პოლიეთილენის იზოლაციით შესრულებულ ერთფაზა საკაბელო ქსელების შენაცვლების ელექტრული სქემა

$L_{d\alpha}$, $L_{g\beta}$ – ძარღვისა და ეკრანის ინდუქციურობა; $C_{o\alpha}$ – ძარღვსა და ეკრანს შორის ტემპობა; $R_{d\alpha}$, $R_{g\beta}$ – ძარღვისა და ეკრანის აქტიური წინადობა; $I_{d\alpha}$, $I_{g\beta}$, $I_{o\alpha}$ – ძარღვში, ეკრანსა და იზოლაციაში გამავალი დენი.

ერთფაზა კაბელებით შესრულებული სამფაზა საკაბელო ქსელებში წარმოქმნილი სიმძლავრისა და ელექტრომაგნიტურ პროცესებზე დამოკიდებული და ქსელი ცალკეული ფაზის კაბელის დატვირთვის ან მოკლედშერთვის დენებითაა განპირობებული.

სამფაზა ქსელში ჯამური აქტიური სიმძლავრის დანაკარგები მუშაობის ნორმალურ რეჟიმისათვის შემდეგი გამოსახულებით განისაზღვრება:

$$\Delta P_{\text{საკაბ. ქსელ}} = \Delta P_{\text{კაბA}} + \Delta P_{\text{კაბB}} + \Delta P_{\text{კაბC}} \quad (1)$$

სადაც $\Delta P_{\text{კაბA}}, P_{\text{კაბB}}, P_{\text{კაბC}}$ – A, B და C ფაზებში დატვირთვის დენის გავლის შედეგად გამოწვეული სიმძლავრის დანაკარგებია.

საკაბელო ქსელის ერთი ფაზის ერთძარღვა კაბელში არსებული აქტიური სიმძლავრისა და აქტიური ენერგიის დანაკარგები შემდეგი გამოსახულებით განისაზღვრება:

$$\begin{aligned} \Delta P_{\text{კაბA}} &= \Delta P_{\text{ძარA}} + \Delta P_{\text{o\alpha A}} + \Delta P_{\text{ეკ\alpha A}} \\ \Delta W_{\text{კაბA}} &= \Delta W_{\text{ძარA}} + \Delta W_{\text{o\alpha A}} + \Delta W_{\text{ეკ\alpha A}} \end{aligned} \quad (2)$$


სადაც $\Delta P_{\text{ძარA}}$ – კაბელის ძარღვის აქტიურ წინააღმდეგობაში დატვირთვის დენის გავლის შედეგად გამოყოფილი დანაკარგები. იგი მხოლოდ დატვირთვის დენის სიდიდეზეა დამოკიდებული; $\Delta P_{\text{o\alpha A}}$ – კაბელის ძარღვისა და გარსაცმის შორის იზოლაციაში ტემპობაში დენით განპირობებული დანაკარგებია. იგი დამოკიდებულია კაბელის ძარღვსა და ეკრანს შორის წარმოქმნილ ძაბვის სიდიდესა და სიხშირეზე. მნიშვნელოვანია კაბელის ძარღვის დატვირთვის განვითარება, რომელიც განახორციელდება კაბელის გადამზადების დროის განვითარების საფუძველზე.

ლოგანია, რომ დამახინჯებული ძაბვის მრუდის ფორმის შემთხვევაში, იგი დამოკიდებულია მაღალი რიგის პარმონიკების სპექტრის პარამეტრებზე; $\Delta P_{\text{კრ}} -$ კაბელის ეპრანში ძარღვში გამავალი დენით აღძრული ემდის შედეგად განპირობებული დენებით გამოწვეული დანაკარგებია;

მნიშვნელოვანია, რომ ერთფაზა კაბელებით შესრულებული სამფაზა საკაბელო ქსელებში მიმდინარე ელექტრომაგნიტური პროცესები ერთფაზა თრგრაგნილა ძალოვანი ტრანსფორმატორში, მიმდინარე პროცესების ანალოგიურია. კერძოდ, ორმხრივ დამიწებული ეკრანის პირობებში კაბელში მიმდინარე პროცესები მოკლედ შერთვის რეჟიმში მომუშავე ძალოვანი ტრანსფორმატორის იდენტურია, ხოლო ერთმხრივ დამიწებული და ტრანსპოზიცირებული ეკრანის შემთხვევებში უქმი სვლის რეჟიმში მომუშავე ძალოვანი ტრანსფორმატორისა. შესაბამისად, ერთფაზა ძალოვანი კაბელების შესწავლისას, შეიძლება გამოვიყენოთ ძალოვანი ტრანსფორმატორების შენაცვლების სქემები შემოთავაზებული შენაცვლების სქემის პარამეტრების გათვალისწინებით.

ერთფაზა კაბელებით შესრულებული სამფაზა საკაბელო ქსელი „ორმხრივ დამიწებული ეკრანით“, „ერთმხრივ დამიწებული ეკრანით“, „შუა დამიწებული ეკრანით“, „დასექციონირებული ეკრანით“, „სრული ციკლით ტრანსპოზიცირებული ეკრანით“, „ორმაგი ციკლით ტრანსპოზიცირებული შუა დამიწებული ეკრანით“ და „ორმაგი ციკლით ტრანსპოზიცირებული ეკრანით“.

„ორმხრივ დამიწებული ეკრანით“ სქემის შემთხვევაში ეკრანში დაინდუქტირებულმა დენმა შეიძლება კაბელის ძარღვში გამავალ დენის სიდიდეს მიაღწიოს და ეკრანის მაქსიმალურ დასაშვებ (თერმიული მდგრადობის) დენს გადააჭარბოს. ეკრანში დაინდუქტირებული დენის შემცირების, თბური რეჟიმის გაუმჯობესებისა და კაბელის გამტარუნარიანობის გაზრდის მიზნით, გამოიყენება სქემა „ერთმხრივ დამიწებული ეკრანით“ (ნახ. 2).




ნახ. 2. ერთფაზა კაბელებით შესრულებული სამფაზა საკაბელო ქსელი ორმხრივ დამიწებული ეკრანით (ა); ეკრანში დატვირთვის დენის მიერ დაინდუქტირებული ძაბვის განაწილება საკაბელო ხაზის გასწვრივ (ბ).

მნიშვნელოვანია, რომ „ერთმხრივ დამიწებული ეკრანის“ სქემის შემთხვევაში, არ არსებობს ეკრანში დაინდუქტირებული ემდის დენის გავლის კონტური, როგორც

მუშაობის ნორმალური რეჟიმის, ასევე საკაბელო ხაზის გარეთ წარმოქმნილი გამჭოლი მოკლედ შერთვისას. ეკრანში ძაბვის სიდიდე კაბელის სიგრძის პროპორციულად იზრდება და ეკრანის დაუმიწებელ ბოლოსა და მიწას შორის მაქსიმალურ მიშვნელობას აღწევს. მეზობელი ფაზების ეკრანების დაუმიწებელ ბოლოებს შორის ძაბვა $\sqrt{3}$ -ჯერ აღემატება ერთი ფაზის ეკრანისა და მიწას შორის ძაბვას.


ეკრანსა და მიწას შორის წარმოქმნილი ძაბვის შემცირების მიზნით, შემოთავაზებულია სქემა „დასექციონირებული ერთმხრივ დამიწებული ეკრანით“ (ნახ. 3). ამ შემოთხვევაში, კაბელის დაუმიწებელი ეკრანის ბოლოს არსებული ძაბვა თანაბრად ნაწილდება სექციებზე. მნიშვნელოვანია, რომ სექციების რაოდენობას ხაზის სიგრძე და გადასაცემი სიმძლავრე (დენი) განსაზღვრავს. ეკრანსა და მიწას შორის, გამჭოლი, მოკლედ შერთვების შედეგად წარმოქმნილი გადაძაბვების შემცირებისათვის, ყოველი სექციის დაუმიწებელ ბოლოსთან გათვალისწინებულია გადაძაბვებისაგან შემზღვდავების ჩართვა.



ნახ. 3. ერთფაზა კაბელებით შესრულებული სამფაზა საკაბელო ქსელი დასექციონირებული ეკრანით (ა); ეკრანში დატვირთვის დენის მიერ დაინდუქტირებული ძაბვის განაწილება საკაბელო ხაზის გასწვრივ (ბ).

უნდა აღინიშნოს, რომ ერთფაზა საკაბელო ქსელების დასექციონირებული და განსაკუთრებით, ტრანსპოზიციორებული ეკრანით სქემების განხორციელება მოითხოვს ძვირადღირებულ მოწყობილობებს და დიდი მოცულობის სამონტაჟო სამუშაოებს. ასევე, რთულია მათი საექსპლუატაციო მომსახურება.

ზემოაღნიშნული ნაკლოვანებების გამოსწორების მიზნით, ერთფაზა საკაბელო ქსელების ეკრანის დამიწების არსებული მეთოდების ანალიზის საფუძველზე, „დასექციონირებული ერთმხრივ დამიწებული ეკრანით“ და „შუადამიწებული ეკრანით“ მეთოდების სინთეზის საფუძველზე, შემოთავაზებულია ეკრანის დამიწების ოპტიმალური სქემა (მეთოდი): „დასექციონირებული შუადამიწებული ეკრანით“ (ნახ. 4).



ნახ. 4. ერთფაზა კაბელებით შესრულებული სამფაზა საკაბელო ქსელი „დასექციონირებული შუადამიწებული ეკრანით“ (ა); და ეკრანში დატვირთვის დენის მიერ დანართუქტირებული ძაბვის განაწილება საკაბელო ხაზის გასწვრივ (ბ).

საკაბელო ხაზები „დასექციონირებული შუადამიწებული ეკრანით“ გამოირჩევა მუშაობის მაღალი საიმედოობით, საექსპლუატაციო უსაფრთხოებით, მაღალი ენერგეტიკული მაჩვენებლებით და გამტარუნარიანობით. აღნიშნული სქემის გამოყენება შეიძლება გრძელი საკაბელო ქსელების შემთხვევაში, იგი უზრუნველყოფს ქსელის ძვირადღირებული მოწყობილობების ეკონომიას, ქსელის სამოწაულო სამუშაოების მოცულობის შემცირებასა და საექსპლუატაციო მომსახურების გამარტივებას.

დასკვნა

ნაშრომში ჩატარებული სამუშაოების, თემის ირგვლივ არსებული მსოფლიოში გამოჩენილი მეცნიერების მიერ გამოქვეყნებული თეორიული და ექსპერიმენტული გამოკვლევებით მიღებული შედეგებისა და ექსპლუატაციაში დასაქმებული სპეციალისტების მიერ დაგროვილი გამოცდილების ამსახველი მასალის შესწავლის, ანალიზისა და შეფასების საფუძვლზე გაკათებულია შემდგენ დასკვნები:

ერთფაზა ნაქსოვი პოლიეთილენის იზოლაციით შესრულებულ სამფაზა საკაბელო ქსელებში მიმდინარე ელექტრომაგნიტური პროცესების გამოკვლევისა, მათ მიერ გამოწვეული სიმძლავრისა და ელექტროენერგიის დანაკარგების შეფასებისა და კაბელის გამტარუნარიანობაზე გავლენის დადგენისათვის დამუშავებულია საკაბელო ქსელის ელექტრული ჩანაცვლების სქემა;

დასაბუთებულია, რომ ერთფაზა კაბელებით შესრულებული სამფაზა საკაბელო ქსელებში მიმდინარე ელექტრომაგნიტური პროცესები, ერთფაზა ორგრაგნილა ძალოვან ტრანსფორმატორში მიმდინარე პროცესების ანალოგიურია. კერძოდ ორმხრივ დამიწებული ეკრანის პირობებში მიმდინარე პროცესები მოკლედ შერთვის რეჟიმში მომუშავე, ხოლო ერთმხრივ დამიწებული და ტრანსპოზიცირებული ეკრანის შემთხვევებში, უქმი სვლის რეჟიმში მომუშავე ძალოვანი ტრანსფორმატორის იდენ-

ტურია. შესაბამისად, ერთფაზა კაბელების კვლევებისას შეიძლება ძალოვანი ტრანსფორმატორების შენაცვლების სქემები გამოვიყენოთ შემოთავაზებული შენაცვლების სქემის პარამეტრების გათვალისწინებით;

ქ. თბილისის საშუალო ძაბვის ქსელების საკაბელო ხაზებში მიმდინარე ელექტრომაგნიტური პროცესების კვლევების შედეგების ანალიზის საფუძველზე დასაბუთებულია, რომ ორმხრივ ეკრანდამიწებულ ერთფაზა კაბელებში ღომინირებს კაბელის ეკრანში ძარღვში გამავალი დენის მიერ შექმნილი დენებით განპირობებული დანაკარგები. შესაბამისად, კაბელის თბურ რეჟიმს, გამტარუნარიანობას, ქსელის, მუშაობის საიმედოობასა და მდგრადობას, ენერგეტიკულ მაჩვენებლებსა და ენერგოეფექტურობას, დიდ წილად, კაბელის ეკრანში წარმოქმნილი დანაკარგები განსაზღვრავს და მთლიანად დამოკიდებულია ეკრანის მუშაობის რეჟიმზე (ერთმხრივ დამიწებული, ორმხრივ დამიწებული, ტრანსპოზიციონული);

ქსელის ძვირად ღირებული მოწყობილობების რაოდენობის, ქსელის სამონტაჟო სამუშაოების მოცულობის შემცირებისა და საექსპლუატაციო მომსახურების გამარტივების მიზნით, ერთფაზა საკაბელო ქსელების ეკრანის დამიწების არსებული მეთოდების ანალიზის საფუძველზე, „დასექციონირებული ერთმხრივ დამიწებული ეკრანით“ და „შუადამიწებული ეკრანით“ მეთოდების სინთეზის საფუძველზე, შემოთავაზებულია ეკრანის დამიწების ოპტიმალური სქემა (მეთოდი): „დასექციონირებული შუადამიწებული ეკრანით“.

ლიტერატურა

1. Алферова, Т. В. Надежность электроснабжения потребителей агропромышленного комплекса. учеб. пособие. Гомель: ГГТУ им. П. О. Сухого, 2017, 112 с.
2. Аварии и технологические нарушения за период с 01.01.2019 г. по 31.12.2019 г. на объектах АО «Теласи». Краткий отчет инцидентов и прерываний на период 2019 год. Отдел анализа и развития сети г. Тбилиси. 2020 г.
3. <https://www.google.com/search?client=opera&q=емкость+кабельной+линии&sourceid=opera&ie=UTF-8&oe=UTF-8>
4. Инструкция по эксплуатации силовых кабельных линий. Часть 1. Кабельные линии напряжением до 35 кВ АО «Кодекс», 2020
5. Дмитриев М.В., Евдокуний Г.А. Однофазные силовые кабели 6-500 кВ // «Новости Электротехники», №2(44), 2007, сс.80-85.
6. Копырюлин П. В. Совершенствование эксплуатационных свойств кабельных линий с полимерной изоляцией. // Автореферат диссертации на соискание ученой степени к.т.н. Самара, 2013 г.
7. Костенко М.В., Кадомская К.П., Левинштейн М.Л., Ефремов Н.А. Перенапряжения и защита от них в воздушных и кабельных электропередачах высокого напряжения. –Л.: Наука, 1988, 302 с.

SUMMARY

THE INVESTIGATION OF ELECTROMAGNETIC PROCESSES IN THE SINGLE-CORE POLYETHYLENE WOVEN INSULATION CABLES AND INFLUENCE OF SCREEN GROUNDING METHOD ON TEMPERATURE MODES

Rtveladze N.O.

Georgian Technical University

An electrical diagram of replacement for the cable network is drawn up to investigate the electromagnetic processes in the single-phase woven polyethylene insulated three-phase cable network and determine the effect of the power and energy losses on the cable conduction. It is substantiated that the electromagnetic processes in the cable networks are like „the processes in a single-phase two-core power transformer. In particular, in the case of screens grounded on the both sides, the processes in the cable core and the screen are identical to those of a power transformer operating in short-circuit mode, while in the case of screens that are transposed and grounded on one side the processes in the cable core and the screen are identical to processes in a stand-alone power transformer. The effect of constructive performance of three-phase network screen grounding made of single-phase cables on the voltage, power and energy losses generated on the screen, cable temperature mode, power supply reliability, network operation stability and operational safety is investigated.

Keywords: Single-core cable, polyethylene woven, screen grounding, electromagnetic processes, temperature modes.

**თხევადზაზური ეპიტაქსიის ბამოყენება სილიციუმის ზედაპირზე გაღიუშის
ფოსფიდის თხელი ზორბეის გასაზრდელად**

ლაფერაშვილი თ.ლ., გვიციანი ო.რ., ლაფერაშვილი დ.ლ., კოხერეიძე რ.დ.

**საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ვლადიმერ ჭავჭანიძის სახელობის
პილერნეტიკის ინსტიტუტი**

შესავალი

თხევადფაზური ეპიტაქსია (LPE) არის ნახევარგამტარის კრისტალის ზედაპირზე სხვა ნახევარგამტარის თხევადი ხსნარიდან მონოკრისტალური ფირის გაზრდის მეთოდი. LPE მეთოდით მიღწევა მასალის სისუფთავის მაღალი ხარისხი და გასული საუკუნის 60-იანი წლებიდან ფართო გამოყენება პოვა მიკროელექტრონიკაში. შემდგომში LPE მეთოდის ჩანაცვლება მოხდა ეპიტაქსიური ფენების გაზური ფაზიდან გაზრდის მეთოდებით. პროცესში შესაძლებელია როგორც იმავე სახის ნახევარგამტარის პომოეპიტაქსია, ასევე სხვა სახის ნახევარგამტარის ჰეტეროეპიტაქსია, მაგალითად შეიძლება კრისტალურ სილიციუმზე მასთან მეხერის პარამეტრით თავსებადი კრისტალური გალიუმის ფოსფიდის ჰეტეროეპიტაქსიური გაზრდა [1-3]. ჰეტეროსტრუქტურა GaP/Si არის უმნიშვნელოვანების კომპონენტი ახალი თაობის მაღალი ეფექტიანობის მზის ელემენტის (MJSC) დასამზადებლად [4].

თანამედროვე კომერციულ მზის პანელებში უმთავრესად გამოყენებულია სილიციუმის (Si) ერთ გადასასვლელიანი დიოდის ბაზაზე დამზადებული პირველი თაობის ფოტოელექტრული მზის ელემენტები (PVSC). მათი ეფექტიანობა შეზღუდულია შოკლი-ქუეხერის ზღვრით და მზის სინათლის შთანთქმის ოპტიმალური ნახევარგამტარების გამოყენების შემთხვევაშიც კი არ აღემატება 31–33%-ს, რაც მიღწევა მხოლოდ სილიციუმის ან გალიუმის არსებიდის (GaAs) ფოტოდიოდის გამოყენების შემთხვევაში [5], რეალური ელემენტების ეფექტიანობა უფრო ნაკლებია. ამჟამად ლაბორატორიულ პირობებში მიღწეული სილიციუმის ელემენტის ეფექტიანობა არის 26,7% [6]. აღნიშნული ტიპის PVSC ელემენტებით გამომუშავებული ელექტროენერგიის დირებულება ბოლო შეფასებებით აღწევს 147–221 \$/MWh საყოფაცხოვრებო გამოყენების დროს, მაშინ როცა ტრადიციული წარმოებით მიღებული, მაგალითად გაზის თერმოელექტრო წარმოების შემთხვევაში ენერგიის დირებულებაა 45–75 \$/MWh [7]. აღნიშნული გარემოება მეტყველებს, რომ ეკოლოგიურად სუფთა ელექტროენერგიის ფართო მოხმარებაში დასანერგად აუცილებელია ფასების შემცირების გზების ძიება, მათ შორის მზის ელემენტების ეფექტურობის გაუმჯობესების საშუალებით.

დაბალი დირებულების ელექტროენერგიის მზის ელემენტების მისაღებად შეიქმნა სილიციუმის სუბსტრატზე მზის სინათლის შთანთქმის მაღალი კოეფიციენტის მქონე III–V ჯგუფის ნახევარგამტარების ეპიტაქსიური ფენების გაზრდით დამზადებული მრავალგადასასვლელიანი მზის ელემენტის (MJSC) თეორიული მოდელი [8], მაგრამ მისი განხორციელების ძირითადი პრობლემა აღმოჩნდა სილიციუმის ზედაპირზე III–V ნახევარგამტარების ხარისხიანი კრისტალური თხელი ფენების გაზრდა. საკითხისადმი დიდი სამეცნიერო და პრაქტიკული ინტერესის გამო, ბოლო ათწლეულში ინტენსიური თეორიული და პრაქტიკული კვლევები მიმდინარეობს GaP/Si ჰეტეროგადასასვლელის LPE მეთოდით გაზრდის ტექნოლოგიის შესამუშავებლად [9-11].

მზის ელემენტის მუშაობის ფიზიკური საფუძვლები, მასასიათებლები და ეფექტიანობის გაზრდის გზები ჩვენს მიერ აღწერილი იყო შრომებში და ნაჩვენები იყო GaP/Si ჰეტეროსტრუქტურის მნიშვნელოვანი როლი ამ პროცესში [12].

წარმოდგენილ სტატიაში მოკლედ განვიხილავთ ნახევარგამტარების თხელი კრისტალური ფირების თხევადფაზური ეპიტაქსიის მეთოდით გაზრდის თეორიულ საფუძველს და პრაქტიკული განხორციელების ტექნიკური საშუალებებს. აღვწერთ ჩვენი ლაბორატორიული დანადგარის აღჭურვილობას და შესაძლებლობებს გაღიუმის ფოსფიდის მონოკრისტალური თხელი ფირის გაზრდის მაგალითზე.

თხევადფაზური ეპიტაქსია

თხევადი ფაზის ეპიტაქსიის ტექნიკა პირველად დაინერგა 1963 წელს. იგი წარმატებით გამოიყენებოდა III-V ნახევარგამტარული მოწყობილობების წარმოებაში, როგორიცაა სინათლის გამოსხივების დიოდები (LED), ინჟექციური ლაზერები, ფოტოდეტექტორები, მზის ელემენტები, ბიპოლარული ტრანზისტორები და ტრანზისტორები ველის ეფექტით (FET). მაგალითად, კომერციულად წარმოებული სინათლის გამოსხივების წყაროები იყო LPE მეთოდით გაზრდილი GaP n-p დიოდები და AlGaAs/GaAs ჰეტერო-გადასახლელიანი LED-ები. კრისტალის გაზრდა LPE მეთოდით ხდება თხევადი ნარევიდან, რომელიც შედგება გამხსნელი ნივთიერების, დასაფენი ნახევარგამტარის ატომებისა და სასურველი მინარევებისაგან. ეპიტაქსიური ზრდის პროცესში გასაზრდელი ნახევარგამტარის გადაჯერებული დროის განმავლობაში. საჭიროა თხევადი სინარის ტემპერატურის შეზევა ისე, რომ არ მოხდეს გაღლობა სუბსტრატისა, რომლის ზედაპირზე სინარიდან ჯერ გამოილექტა გასაზრდელი ნახევარგამტარის ჩანასახოვანი ფენა, რომელზეც თხევადი სინარის ნელი გაციებისას გაიზრდება ეპიტაქსიური ფენა. თუ სუბსტრატი მონოკრისტალია და გასაზრდელ ნახევარგამტარსაც აქვს თითქმის იგივე მესერის მუდმივა, როგორც სუბსტრატს, ამ უკანასკნელზე გაიზრდება მასთან მესერის პარამეტრით თავსებადი მონოკრისტალური ნახევარგამტარი. ეპიტაქსიური ფენის ზრდის პროცესის მართვა ხდება სინარის ტემპერატურის შემცირების სიჩქარის ცვლით.

ცნობილია, რომ LPE მეთოდით S ზედაპირის ფართობის სუბსტრატზე t ტემპერატურაზე h სისქის ფირის დასაფენად გამოყენებული გამხსნელი ნივთიერების რაოდენობა გრამებში Q_t გამოითვლება ფორმულით:

$$Q_t = S * h * d * \left(\frac{A}{X_t} - 1 \right) \quad (1)$$

სადაც d დასაფენი ნახევარგამტარის სიმკვრივეა, A – გამხსნელი ნივთიერების ატომური წონა, X_t – ნახევარგამტარის სინადობა t ტემპერატურაზე გამოსახული წონით პროცენტებში. t ტემპერატურაზე S ზედაპირის ფართობის და h სისქის ეპიტაქსიური ფირის გასაზრდელად საჭირო გამხსნელის რაოდენობა:

$$Q_t = S * h * R_t \quad (2)$$

მაგალითად, გალიუმის ფოსფიდის გაზრდის შემთხვევაში გამხსნელად გამოიყენება გალიუმი, მისი ატომური წონაა $A=69,72$, GaP-ის სიმკვრივე $d=4,138$ გ/სმ³. ასეთ პირობებში t ტემპერატურაზე ერთეული მოცულობის GaP-ის გასაზრდელად საჭირო გამხსნელი გალიუმის რაოდენობა იქნება:

$$R_t = 4,138 * \left(\frac{69,72}{X_t} - 1 \right) \quad (3)$$

GaP-ის ეპიტაქსიური ზრდა ხდება კვარცის რეაქტორში, რომელშიც გადის გასუფთავებული წყალბადი და რომლის გასწვრივ შესაძლებელია ელექტროლუმელის გადაადგილება (გასრიალება). სუბსტრატი და (2) ფორმულის მიხედვით გამოითვლილი გამხსნელი გალიუმის რაოდენობა მასში შერეული მაღეგირებელი ნივთიერებით თავსდება სათანადო კონსტრუქციის გრაფიტის კასეტაში, რომლის მოთავსება და გადაადგილება რეაქტორში ხდება ლითონის ან კვარცის მანიპულატორით.


თხევადფაზური ეპიტაქსიის ტექნიკური განხორციელება

გალიუმის ფოსფიდის LPE მეთოდით გასაზრდელად აწყობილი ჩვენი ლაბორატორიული დანადგარი შედგება აიროვანი წყალბადის H_2 გამწმენდი მოწყობილობისა და კვარცის რეაქტორისაგან, რომელშიც უშუალოდ ხდება კრისტალური ნახევარგამზარის ეპიტაქსიური გაზრდა. რეაქტორი არის კვარცის გრძელი მილი, რომლის გასწვრივ ჰორიზონტალურად შესაძლებელია ელექტროდემელის გადაადგილება. ნახ.1-ზე ნაჩვენებია ჩვენს მიერ აწყობილი LPE დანადგარის რეაქტორის ფოტოსურათი.



ნახ.1. თხევად-ფაზური ეპიტაქსიის LPE მეთოდით კრისტალების გასაზრდელად აწყობილი ლაბორატორიული დანადგარის რეაქტორი

კრისტალების LPE ზრდის მეთოდით განსახორციელებლად აწყობილი ლაბორატორიული დანადგარის ბლოკ-სქემა ნახ.2-ზე, სადაც აიროვანი წყალბადის (H_2) გამწმენდი მოწყობილობა შემოსაზღვრულია წყვეტილი საზიო, საიდანაც გასუფთავებული წყალბადი შედის კვარცის რეაქტორში და ტიშენკოს აპარატის გავლით გამოიყოფა გამწოვ მოწყობილობაში.



ნახ.2. თხევად-ფაზური ეპიტაქსიის LPE მეთოდით კრისტალების გასაზრდელად აწყობილი ლაბორატორიული დანადგარის სქემა

ნახ. 2-ზე წარმოდგენილ სურათზე 1–6 კვარცისგან დამზადებული მილისებრი ქილებია, რომლებზეც შემოხვეულია ელექტროდემელი; 1 და მე-2 ქილებში მოთავსებულია პალადირებული ალუმინიუმი, იგი ხელს უწყობს აირში არსებული ჟანგბადის წყლის ორთქლად ფორმირებას, რომელიც თხევადი აზოტით სავსე თერმოსში ჩადგმულ მინისგან დამზადებულ ჭურჭელში (7,8) კონდენსირდება, საიდანაც შესაძლებელია წყლის გადმოსხმა ტექნოლოგიური პროცესის დამთავრების შემდეგ; წყალ-

ბადის შემდგომი გასუფთავების მიზნით 3 და 4 ქილებში მოთავსებულია სუფთა გამომშრალი ალუმინიუმი, ხოლო 5 და 6-ში – სილიკაგელი.

რეაქტორში თავსდება გრაფიტის კასეტა, ლითონის დერო კასეტაზე მანიპულირებისათვის თერმოწყვილები, ეპიტაქსიის პროცესში ტემპერატურის გასაზომად; რეაქტორზე მიმაგრებულია მასში წყალბადის გაზის შემავალი და გამომავალი მიღები. რეაქტორში მიწოდებული გაზის რაოდენობის გასაკონტროლებლად გამოსავლელ მიღზე მიერთებულია ტიშქენების აპარატი. პროცესების ტემპერატურის რეგულირება ხდება კვარცის მილის გასწვრივ მოძრავ რეზისტულ დუმელზე მოდებული ძაბვის ცვლილებით, თერმოწყვილებისა და ტემპერატურის გამზომი ხელსაწყობის გამოყენებით. კრისტალურ ნახევარგამტარზე თხევადი ფაზიდან ეპიტაქსიური ფენების გაზრდა მიმდინარეობს მაღალი სისუფთავის გრაფიტისაგან დამზადებული შესაბამისი კონსტრუქციის კასეტაში, რომლის განივი ჭრილი ნაჩვენებია ნახ.3-ზე.



ნახ.3. თხევადი ეპიტაქსიის ჩასატარებლად დამზადებული კასეტის განივი ჭრილი

გრაფიტის კასეტას შეიძლება ჰქონდეს რამდენიმე რეზერვუარი, რომელთაგან თითოეული შეიცავს კონკრეტული ეპიტაქსიური ფენის დასალექად საჭირო ნივთიერების შესაბამის გაჯერებულ ხსნარს; სუბსტრატი მოთავსებულია გრაფიტის სლაიდერის ამოჭრილ დრმულ ში (1). სლაიდერი მიმაგრებულია გრძელ დეროზე, რომელიც საშუალებას იძლევა სუბსტრატი გადაადგილდეს სხვადასხვა რეზერვუარის ქვეშ. ამრიგად, სუბსტრატზე შეიძლება გაიზარდოს სხვადასხვა ნახევარგამტარული მასალის რამდენიმე ფენა, თითოეული განსხვავებული სისქით. LPE-ს მოწყობილობაში (ნახ.1) დუმელი რეზისტული გახურებით შეიძლება იყოს ერთზონიანი ან მრავალზონიანი, მრავალზონიანი დუმელი გამოყენება ისეთი ლაზერული სტრუქტურების დასამზადებლად, რომლებიც საჭიროებენ რამდენიმე ეპიტაქსიური ფენის თანმიმდევრულ ზრდას და შეიძლება გამოყენებული იქნას მრავალ-გადასასვლელიანი მზის ელემენტების დასამზადებლად.

ამრიგად, კვლევებით დადასტურდა, რომ სილიციუმის სუბსტრატზე მრავალ გადასასვლელიანი მზის ელემენტის შესაქმნელად საუკეთესოა გალიუმის ფოსფიდის ჰეტეროპიტაქსია, რადგან მისი მესერის პარამეტრი (5.4505 Å^0) სილიციუმის მესერის პარამეტრთან (5.43072 Å^0) თავსებადია, რაც Si-ის ზედაპირზე მაღალი ხარისხის ეპიტაქსიური თხელი ფირების გაზრდის შესაძლებლობას იძლევას, ამასთან გალიუმის ფოსფიდი ხასიათდება განიერი აკრძალული ზონით (2,3 ევ). და მუხტის მატარებლების მაღალი ძერადობით. ჩვენს მიერ წარმოდგენილი მოწყობილობების გამოყენებით შესაძლებელია სილიციუმის სუბსტრატზე გალიუმის ფოსფიდის მონოკრისტალური ფირის ეპიტაქსიური გაზრდა, ხოლო შემდეგ GaP-ზე უკვე შესაძლებელია სილიციუმთან ტანდემური ორგადასასვლელიანი ელემენტის ზედა ქვეელემენტისათვის ოპტიმალური აკრძალული ზონის (1.8 ევ) მქონე III-V ჯგუფის სხვა ნახევარგამტარების (InGaP, GaAsP) ხარისხიანი ფენების გაზრდა, რაც მზის ელემენტის ეფექტურობის გაზრდის რეალური გზაა [13,14]. ამიტომ განსაკუთრებით აქტუალური

გახდა დეველებისგან თავისუფალი, ხარისხიანი ეპიტაქსიური ფენების გაზრდის ტექნოლოგიური კვლევა. სტატიაში წარმოდგენილი მეთოდიკა და აღწერილი ტექნიკური დანადგარი ასეთი კვლევების განხორციელების შესაძლებლობას იძლევა.

ლიტერატურა

1. Woodall J.M., III-V Compounds and Alloys: An Update, SCIENCE, 23 May 1980, Vol 208, Issue 4446, pp. 908-915.
2. Dawson L.R., Liquid phase epitaxy, Progress in Solid State Chemistry, Volume 7, 1972, Pages 117-139
3. Андреев В.М., Долгинов Л.М., Третьяков Д.Н. Жидкостная эпитаксия в технологии полупроводниковых приборов, Под ред. Ж.И. Алферова. -Москва, Советское радио, 1975, 328 с.
4. Masafumi Yamaguchi et al. A review of recent progress in heterogeneous silicon tandem solar cells J. Phys. D: Appl. Phys. 51 133002., 2018.
5. William Shockley, Hans J. Queisser; Detailed Balance Limit of Efficiency of p-n Junction Solar Cells; Journal of Applied Physics 32, 510, 1961; doi: 10.1063/1.1736034.
6. Martin Green, Ewan Dunlop, Jochen Hohl-Ebinger, Masahiro Yoshita, Nikos Kopidakis, Xiaojing Hao, Solar cell efficiency tables (Version 58), Prog Photovolt Res Appl. 2021; 29:657–667.
7. Lazard's Levelized Cost of Energy Analysis-Version 15.0, 28/10/2021.
8. R. R. King, D. Bhusari, A. Boca, D. Larrabee, X.-Q. Liu, W. Hong, C. M. Fetzer, D. C. Law and N. H. Karam; Band gap-voltage offset and energy production in next-generation multijunction solar cells; Prog. Photovolt: Res. Appl. 2011; 19:797–812; DOI: 10.1002/pip.1044.
9. Hector Cotal, Chris Fetzer, Joseph Boisvert, Geoffrey Kinsey, Richard King, Peter Hebert, Hojun Yoon and Nasser Karama. III–V multijunction solar cells for concentrating photovoltaics, Energy Environ. Sci., 2, 2009: 174–192, DOI: 10.1039/B809257E.
10. Jae-Seong Park, Mingchu Tang, Siming Chen and Huiyun Liu. Heteroepitaxial Growth of III-V Semiconductors on Silico, Crystals 2020, 10, 1163 -1199; doi:10.3390/crust10121163
11. I.I. Maronchuk, D.D. Sanikovich, P.V. Potapkov and A.A. Velchenko. Improvement of the processes of liquid-phase epitaxial growth of nanoheteroepitaxial structures. //Journal of Engineering Physics and Thermophysics, Vol. 91, Issue 2, 2018.
12. Orest Kvitsiani, David Lapherashvili, Tinatin Laperashvili, Vladimer Mikelashvili. Solar cells based on InP/GaP/Si structure. Proc. SPIE 10019, Optoelectronic Devices and Integration VI, 100191G, 2016.
13. Nicole A. Kotulak, Martin Diaz, Allen Barnett, Robert L. Opila, Toward a tandem gallium phosphide on silicon solar cell through liquid phase epitaxy growth, Thin Solid Films 556, 2014, pp. 236–240
14. Richard Corkish, Some candidate materials for lattice-matched liquid-phase epitaxial growth on silicon, Solar Cells, 31, 6, 1991, pp. 537-548

SUMMARY

APPLICATION OF LIQUID PHASE EPITAXY METHOD FOR THE GROWTH OF THIN GALLIUM PHOSPHIDE FILMS ON SILICON SUBSTRATE

Laperashvili T.L., Kvitsiani O.R., Lapherashvili D.L. and Kokhreidze R.D.

Vladimer Chavchanidze Institute of Cybernetics of the Georgian Technical University

The article deals with the liquid-phase epitaxy (LPE) method for the growth of thin crystalline films of III-V semiconductors. Theoretical foundations and technological solutions of practical implementation of the LPE method is described. The possibility and technological mode of growing of gallium phosphide (GaP) mono crystalline thin film on the surface of crystalline silicon (Si) has been investigated. As confirmed by literary data, the growth of the high quality crystalline thin films of III-V semiconductor on silicon surface is one of the ways for development of renewable energy production, which will increase the efficiency of photoelectric conversion of the solar cell, consequently leading to the reduction of the cost of the solar electricity generation.

Keywords: III-V semiconductors, silicon, gallium phosphide, liquid phase epitaxy.

ზეროშენადნობთა ფარმოლის ნარჩენების თერმული დასტანციის შესრულება

მოსია ჭ. ჭუმბაძე მ.თ., მაისურაძე ი.ბ., აბესაძე რ.კ.

სსიპ ფერდინანდ თავაძის მეტალურგიისა და მასალათმცოდნეობის ინსტიტუტი

დიფერენციალურ-თერმული ანალიზის მეთოდის გამოყენებით შესწავლილია ფაზური გარდაქმნები მაღალკაუმიწიან მანგანუმის მადნებსა და ნახშირბადიან აღმდენლებში, ნარევებში მათ ბაზაზე.


პროგრამირებული გახურების დროს ექსპერიმენტული შედეგების დამუშავება წარმოდგენას იძლევა მყარ ფაზაში რეაგირების მექანიზმზე, გარდაქმნების სტადიურობაზე, საშუალებას იძლევა მივიღოთ რაოდენობრივი კინეტიკური ინფორმაცია ამ პროცესზე. მიმდინარე კალევით სამუშაოში ამ მიზნით გამოყენებული გვაქვს Q-1500D სისტემის დერივატორული. ეტალონად ვიყენებდით ქიმიურად სუფთა მარკის ალუმინიუმის ჟანგს. გახურება წარმოებდა ჰაერზე 200 °C-დან 1000 °C-მდე. გახურების სიჩქარე – 10 °C/წუთში.

გამოყენებული მასალების: მანგანუმის 0–1 მმ ფრაქციის კონცენტრატის, შლამის და მტკერის ქიმიური შედგენილობა მოყვანილია ცხრილში.

მანგანუმის 0,1 მმ ფრაქციის კონცენტრატის, შლამის და მტკერის ქიმიური შედგენილობა

№	დასახელება	შედგენილობა, %				
		Mn	SiO ₂	P	CaO	Al ₂ O ₃
1	მანგანუმის 0–1 მმ ფრაქციის კონცენტრატი	30,12	22,35	0,22	6,12	0,147
2	შლამი	14,9	37,7		21,1	10,8
3	მტკერი	22,1	20,1	0,1	3,3	3,4

ნახ. 1–3-ზე მოცემულია მიღებული შედეგების დერივატოგრამები.



ნახ.1. მანგანუმის 0–1 მმ ფრაქციის კონცენტრატის დერივატოგრამა:

DTA – დიფერენციალური თერმული მრუდი; DTG – მასის დანაკარგის მრუდი;
TG – ნიმუშის მასის დანაკარგის მრუდი; T – ტემპერატურის დროში ცვლილების მრუდი 0°C.


მანგანუმის 0–1 მმ ფრაქციის კონცენტრატის დერივატოგრამის მრუდის ხასიათის სირთულე (ნახ. 1) მანგანუმის კონცენტრატში არსებული მინარევებითაა გამოწეული. DTA მრუდზე 130 °C-ზე მცირე გადახრა შეესაბამება ადსორბირებული წყლის მოცილებას. ენდოთერმული ეფექტი 280–340 °C-ზე – მანგანიტურია და მანგანიტის ($MnO \cdot OH$) დისოციაციას პასუხობს, რის შედეგადაც $\alpha\text{-Mn}_2O_3$ წარმოიქმნება. უშუალოდ მანგანიტური ეფექტის შემდეგ ადგილი აქვს დაუანგვის ეგზოთერმული ეფექტს, რომელიც მაქსიმუმს 500 °C ახლო ზღვარში აღწევს, რის შედეგადაც მიიღება $\alpha\text{-} \gamma\text{-} Mn_2O_3$ ნაკიტული მყარი სინარი (უანგბადის სინარი $\alpha\text{-Mn}_2O_3$). 630 °C მიმდინარეობს მყარი სინარის დაშლა.

730 °C-ზე $\alpha\text{-Mn}_2O_3$ გადადის $\beta\text{-Mn}_3O_4$ -ში ($\alpha\text{-} \gamma\text{-} Mn_2O_3$ ეფექტი). 850 °C ენდოთერმული ეფექტი, რომელიც შეესაბამება პერმანგანიტის დაშლას (ფსილომელანის მინარევი). და საბოლოოდ, $\beta\text{-} \gamma\text{-} Mn_3O_4$ -ში 990 °C-ზე $\beta\text{-Mn}_3O_4$ -ში გადადის ($\beta\text{-} \gamma\text{-} Mn_3O_4$ ეფექტი).

განსახილველ მრუდებზე მკვეთრად გამოხატულია პიროლუზიტური და $\beta\text{-} \gamma\text{-} Mn_3O_4$ ეფექტები, აქედან ვასკვნით, რომ მანგანუმის 0–1 მმ ფრაქციის კონცენტრატის სინჯი ძირითადად პიროლუზიტის მანგანიტის და ფსილომელანის მინარევისგან შედგება.

წონის საერთო დანაკარგია 20,3%.


ნახ. 2–3-ზე მოცემულია დერივატოგრამები შესაბამისად შლამისა და მტვერის. მტვერის დერივატოგრამამ გვიჩვენა დეპიდრატაციის ორმაგი ენდოთერმული ეფექტი (100–140 °C). შლამის დერივატოგრამზე ენდოთერმული ეფექტი 130 °C-ზე, შეესაბამება ადსორბირებული წყლის მოცილებას.



ნახ.2. მტვერის დერივატოგრამა

მტვერის დერივატოგრამზე მანგანიტური (370–390 °C) და ენდოეფექტი (830–880 °C) უფრო მკვეთრად არის გამოხატული ვიდრე შლამის დერივატოგრამზე (320–340 °C) და 820 °C შესაბამისად, ეს მიუთითებს იმაზე რომ მტვერის ნიმუში შეიცავს უფრო მეტ მანგანუმს ვიდრე შლამის.

წონის საერთო დანაკარგი შეადგენს შესაბამისად 11% და 8,72%-ს.



ნახ.3. შლამის დერიგატორგრამა

ნახშირის მრეწველობის ტექნოლოგიური ნარჩენებისა და მანგანუმის დარიბი (მანგანუმის სტანდარტული შენადნობების გამოსადნობად უკარგისი) მაღნების, ფეროშენდნობების წარმოების ნარჩენების კომპლექსური შენადნობების წარმოებისათვის გამოყენება ძალზე ძეგლულურია და პერსპექტიული, როგორც სამრეწველო საწარმოთათვის, ასევე მთლიანობაში მოსახლეობისა და სახელმწიფოსათვისაც. მინერალური ნედლეულის გადამუშავების ერთერთ ტექნოლოგიურ სქემას, რომელიც საშუალებას იძლევა გამოვიყენოთ მანგანუმის არაკონდიციური მაღნები, ფეროშენადნობების წარმოების ნარჩენები და მაღალნაცრიანი ნახშირები წარმოადგენს შენადნობის ერთსაფეხურიანი უწიდო გამოდნობა, რომელიც შეიცავს კომპლექსში სილიციუმს, ალუმინისა და მანგანუმს [1].

ლიტერატურა

1. J. Mosia, G. Nikolaishvili, A. Julukhidze, M. Chumbadze, L. Sigua. Modeling of Smelting of Ferrosilicoaluminium by using Tkibuli coal tailings for raw material. /საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის მაცნე, ქმითს სერია, 2016 წ., გ. 42, №4.

SUMMARY

STUDY OF THERMAL DESTRUCTION OF FERROALLOY PRODUCTION S

Mosia J.V., Chumbadze M.T., Maisuradze I.B. and Abesadze R.K.

F. Tavadze Institute of Metallurgy and Materials Science

Chemical and petrographical characteristics of manganese-containing waste of ferroalloy production, density bulk weights, wetting capacity, electrical resistivity, Fractional composition, natural tilt angle, the specific surface areas, thermographical properties. X-ray analysis (X-ray crystallography) have been studied.

Resesarch has revealed that the mentioned wastes are heat treated manganese-containing raw materials with complex structure.

Keywords: thermal destruction, ferroalloy, wastes, manganese.

ASSIMILATION OF Cr BY *ARTHROBACTER GLOBIFORMIS* 151B AT DIFFERENT CONCENTRATIONS OF Zn (II) IONS

Tugushi L.S., Rcheulishvili A.N., Ginturi E.N., Rcheulishvili O.N. and Gurieclidze M.A.

E. Andronikasvili Institute of Physics of the Ivane Javakhishvili Tbilisi State University
Ilia State University

S. Durmishidze Institute of Biochemistry and Biotechnology of the Agricultural University

Abstract. In the present paper, the process of assimilation of Cr by chromosome-resistant bacteria *Arthrobacter globiformis* 151B and the influence of different concentrations of Zn ions on that process are considered. The bacterial strain was isolated from the basalt samples obtained from the sites highly contaminated with Cr(VI) in Kazreti, Georgia. The nutrient medium contained the trace elements at concentrations of Cr - 7 µg/ml and Zn - 1 µg/ml. Bacteria were cultivated for different periods of time (17, 24, 48, 96 and 144 h). The nutrient medium was added by Zn solution so that its concentration was as follows: **25, 100, 400 and 1600 µg/ml**. After cultivation, the bacteria cells were centrifuged and the obtained bacterial pellet was prepared for analysis to determine Cr content. The metal content was measured by the use of atomic absorption spectrometer.

Keywords: Arthrobacteria, *Arthrobacter globiformis* 151B, Chromium (Cr), Zinc (Zn), Concentration, Biomass.

Introduction

In nature, there are some species of metal-resistant bacteria, which have the ability to survive in conditions of high concentration of metals coexisting with them. Most of them are resistant to heavy metals [1]. In addition, they are involved in neutralization and recovery of toxic metals. Such are the soil aerobic bacteria of genus *Arthrobacter*: *Arthrobacter oxydans*, *Arthrobacter globiformis* 151B, *Arthrobacter sp.* 61B. These bacteria intensively absorb hexavalent chromium [Cr(VI)] ions from the environment, transform them into trivalent form [Cr(III)], and accumulate them in the cell [2, 3]. Because of such properties, these bacteria can be used for detoxication of highly toxic environment contaminated with Cr(VI).

Cr(VI) causes damages of various degree to the structure of biopolymers but does not directly affect DNA. It undergoes transformation producing active intermediates - Cr(V) and / or Cr(IV), free radicals and Cr(III) as the final product. Cr(III) is considered to be less toxic than Cr(VI), though its cationic complexes interact with negatively charged phosphate group in DNA, affect the DNA replication and transcription, and cause mutagenesis. Besides, Cr(III) binds to the thiol and carboxyl groups of enzymes and causes their structural and functional changes [4-6].

Zinc, which is a trace element, is found in the form of divalent cation - Zn(II). Although its small amount is found in living organisms, it plays a very important role in vital processes. Optimal functioning of the immune system, brain, nervous system as well as normal condition of hair, skin, bones and nails depends on Zn(II). However, high concentration of zinc is quite toxic. But it should be noted that the exact molecular mechanisms determining its toxicity are not well studied yet [7, 8].

We have studied the effect of the widespread trace elements such as sodium (Na), potassium (K), calcium (Ca) on the aassimilation of chromium (Cr), zinc (Zn) and copper (Cu) by *Arthrobacter globiformis* 151B [9-11]. The goal of the experiment was to study the effect of different concentrations of zinc (Zn(II)) ions on the aassimilation of chromium by *Arthrobacter globiformis* 151B.

Material and methods

The bacterium of genus *Arthrobacter*, namely *Arthrobacter globiformis* 151B, isolated in Kazreti region, in particular from Kazreti basalts contaminated with heavy metals, was selected for the study [12]. These bacteria are gram-positive aerobic organisms. Bacterial colonies of *Arthrobacter globiformis* 151B are of whitish-beige color with smooth, round, convex surface. The phases of their development are coccus-rod-coccus. The 15-17-hour culture represents rods, gradually fragmenting into cocci over 18-24-hour period. They do not produce spores, are not characterized by mobility and are not acid-stable. The optimum condition for culture growth is 20°C-28°C.

For achieving the goal of the study, we conducted the following experiment:

Prior to the experiment, we transferred culture 151B from the solid medium (TSA agar) to 100 ml liquid medium (TSB) in 500 ml Erlenmeyer flasks on the agitator in the thermostat. After 24 h of

cultivation, we transferred 10 mL of liquid culture (suspension) per flask containing 90 mL of TSB (i.e., $90 + 10 = 100$ mL TSB in total) that were prepared for the experiment. Thus, cultivation was carried out in 500 ml Erlenmeyer flasks containing 100 ml of TSB. The bacteria were incubated at 26°C .

The nutrient medium contained trace elements as well at concentrations of Cr - 7 $\mu\text{g}/\text{ml}$ and Zn - 1 $\mu\text{g}/\text{ml}$. The first flask was a control one. The other four flasks were added by Zn solution in the form of ZnCl_2 so that Zn concentration in the nutrient medium was as follows: 25, 100, 400 and 1600 $\mu\text{g}/\text{ml}$.

Cultivation of bacteria continued for 17, 24, 48, 96 and 144 h. After cultivation, the cells were centrifuged (3000 rpm, 10 min, 0°C), the supernatant was discharged and the residual bacterial pellet was washed with sterile, distilled water. Obtained biomasses were dried in a lyophilizer and weighed (whole masses). Some amount of the total bacterial pellet that was sufficient for the analysis was weighed (≈ 30 mg) and placed in the test tubes. The test tubes were added by concentrated nitric acid to transform the samples into liquid condition, which were heated, and after complete ashing were diluted by bidistillate to a certain volume. The analysis of the obtained samples on the metal content was carried out by means of an atomic absorption spectrometer (Analyst 800) (acetylene-air flame).

Results and Discussion

The process of Cr assimilation by bacteria and the influence of Zn ions on that process were studied. A total of 25 samples were examined, thereof: from 1 to 5 samples represented the control ones (bacterial only); Zn concentration in sodium medium of 6-10 samples was 25 $\mu\text{g}/\text{ml}$; in 11-15 samples its concentration was 100 $\mu\text{g}/\text{ml}$, in 16-20 samples it was 400 $\mu\text{g}/\text{ml}$ and in 21-25 samples - 1600 $\mu\text{g}/\text{ml}$, i.e. it increased 4-times.

The measurement results are given in Fig. 1.




Fig. 1. Dependence of Cr concentration accumulated in bacteria C ($\mu\text{g}/\text{g}$) on the bacteria growth time T (h)

Fig. 1 shows, maximum concentration of Cr 2080 $\mu\text{g}/\text{g}$ is in the 48-hour control sample and its minimum concentration $\approx 230 \mu\text{g}/\text{g}$ in the 96-hour sample. When ZnCl_2 was added to the nutrient medium and Zn concentration reached 25 $\mu\text{g}/\text{ml}$, the concentration of Cr in the bacteria decreased considerably. It should be noted that in the 96-hour sample, where the concentration of Cr was ≈ 3 times higher than in the control sample, the 4-fold increase of Zn concentration in the nutrient medium

(100 $\mu\text{g}/\text{ml}$) caused significant decrease of Cr concentration (2050–980 $\mu\text{g}/\text{g}$). With a further increase of Zn concentration (400 $\mu\text{g}/\text{ml}$), Cr assimilation by bacteria decreased from 1300 to 700 $\mu\text{g}/\text{g}$, but in the 96-hour sample it reached 1700 $\mu\text{g}/\text{g}$. When the concentration of Zn in the nutrient medium was 1600 $\mu\text{g}/\text{ml}$, then Cr assimilation ranged from 420 to 300 $\mu\text{g}/\text{ml}$.

Based on the experiment carried out, it can be concluded that when the concentration of Zn in the medium is 100 $\mu\text{g}/\text{ml}$, the assimilation of Cr by *Arthrobacter globiformis* 151 B is quite high in the 17- and 24-hour samples ($\approx 2000 \mu\text{g}/\text{g}$), and when the concentration of Zn in the nutrient medium increases up to 1600 $\mu\text{g}/\text{ml}$, the concentration of Cr decreases ≈ 5 times.




Fig. 2. M (mg) dependence of the bacteria masses on their growth and development time T (h).

Fig. 2 shows the dependence of *Arthrobacter globiformis* 151B masses on their growth and development time. The dependence curves show that in the control samples (samples 1-5) bacterium grows in the 24-hour sample, where its mass reaches ≈ 200 mg, then it decreases to 177 mg. The masses are approximately the same in the 24- and 48-hour samples when Zn concentration in the nutrient medium is 25 $\mu\text{g}/\text{ml}$. When Zn concentration in the nutrient medium reaches 100 and 400 $\mu\text{g}/\text{ml}$ the masses of *Arthrobacter globiformis* 151B sharply decreases (18 mg-16 mg) as it is shown with slight difference between the blue and pink curves in Fig.2. Further, with 4-fold increase of Zn concentration in the nutrient medium (1600 $\mu\text{g}/\text{ml}$) the bacteria masses increase considerably and reach the maximum (60160 mg) in the 48-hour sample, then they begin to decrease and in the 144-hour sample bacteria weighs ≈ 70 mg. According to the experiment carried out, the increase of Zn concentration in the nutrient medium to a certain extent reduces the growth of bacteria.

conclusion

The results of the experiment show that the increased concentration of Zn ions causes a sharp reduction of Cr assimilation by *Arthrobacter globiformis* 151B, and increased concentrations of Zn ions in the nutrient medium reduce the biomass of *Arthrobacter globiformis* 151B.

REFERENCES

1. Codd R., Dillon C., Levina A., Lay P.A. Studies on the genotoxicity of chromium: from the test tube to the cell, *Coordination Chemistry Reviews*, 2001, v. 216-217, 537-582.
2. Tsibakashvili NY, Mosulishvili LM, Kalabegishvili TL, Kirkesali EI, Murusidze IG, Kerkenja SM, Frontasieva MV, Holman HY, 2008. Biotechnology of Cr(VI) transformation into Cr(III) complexes. //J. radioanal. Nucl. Chem. 278:565-569.
3. Suzuki Y, Banfield J, 2004. Resistance to accumulation of uranium by bacteria from a uranium- contaminated site. Geomicro-biol. J. 21:113-121.
4. Nino Asatiani, Tamar Kartvelishvili, Nelly Sapochnikova, Marina Abuladze, Lali Asanishvili, Mariam Osepashvili. Effect of the Simultaneous Action of Zinc and Chromium on *Arthrobacter* spp. Water Air Soil Pollut, 2018, 229: 395
5. Megraharaj M., Avudainayagam S., Neidu R. Toxicity of hexavalent chromium and its reduction by bacteria isolated from soil contaminated with tannery waste, Curr. Microbiol. 2003, 47, 51-54.
6. Kamaludeen S.P. Megharaj M., Sethunathan N., Naidu R. Chromium-microorganism interactions in soils: remediation implication. Rev. Environ. Contam. Toxicol. 2003, 178, 93-164.
7. McDevitt CA, Ogunniyi AD, Valkov E, Lawrence MC, Kobe B, et al. A Molecular Mechanism for Bacterial Susceptibility to Zinc. PLoS Pathog, 2011, 7(11): e1002357.
8. Choudhury R, Srivastava S (2001) Zinc resistance mechanism in bacteria. Curr. Sci. 81:768-775.
9. A. Rcheulishvili, E. Ginturi, L. Tugushi, M. Gurrielidze, N. Rcheulishvili and H.-Y. Holman. INFLUENCE OF SODIUM ON ASSIMILATION PROCESS OF Cr(VI) AND Cu BY ARTHROBACTER GLOBIFORMIS 151B CHROMIUM-RESISTANT BACTERIUM, *European Chemical Bulletin*, 2019, 8(4), 128-131.
როცა $t=90$ დღ. წყალი გავრცელებულია ნიადაგის ზედა 70 სმ ფენაში, ისიც მცირე რაოდენობით. ამ ფენაში მის შემცველობას არა აქვს მილევადი ტალღის სახე, მაქსიმალური მნიშვნელობა მცირება და არ აღმატება 0,04 გ/სმ³. მიუხდავად იმისა, რომ მაღალი ფილტრაციის კოეფიციენტის შემთხვევის დროს გახსნილია ტყვიის სულფატის ტოლი რაოდენობა, მიღებული თხევადი მასა არაა ინფილტრირებული ნიადაგის ქვედა ფენებში. ის განაწილებულია ზედა 80 სმ სისქის ფენაში და შემცველობის მაქსიმუმით მდებარეობს 40 სმ-ზე.

დროის შემდგომ მომენტებში სულფატის გახსნა და ინფილტრაცია მიმდინარეობს შენელებული ტემპით. 2 წლის შედეგში, წყალი ჩაუმილდა მხოლოდ 2 მ სიღ-

რმემდე, მისი შემცველობის მაქსიმუმი მდებარეობს ნიადაგის ზედაპირიდან 20 სმ-ზე სიღრმეში და ნელა მცირდება ნიადაგის ქვედა დონეებზე (ნახ. 22).



ნახ. 22. წყლის შემცველობა ნიადაგში, როცა $t = 2$ წ.



ნახ. 23. ნიადაგში ტყვიის სულფატის მყარი (S) და თხევადი (L) ფაზების შემცველობა, როცა $t = 2$ წ

ამ მომენტისათვის დარჩენილია მყარი ფაზის მცირე რაოდენობა $0,4$ მკგ/სმ 3 შემცველობით ნარჩენის განთავსების 40 სმ სისქის ფენაში. გახსნილი მარილის მოელი მასა მოთავსებულია ნიადაგის ზედა 2 მ ფენაში და მისი მაქსიმუმალური შემცველობა მიიღწევა სიღრმეში 18 დონეზე.

დასკვნა

ნიადაგში წყლისა და მასის ინფილტრაციის ერთგანზომილებიანი განტოლებათა სისტემის რიცხვითი მოდელირებით შესწავლილია ნიადაგის ზედა 40 სმ სისქის ფენაში არსებული ტყვიის სულფატის გასხნისა და გახსნილი მასის გავრცელების პროცესი შავმიწა და თიხნარ ნიადაგებში. ნაჩვენებია, რომ შავმიწა ნიადაგში წყლის განაწილებას, ინფილტრაციის რამდენიმე თვიან მონაკვეთში, გააჩნია მილევადი ტალღის ხასიათი, სხვადასხვაა თხევადი ფაზის ჩაურნვის სიჩქარე. 1 წელია საჭირო იმისათვის, რომ 120 მკგ/სმ 3 გაიხსნას და თხევადი ფაზის შემცველობა შემცირდეს 1 მკგ/სმ 3 -მდე. პროცესის დაწყებიდან 2 წლის განმავლობაში ტყვის სულფატის შემცველობა ძლიერ მცირდება. მისი მაქსიმალური მნიშვნელობა ტოლია $0,04$ მკგ/სმ 3 -ის, რაც მიღებულია ნიადაგის სიღრმეში 4 მ დონეზე.

თიხნარ ნიადაგებში ინფილტრაციის პროცესი მიმდინარეობს შედარებით ნელა. ინფილტრაციის დაწყებიდან 2 წელია საჭირო იმისათვის, რომ გაიხსნას 120 მკგ/სმ 3 შემცველობის სულფატი და მიღებული თხევადი მასა გავრცელდეს ნიადაგის სიღრმეში. გახსნილი მასის განაწილებას სიღრმის მიხედვით გააჩნია ბურცობის ტიპის ფორმა, რომლის მაქსიმუმი მდებარეობს მიწის ზედაპირიდან 18 სიღრმეში. ამ დონეზე თხევადი ფაზის შემცველობა 45 მკგ/სმ 3 -ია.

ლიტერატურა

1. Чайлдс Э. Физические основы гидрологии почв. -Ленинград, Гидрометеоиздат, 1973, 428 с.
2. Полубаринова-Кочина П. Я. Теория движения грунтовых вод. - Москва, Наука, 1977, 664 с.
3. Чудновский А. Ф. Теплофизика почвы. - Москва, Наука, 1976, 352 с.
4. Surmava A. The Numerical Modeling of Spreading of Spilled Oil and Oil Products in Some Soils of Georgia //J. Georgian Geophys. Soc., 2001, vol. 6b, pp.41-46.
5. Surmava A.A., Kukhalashvili V.G., Kacharava G.G. Numerical 3D Model of Soil Pollution by Oil. //J. Georgian Geophys. Soc., 2005, v.9b, pp.18-22.
6. Surmava A. The numerical investigation of spreading of spilled oil and oil-products along a territorial strip of the Poti-Kulevi railway. / ISPM (International School in Physics and Mathematics. Reports of Enlarged Session of the Seminar of I.Vekua Institute of Applied Mathematics, 2001, v.17, N3, pp.119-124.

7. Н.А. Бегалишвили, Н.Н. Наскидашвили, Л.У. Шавлиашвили, Д.М. Шавладзели, Д.М. Шавладзе. Агрономия. Математическое моделирование просачивания загрязняющего вещества в почву при аварийных разливах нефти. / Известия аграрной науки, 2010, Том 8, N4.
8. Матвеев Ю.Н., Масленников Б.И., Карельская К.А., Стукалова Н.А. Математическое моделирование процессов распространения загрязняющего вещества в почвогрунтах и атмосфере при его аварийном разливе. / Интернет-журнал «НАУКОВЕДЕНИЕ», 2016, Том 8, №5, 9 с.
<http://naukovedenie.ru/PDF/65TVN516.pdf>.
9. Бойко Т.В., Запорожец Ф.А. Моделирование массопереноса загрязняющих веществ в почвенном слое. Математическое Моделирование Technology audit and production reserves, 2015, № 1/3(21), 4 с.
10. Зиннатуллина А.Н. Моделирование распространения загрязняющих веществ при напорной фильтрации воды в области сложной конфигурации. Диссертация на соискание ученой степени кандидата технических наук, Казань, 2014. 124.c.www.ksstu.ru/servlet/contentblob.
11. Farhikhteh Samadi, Missagh Shamshiri. Numerical Modeling for Simulation of Contaminant Migration of Leachate in Soil Media. 20 p. arxiv.org > pdf
12. Kyung-Suk Suh, Ki-Chul Ki, Geon-Hyeong Park, Sung-Hee Jung. Numerical analysis of a pollutant dispersion in subsurface soil. //Mathematical and Computer Modelling, 2011, Vol.54, Issues 11-12, December pp. 3197-3203.
13. Javaux M., Vanclooster M. Numerical Models for Prediction of Flow and Transport in Soil at the Field Scale. In: Simeonov L., Sargsyan V. (eds) Soil Chemical Pollution, Risk Assessment, Remediation and Security. NATO Science for Peace and Security Series. Springer, Dordrecht, 2008. https://doi.org/10.1007/978-1-4020-8257-3_24
14. Cuihong Zhou, Chengqing Liu, Jiahao Liang, Shihan Wang. Numerical simulation of pollutant transport in soils surrounding subway infrastructure. /Environ Sci Pollut Res Int. 201825(7), pp. 6859-6869. DOI: 10.1007/s11356-017-0968-0.
15. Qi Y, Donahoe RJ. - Modeling arsenic sorption in the subsurface with a dual-site model. Ground Water, 2011, vol. 49(2), pp. 219-226., DOI: 10.1111/j.1745-6584.2010.00726.x. PMID: 20550587.
16. Г. И. Марчук. Методы вычислительной математики - Новосибирск, Наука, 1973, 353 с.

SUMMARY

NUMERICAL MODELING OF LEAD SULFATE INFILTRATION IN SOIL

Shubladze E.Sh., Surmava A.A., Eristavi D.V. and Buachidze N.S.

The Technical University of Georgia, Hydrometeorological Institute

Based on the Numerical modeling of the distribution of concentrations of heavy metals in the landfill, the dissolution of the pollutant ($PbSO_4$) and its infiltration in a 4-meter soil layer are shown.

Keywords: numerical modeling, pollutants, infiltration, soils.

მდინარე მტკმრის დაგინძურება ანაპლილინით ქ. თბილისის ტერიტორიაზე


ებანოიძე გ.გ.

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

ფარმაცევტული საშუალებები წარმოადგენენ ორგანული ნაერთების დიდ ჯგუფს, რომლებიც გამოიყენება ადამიანების და ვეტერინარიაში დაავადებების პროფილაქტიკასა და სამკურნალოდ. ბოლო ათწლეულის განმავლობაში ფარმაცევტული ნაერთები მნიშვნელოვანი თემაა გარემოსდაცვითი კვლევებში [1]. ეს, უპირველეს ყოვლისა, გამოწვეულია ნარკოტიკების მოხმარების ზრდით მთელ მსოფლიოში, დემოგრაფიულ ცვლილებით და ფარმაცევტული ნივთიერებების განვითარების პროგრესთან. დადგენილია, რომ დღეისათვის მსოფლიოში ფარმაცევტულ ინგრედიენტებად დაახლოებით 3000 სხვადასხვა ნივთიერება გამოიყენება [2]. თუმცა, ამ ნაერთების მხოლოდ მცირე ქვეჯგუფი, დაახლოებით 150 პრეპარატი, იქნა შესწავლილი გარემოსდაცვით კვლევებში. წამალსაშუალებების მოხმარების მსოფლიო საშუალო მაჩვენებელი ერთ სულ მოსახლეზე წელიწადში დაახლოებით 50გ-ია, მაგრამ ინდუსტრიულ ქვეუბნებში მათი რაოდენობა გაცილებით მაღალია და შეფასებულია 50-დან 150გ-მდე [3].

ფარმაცევტული პროდუქტების გავრცელება ძირითადად ხდება წყლის გარემოში, რასაც მოჰყვება კვების ჯაჭვის დისპერსია მათი დაბალი ცვალებადობის გამო [4,5].

ნახაზ 1-ზე მოცემულია ფარმაცევტული პროდუქტების ბრუნვა გარემოში [6].



ნახაზი 1. ფარმაცევტული პროდუქტების ბრუნვა გარემოში

უმეტეს ქვეუბნებს არ აქვთ სასმელ წყალში ფარმაცევტული ჯგუფების მონიტორინგის პროგრამები პრაქტიკული სირთულეების გამო, როგორიცაა მაღალი სარჯები და რუტინული ანალიტიკური ტექნოლოგიებისა და ლაბორატორიული ინფრასტრუქტურის არარსებობა სხვადასხვა ფარმაცევტული ჯგუფებისა და მათი მეტაბოლიტების დასადგენად. შედეგად, სასმელი წყლისა და ზედაპირული წყლების ფარმაცევტული

ჯგუფების შესახებ შემთხვევათა უმეტესობა მოდის მიზნობრივ კვლევით პროექტებზე და მიზანმიმართულ გამოკვლევებზე.

მაგალითად, ანტიპიპერტენზიული საშუალებების არსებობამ გარემოში შეიძლება გამოიწვიოს ტოქსიკოლოგიური ზემოქმედება ცოცხალ ორგანიზმებზე. არსებულ ფარმაცევტულ დამაბინძურებლებს შორის, ბეტა-ბლოკატორები ფართოდ გამოიყენება ჰიპერტენზისა და გულის უკმარისობის თერაპიაში. მოხმარების შემდეგ ბეტა-ბლოკატორები გამოიყოფა შარდით არამეტაბოლიზებული ფორმებით [7,8].

ზოგიერთი მკვლევარის მიერ, ბეტა-ბლოკატორები აღმოჩენილია ჩამდინარე წყლებში მთელ მსოფლიოში [8,9]. ბეტა-ბლოკატორებს და მათ მეტაბოლიტებს იშვიათად იკვლევენ ჩამდინარე წყლებში, წყლის სტანდარტების არარსებობის ან ამ წარმოქმნილი დამაბინძურებლების ანალიზისათვის აღეკვატური მეთოდების არარსებობის გამო. ეს პრეპარაციები და მათი მეტაბოლიტები გამოიყოფა მუნიციპალური ჩამდინარე წყლების გამწმენდი ნაგებობების მეშვეობით, საავადმყოფოს ჩამდინარე წყლებით და ასევე ფარმაცევტული ინდუსტრიის ჩამდინარე წყლებით. ჩამდინარე წყლებიდან ბეტა-ბლოკატორების არასაკმარისმა მოცილებამ შეიძლება ხელი შეუწყოს ზედაპირული წყლების დაბინძურებას. ბეტა-ბლოკატორების მოცილების დონე გააქტიურებული ლამის ტექნოლოგიით ჩამდინარე წყლების გამწმენდ ნაგებობებში მერყეობს 10%-დან 21%-მდე.

ისეთი დამაბინძურებლები, როგორიცაა ბეტა-ბლოკატორები ჩაედინება გამწმენდი ნარჩენებიდან ზედაპირულ წყლებში, ამიტომ მათ შეუძლიათ გავლენა მოახდინონ წყლის ორგანიზმების სიცოცხლეზე. მეორეს მხრივ, ზემთხვევაში მიმღები ზედაპირული წყლები გამოიყენება, როგორც სასმელი წყლის წყარო.

უკელაზე ხშირად ბეტა-ბლოკატორებია ატენლოლი, ანაპრილინი (პროპრანოლოლი), მეტოპროლოლი, ბისოპროლოლი და ბეტაქსოლოლი [10]. როდესაც წყალში გახსნილი ბეტა-ბლოკატორები ხვდებიან ჩამდინარე წყლების გამწმენდ ნაგებობაში, მათი მოცილება სრულად ვერ ხერხდება და, როგორც წესი, ისინი ან ნაწილობრივ შენარჩუნებულია ლამში, ან გარდაიქმნება უფრო ჰიდროფილურ, მაგრამ მაინც მდგრად ფორმაში. აქედან გამომდინარე, ისინი გაედინებიან წყლის გამწმენდ ნაგებობიდან და ხვდებიან მდინარეებში, ტბებში, მიწისქვეშა წყლებში და ზღვებში) მთელს მსოფლიოში, კონცენტრაციით ნა/ლ-დან მგ/ლ-მდე [11].

მათი მოცილება ჩამდინარე წყლების გამწმენდ ნაგებობებში ცვალებადია და დამოკიდებულია ნივთიერების თვისებებზე და პროცესის პირობებზე (ლამის შეკავშირის დრო, ჰიდრავლიკური შეკავშირის დრო, ტემპერატურა) [12].

წინამდებარე კვლევა მიზნად ისახავს ბეტა-ბლოკატორების ჯგუფის წარმომადგენლის, ანაპრილინის რაოდენობის დადგენას მდინარე მტკვრის სხვადასხვა ადგილში ქალაქ თბილისის ტერიტორიაზე.

ანაპრილინის რაოდენობის განსაზღვრა მტკვარში ხდებოდა შემდეგ მეთოდებით:


1. სპექტრომეტრიის და თხელფენიანი ქრომატოგრაფიის მეთოდი;
2. თხევადი ქრომატოგრაფიის და მასის სპექტრომეტრიული LC-MS-MS მეთოდი;
3. მყარი ფაზების გამოყოფით და მაღალეფექტური ქრომატოგრაფის დიოდურმატრიცელი დეტექტორით (SPE-HPLC-DAD).

ანაპრილინის სინჯების აღება ეყრდნობოდა ზ. ცინაძეს გამოკვლევებს [13] და არჩეული იყო ის ადგილები, რომლებშიც იყო დადასტურებული სხვა ჯგუფის ფარმაცევტული პრეპარატებით მდინარე მტკვრის დაბინძურება.


შერჩეულ იქნა 6 ადგილმდებარეობა:




ორთაჭალის პესის მიმდებარე ტერიტორია (N1)



ეროვნული ბანკის მიმდებარე ტერიტორია (N2)




საჯარო რეესტრის მიმდებარე ტერიტორია (N3)



მირცხულავას ქუჩასთან წყალმიმღების
მტკგართან შეერთების ადგილზე (N4)



დიდომში, სავადმყოფოების მიმდებარე
ტერიტორია (N5)



თევზის რესტორნის მიმდებარე ტერიტორია
(N6)

ნიმუშების შეგროვება ხდებოდა „წყლის სინჯის აღების სანიტარიული წესების“ ტექნიკური რეგლამენტის შესაბამისად [14]. აღებული სინჯები დაუყონებლივ გადატანილ იქნა ლაბორატორიაში, სადაც ხდებოდა მათი ანალიზი.

ანალიზის შედეგები მოცემულია ცხრილში.

ანაპრილინის რაოდენობრივი განაწილება მდ. მტკვრის თბილისის მონაკვეთზე

N	ადგილმდებარეობა	(რაოდ. ნგ/ლ)
1	ორთაჭალის ჰესის მიმდებარე ტერიტორია (N1)	120
2	ეროვნული ბანკის მიმდებარე ტერიტორია (N2)	210
3	საჯარო რეესტრის მიმდებარე ტერიტორია (N3)	120
4	მირცხულავას ქუჩასთან წყალმიმდების მტკვართან შეერთების ადგილზე (N4)	130
5	დიდომში, საავადმყოფოების მიმდებარე ტერიტორია (N5)	230
6	თევზის რეესტრნის მიმდებარე ტერიტორია (N6)	220

ცხრილის მონაცემებიდან ჩანს, რომ გამოკვლეულ ადგილებში ანაპრილინის კონცენტრაცია მნიშვნელოვანია, რაც ალბათ გამოწვეულია იმით, რომ ამ ადგილებში, ჩამდინარე წყლები იღვრებოდნენ უშავლოდ წყალში და არ უერთდებოდნენ ჩამდინარე წყლების შემკრებ კოლექტორს. მათი წარმოშობის წყაროების დაზუსტება, კვლევის შემდეგ ამოცანას წარმოადგენს.

აქედან გამომდინარე, საჭიროა უფრო მკაცრი რეგულაციების შემუშავება, რათა მოხდეს ზედაპირული წყლების, კერძოდ კი მდინარე მტკვრის დაბინძურების პრევენცია.

ლიტერატურა

- Chander V., B Sharma, V. Negi, R., S. Aswal, P. Singh, R. Singh, R. Dobhal. Pharmaceutical compounds in drinking water. Journal of Xenobiotics; 2016, volume 6:5774.
- Hughes S. R., P. Kay and L. E. Brown, Environ. Sci. Technol., 2013, 47, 661–677.
- Richards R. Monitoring Pharmaceuticals in Water. Environtech online. 2021.
- Pereira A., L. Silva, C. Laranjeiro, A. Pena. Assessment of Human Pharmaceuticals in Drinking Water. Catchments, Tap and Drinking Fountain Waters. Appl. Sci., 11, 2021
- Nikolaou A, Meric S, Fatta D. Occurrence patterns of pharmaceuticals in water and wastewater environments. Anal Bioanal Chem. 2007, 387:1225-34.
- გურგენიძე დ.რ., ბაგრატიონ-დავითაშვილი ა.ნ., ცინაძე ზ.ო., სურამელაშვილი ქ.რ., ებანოძე გ.გ. ფარმაცევტული პრეპარატების გავრცელება სასმელ წყალში. //საქართველოს საინჟინერო სიახლეები (GEN), 2021, v. 82, №2, გვ. 76-80.
- Silva S., V. V. Cardoso, L. Duarte, R.- N. Carneiro, C. M. Martins Almeida. Characterization of Five Portuguese Wastewater Treatment Plants: Removal Efficiency of Pharmaceutical Active Compounds through Conventional Treatment Processes and Environmental Risk. 2021, Appl. Sci., 11.
- Bendz D, Paxéus NA, Ginn TR, Loge FJ. Occurrence and fate of pharmaceutically active compounds in the environment, a case study: Hoje River in Sweden. J. Hazard Mat 2005, 122:195-204.
- Roberts P.H, Thomas KV. The occurrence of selected pharmaceuticals in wastewater effluent and surface waters of the lower Tyne catchment. Sci Tot Environ. 2006, 356:143-53,
- Ternes T. A. Occurrence of drugs in German sewage treatment plants and rivers. Water Res., 1998, 32 (11), pp. 3245-3249.
- Hernando M. D., M. Mezcua, A.R. Fernández-Alba, D. Barceló, "Environmental risk assessment of pharmaceutical residues in wastewater effluents, surface waters and sediments, Talanta, 69, pp. 334-342, 2006.
- Radjenovic J., M. Petrovic, D. Barceló. Analysis of pharmaceuticals in wastewater and removal using a membrane bioreactor, Anal. Bioanal. Chem. 2007, 387, pp.1365-1377.

13. Цинадзе З.О., Сурамелашвили Е.Р., Ебанойдзе Г.М. Загрязнение Сточных Вод Фармацевтическими Препаратами в Условиях Пандемии Covid-19. / WyScience. Modern Movement of Science: abstracts of the 13th International Scientific and Practical Internet Conference, October 18-19, 2021, Dnipro, Ukraine, pp. 237–238.
14. ტექნიკური რეგლამენტის - „წყლის სინჯის აღების სანიტარიული წესების“ დამტკიცების შესახებ. საქართველოს მთავრობის დადგენილება. საქართველოს საკანონმდებლო მაცნე. № 26, 300160070.10.003.017615, 2014.

SUMMARY

POLLUTION OF THE RIVER MTKVARI WITH ANAPRILIN IN THE TERRITORY OF TBILISI CITY

Ebanoidze G.G.

Georgian Technical University

As it is known, contamination with pharmaceutical products mainly occurs in the aquatic environment, which is followed by dispersion of the food chain due to their low variability. The paper discusses the issues of contamination of surface waters with pharmaceuticals. Their disposal in wastewater treatment plants is variable and depends on the properties of the substance and the process conditions (sludge retention time, hydraulic retention time, temperature). The object of research is the pollution of the Mtkvari River in Tbilisi with the antihypertensive drug - anaprilin. The amount of anaprilin was determined in the River Mtkvari in predetermined areas where high concentrations of carbamazepine group drugs were detected. It has been established that the concentration of anaprilin in the investigated areas is significant, which is probably due to the fact that in these areas, wastewater was discharged directly into the river and did not join the wastewater collector. Determining the sources of their origin is a task after research.

Keywords: pharmaceutical products, anaprilin, Mtkvari River, wastewater.

**დიგლოზენაბის სეზონში ცვლილებები მდინარე გუბარეთი გარდაპის
ჩამდინარე წყლების გამომენდ ნაბეჭრების მიმღებარე ტერიტორიაში**

**სურამელაშვილი ე.რ.
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი**

წყლის დაბინძურება წარმოადგენს სერიოზულ გაოდოგიურ პრობლემას [1-3]. წყალი დაბინძურებულია როგორც ბუნებრივი, ასევე ანთროპოგენური წარმოშობის პროდუქტებით. სწრაფი ინდუსტრიალიზაცია, მწირი წყლის რესურსების ჭარბი გამოყენება და მრავალი სხვა ფაქტორი განაპირობებს წყლის დაბინძურებას [4]. წყლის დაბინძურების გამომწვევა მიზეზებს შორის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მუნიციპალური ჩამდინარე წყლებით დაბინძურება. მართალია, ქალაქების უმრავლესობაში მუნიციპალური ჩამდინარე წყლები უკვემდებარება გაწმენდას გამწმენდ ნაგებობებში, მაგრამ კონკეციური გაწმენდის ტექნილოგია ვერ უზრუნველყოფს ჩამდინარე წყლების გაწმენდას ისეთი ნივთიერებებისაგან, როგორიცაა ხელოვნურად მიღებული არაორგანული პროდუქტები [5]. მათ მიეკუთვნება პესტიციდები, ზედაპირულად აქტიური ნაეროები (სარეცხი საშუალებები), ინდივიდუალური მოსმარების პროდუქტები და ფარმაცევტული პრეპარატები.

განსაკუთრებით საშიშია ფარმაცევტული საშუალებებით წყლის დაბინძურება [6]. ფარმაცევტული საშუალებები ხვდებიან ჩამდინარე წყლებში ადამიანებისა თუ ცხოველების მიერ წამალსაშუალებების მიღების შემდეგ გარემოში გამოყოფილ ქიმიურად აქტიურ ნაეროების სახით. ფარმაცევტული პრეპარატები და მათი მეტაბოლიტები სერიოზულ საშიშოებას უქმნიან წყალში მცხოვრებ ორგანიზმებს. თევზებში, ამ წყლებით მორწყელი ტერიტორიებში მოვანილი მცენარეებში ხდება ფარმაცევტული ნივთიერებებისა და მათი მეტაბოლიტების აკუმულირება, რომელიც საფრთხეს უქმნის ადამიანების ჯანმრთელობას.

ამიტომ ჩვენი კვლევის ობიექტად არჩეული იქნა არასტეროიდული ანთების საწინააღმდეგო და ტკივილგამაყუჩებელი (ასტგ) ფარმაცევტული საშუალებების ჯგუფის წარმომადგენელი დიკლოფენაკი. დიკლოფენაკი ფართოდ გამოიყენება მსოფლიოს სხვადასხვა ქვემოთ მითვალისწინებულ საქართველოს „წყლის სინჯის აღების სანიტარიული წესების“ რეგლამენტის მიხედვით [7]. სინჯები დაუყონებლივ გადაიტანებოდა ლაბორატორიაში და ხდებოდა მათი ანალიზი.

ნიმუშების შეგროვება. დიკლოფენაკის სინჯების აღება ხდებოდა მტკვრის იმ ნაწილში, სადაც ჩაედინებოდა გარდაბნის ჩამდინარე წყლების გამწმენდი ნაგებობის ეფლუენტი. სინჯების აღება ხდებოდა წელიწადში ორჯერ 2019, 2020 და 2021 წლებში, იანვარში და ივლისში, საქართველოს „წყლის სინჯის აღების სანიტარიული წესების“ რეგლამენტის მიხედვით [7]. სინჯები დაუყონებლივ გადაიტანებოდა ლაბორატორიაში და ხდებოდა მათი ანალიზი.

დიკლოფენაკის განსაზღვრა წყალში ხორციელდებოდა თხევადი ქრომატოგრაფიისა მეთოდით [8]. დიკლოფენაკის სტანდარტული ხსნარი (1 გ/ლ) მომზადდა ნატრიუმის დიკლოფენაკის გამოყენებით (Sigma Aldrich, India). დეიონიზებულ წყალში. გამსხვევად გამოყენებული ყველა სხვა ხსნარი იყო HPLC-ს ხარისხის.


წყლის ნიმუშები (100 მლ), დაუვანილი იყო pH 2-მდე, გაფილტრული 0,5 მკმ მინის ფილტრების გამოყენებით, ჩაიტვირთა კარტრიჯში, ნაკადის სიჩქარით – 5 მლ/წთ, გამოირეცხა 15 მლ ეთილის აცეტატით/აცეტონით, 1:1 (მოც/მოც). შეგროვებული ექსტრაქცები გაშრობილ იქნა მბრუნავ ვაკუუმურ ამაორთქლებელში. დერივატიზაცია განხორციელდა 30 μL N-მეთოლ-N-(ტრიმეთილსილილ) ტრიფტორ აცეტამიდის გამოყენებით და შემდეგ ინკუბირებული იყო 65 °C-ზე 35 წუთის განმავლობაში.

ქრომატოგრაფიული ანალიზი განხორციელდა Agilent 1260 Infinity Quaternary LC სისტემით, რომელშიც ხდებოდა ნიმუშის ავტომატური აღება [8]. მონაცემები შეგროვდა OpenLab EZChrom Elite პროგრამული უზრუნველყოფით. გამოცალკევება მიღწეული იქნა +30°C ტემპერატურაზე. კვლევა ჩატარდა 230 ნმ ტალღის სიგრძეზე, ქრომატოგრაფიული პირობების მსვლელობის დრო – 10 წთ.

შედეგები და მსჯელობა. დიკლოფენაკის სეზონური განაწილება მდინარე მტკვარში მოცემულია ცხრ.1-ში. რაც უფრო თვალნათლივ ჩანს პისტოგრამაზე (ნახ.1).

ცხრილი 1. დიკლოფენაკის რაოდენობა მდ. მტკვარში (მგ/ლ)

წელი	იანვარი	ივლისი
2019	0,85	1,3
2020	0,83	0,7
2021	0,66	0,85



ნახ. 1. დიკლოფენაკის რაოდენობა მდ. მტკვარში სეზონების მიხედვით (მგ/ლ)
(1 – იანვარი, 2 – ივლისი)

როგორც მონაცემებიდან ჩანს რაოდენობა ცვალებადია. რამ გამოიწვია დიკლოფენაკის რაოდენობის ასეთი მერყეობა?

პირველ რიგში უნდა განვსახულევოთ მოსახლეობის რაოდენობა, რომელსაც ემსახურება გარდაბნის ჩამდინარე წყლების გამწმენდი ნაგებობა. საქართველოს სტატიკური სამსახურის ინფორმაციის მიხედვით ამ ქალაქებში მოსახლეობის რაოდენობაა: თბილისი ~1 100 000, რუსთავის ~128 000 და მცხეთის ~7 800 ადამიანს.

სულ ჯამში გამოდის ~1 235 000 ადამიანი.

მაგრამ, ამას ემატებიან ვიზიტორები, რომელთა რაოდენობა საკმაოდ დიდი იყო პანდემიის დაწყებამდე და შემდეგ შემცირდა.

საქართველოს სტატიკური სამსახურის ინფორმაციის მიხედვით ვიზიტორების რაოდენობა შემდეგნაირად განაწილდა (ცხრ. 2):

ცხრილი 2. ვიზიტორების რაოდენობა


წელი	იანვარი	ივლისი
2019	400 000	900 000
2020	373 000	46 000
2021	43 000	241 000

სულ ჯამში ამ პერიოდებში მოსახლეთა რაოდენობა იქნება (ცხრ. 3).

ცხრილი 3. მოსახლეობის რაოდენობა

წელი	იანვარი	ივლისი
2019	1635000	2135000
2020	1608000	1281000
2021	1278000	1476000

ეს უფრო თვალნათლივ ჩანს პისტოგრამაზე.



ნახ. 2. თბილისის მოსახლეობა სეზონების მიხედვით გიზიტორების გათვალისწინებით
(1 – იანვარი, 2 – ივლისი)

თუ შევადარებთ ნახ. 1 და 2 დავინახავთ, რომ დიკლოფენაკის რაოდენობის მერყეობა ემთხვევა თბილისის მოსახლეობის სეზონურ ცვლილებებს.

აქედან შეგვიძლია გამოვიწანოთ შემდეგი დასკვნები

1. გარდაბნის გამწმენდი ნაგებობაში არ ხდება დიკლოფენაკის სრული მოცილება.

2. მტკვრის გარდაბნის ჩამდინარე წყლების გამწმენდი ნაგებობის აკვატორიაში დიკლოფენაკის რაოდენობა ემთხვევა თბილისის მოსახლეობის სეზონურ ცვლილებებს.

3. გარდაბნის ჩამდინარე წყლების გამწმენდ ნაგებობაში საჭიროა დამატებითი კვანძის დამონტაჟება, მაგალითად ოზონზაციის, რომელიც სრულყოფილად მოაცილებს დიკლოფენაკს ეფლუენტიდან.

ლიტერატურა

1. Trodd W. And O'boyle S. Water Quality In 2019. Environmental Protection Agency 2020.
2. Damania R., S. Desbureaux, A-S. Rodella, J. Russ, E. Z. Quality Unknown. The Invisible Water Crisis. International Bank for Reconstruction and Development. 2019.
3. UN World Water Development Report: Leaving No One Behind. 2019
4. Soni, H.B. Categories, Causes and Control of Water Pollution: A Review. International Journal of Life Sciences Leaflets. 107: 4-12. 2019.
5. Contaminants of Emerging Concern in Urban Wastewater. Joint NORMAN and Water Europe Position Paper. 2019.
6. Pereira A., L. Silva, C. Laranjeiro, A. Pena. Assessment of Human Pharmaceuticals in Drinking Water Catchments, Tap and Drinking Fountain Waters. Applied Science. 2021
7. Rules and Regulations of the State of Georgia. Subject 391-3-5 Rules for Safe Drinking Water. Tbilisi, N 26, 3 January, 2014.
8. Instituto Nacional De Metrologia, Normalização E Qualidade Industrial - Inmetro. DOQ-CGCRE-008. Orientações sobre validação de métodos analíticos, INMETRO. Rio de Janeiro, 2010. Available in: http://www.inmetro.gov.br/Sidoq/Arquivos/Cgcre/DOQ/DOQ-Cgcre-8_04.pdf. Accessed: 25 Mar. 2015;

SUMMARY

SEASONAL CHANGES OF DICLOFENAC IN THE AREA ADJACENT TO THE GARDABANI WASTEWATER TREATMENT PLANT IN THE MTKVARI RIVER

Surameliashvili E.R.

Georgian Technical University

Water pollution is a serious environmental problem. Among the causes of water pollution it is especially important to single out municipal wastewater pollution. Pollution of water by pharmaceuticals is especially dangerous. Pharmaceuticals are found in wastewater as chemically active compounds released into the environment after ingestion of drugs by humans or animals. As the study object was chosen Diclofenac, a member of the group of nonsteroidal anti-inflammatory and analgesic drugs. Diclofenac samples were taken in the part of the River Mtkvari where the flowed effluent from the Gardabani wastewater treatment plant (WWTP). Samples were taken twice a year in 2019, 2020 and 2021, in January and July, and were immediately analyzed in the laboratory. Based on the research results, the following conclusions can be made: 1. Diclofenac is not completely removed in Gardabani WWTP. 2. The amount of diclofenac in River Mtkvari near the Gardabani WWTP coincides with seasonal changes in the population of Tbilisi. 3. An additional node needs to be installed at the Gardabani WWTP, for example ozonation, which will completely remove diclofenac from the effluent.

Keywords: wastewater, treatment plant, pharmaceutical preparations

**საპბენდანამატთა კონცენტრატები მომაცლის პვების
პროდუქტების ზუსტიფირებისთვის**

ჩიგოგიძე ნ.შ., წიგწიგაძე თ.ი., სულაქველიძე გ.ა.

**საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის
ბიოლოგიურად აქტიურ ნივთიერებათა კვლევის სამეცნიერო ცენტრი**

ფუნქციონირებაში იგულისხმება ისეთი კვების პროდუქტები, რომლებიც არსებით კეთილშობილურ ზემოქმედებას ახდენენ ადამიანის ორგანიზმის გარკვეულ ფიზიოლოგიურ ფუნქციასა და სისტემაზე. ისინი ასევე აუმჯობესებენ ადამიანის ჯანმრთელობის მდგომარეობას, ამაღლებენ იმუნიტეტს და ამცირებენ ამა თუ იმ დაავადებათა წარმოქმნის რისკს ანუ ფუნქციური კვების პროცესები – ეს არის განსაკუთრებული ჯგუფი, რომელიც არ მიეკუთვნება სამკურნალო პრეპარატებსა და კვების კატეგორიებს, მაგრამ ემსახურება ორგანიზმის ფუნქციური სისტემის სრულყოფასა და ადამიანის ჯანმრთელობის გაუმჯობესებას [1, 4-11].

აქედან გამომდინარე, მათ უჭირავთ შუალედური ადგილი ჩვეულებრივ პროდუქტებსა, რომლებიც დამზადებულია ტრადიციული ტექნოლოგიებით, და სამკურნალო პროდუქტებს შორის [2,3].

სპეციფიკური ინგრედიენტების კონცენტრაციები, რომლებიც არსებობენ ფუნქციურ პროდუქტებში და ახდენენ მარეგულირებელ ზემოქმედებას ადამიანის ორგანიზმზე, ასლოა ფიზიოლოგიურთან, ამიტომ ასეთი პროდუქტები შეიძლება მოვიხმაროთ ხანგრძლივი დროის განმავლობაში [5,12].

ზემოთქმულიდან გამომდინარე, საკვები პროდუქტები შეიძლება მიეკუთვნოს ფუნქციონალურთა რიგს, თუკი მასში ბიოათვისებადი კომპონენტები იმყოფება 10–50%-ის ფარგლებში და შესაბამისობაშია საშუალო დღედამურ ნუტრიენტულ მოთხოვნებთან [8, 10, 13].

ფუნქციური კვების ამოცანები:

1. იმუნური სისტემის განმტკიცება;
2. საზიანო ტოქსინების გამოტანა ორგანიზმიდან;
3. გამაახალგაზრდავებული ეფექტი;
4. ბრძოლა ჭარბ წონასთან;
5. ზოგიერთი ხანდაზმული ავადმყოფობის პროფილაქტიკა, მაგალითად, ათეროსკლეროზი, II-ე ტიპის დიაბეტი, ალცენიუმერის დაავადება და სხვ.
6. არტერიალური წნევის ნორმალიზაცია;
7. ანტისეულის ტიტრის ზრდა ვაქცინაციის შემდეგ, ეპიდემიის დროს;
8. თავისუფალი რადიკალების წარმოქმნასთან ბრძოლა (ანტიოქსიდანტური აქტივობა).

მომავლის საკვების ფუნქციური პროდუქტებისთვის კვების დანამატების კონცენტრატთა შედეგენილობა:

CH₂ – COOCs ქარგამუხავას ცეზიუმი (ცეზიუმის სუქცინატი). მოლური მასა 381,92.
 |
 CH₂ – COOCs ქარგამუხავა შედის გ. კრებსის ციკლში და მონაწილეობს პრაქტიკულად მეტაბოლური პროცესების უმეტესობაში. მნიშვნელოვან როლს ასრულებს უჯრედოვან სუნთქვაში, ხელს უწყობს უანგბადის უკმარისობასთან ბრძოლას (ჰიპოქსია), რაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ონკოდაავადებებში.

HOOC
 |
 CH=CH
 |
 COOH ფუმარინის მჟავა (ტრანს – ბუტენდიენის მჟავა). მოლური მასა 116,1; დნობის ტემპერატურა 278°C. ტრიკარბონმჟავას ციკლი (კრებსის ციკლი), წარმოადგენს კვანძს, სადაც თავს იყრის პრაქტიკულად ყველა მეტაბოლური გზა. ქარგის მჟავასთან ერთად ფუმარინის მჟავა შედის გ. კრებსის ციკლში და წარმოქმნის უანგვა-ალდგენის სისტემას.

$H_2N-CH_2-CH_2-SO_3H$ ტაურინი (2-ამინოეთანსულფომჟავა) – მოლური მასა 125,15; დნობის ტემპერატურა 328–329°C. იგი ძირითადად იბრძვის ქსოვილებისა და ორგანოების აღდგენისათვის. აუცილებელია ნერვული სისტემის, ოვალების, კუნთებისა და კანის ნორმალური განვითარებისათვის.

გლიცინი Gly (გლიკოგლი) H_2NCH_2COOH (ამინომარმჟავა). მოლური მასა 75,07; დნობის ტემპერატურა 232–236°C. ადვილად იხსნება წყალში. წარმოადგენს დამამუხრუქებელი მოქმედების ტიპის ცენტრალურ ნეირომედიატორს. ახდენს სედატიურ მოქმედებას. აუმჯობესებს მეტაბოლურ პროცესებს ტვინის ქსოვილებში. ახდენს დადებით გავლენას კუნთების დისტროფიების დროს. ასუსტებს ალკოჰოლისადმის მიდრექილებას და გამოიყენება ქრონიკული ალკოჰოლიზმით დაავადებულთა სამკურნალოდ, ასევე იმარება კომპლექსურ თერაპიაში ტვინის სისხლის მიმოქცევის დარღვევის დროს, იშემიური ინსულტის მწვავე პერიოდში, ასევე ნევროზისა და ვეგეტოსისხლძარღვოვანი დისტონიის დროს და ა.შ.

$$\begin{array}{c} \text{HC}=\text{C}-\text{CH}_2-\text{CH}-\text{COOH} \\ | \quad | \qquad | \\ \text{N} \quad \text{NH} \qquad \text{NH} \\ // \qquad \backslash \qquad | \\ \text{CH} \qquad \text{C}=\text{O} \\ | \\ \text{CH}_2 \\ | \\ \text{CH}_2-\text{NH}_2 \end{array}$$

კარნოზინი – მნიშვნელოვანი დიპეპტიდი კუნთებისა და ტვინისათვის. შეიძლება შეასრულოს ბუფერული ფუნქციების როლი. pH-ის ფიზიოლოგიური მნიშვნელობის (β -ალანინ-L-ჰისტიდინი) დროს.

აცეტილი – L-კარნისტინი – ცხიმების დაწვისა და ენერგიის წყარო.

სილიმარინი – ჯამური პრეპარატი ფლავონოიდური ნაერთების ჯგუფიდან, ახდენს ჰეპატოპროტექტორულ მოქმედებას. ყველა მათგანს აქვთ ფენილქრომანული სტრუქტურა და ხასიათდებიან ჰეპატოპროტექტორული აქტიურობით.

გოჯის კენკრას (ჟოლოს) ექსტრაქტი – მძლავრი ანტიოქსიდანტი, ეფექტურია სიმსივნეური დაავადებების პროფილაქტიკისთვის.

გაშლის პექტინი – საკვები დანამატის შემავსებელი. ხელს უწყობს ორგანიზმიდან ტოქსინების გამოყოფას. აკავშირებს ტოქსიკურ მძიმე მეტალებს, როგორიცაა ტუვია, კადმიუმი, ვერცხლისწყალი, დარიშხანი და სხვ.

ძირითადი დასკვნები:

პირველად დადგენილია მომავლის საკვები დანამატების კონცენტრატების შედგენილობა, ფიზიკურ-ქიმიური და მედიკო-ბიოლოგიური თვისებები. ფუმარინის მჟავა, ქარვის მჟავასთან ერთად, მნიშვნელოვან როლს ასრულებს უჯრედოვან სუნთქვაში, ხელს უწყობს უანგბადის უკმარისობასთან (ჰიპოქსია) წინააღმდეგ ბრძოლას, რაც ძალიან მნიშვნელოვანია ონკოდაგადებებში.

ტაურინი წარმოადგენს საფუძველს ქსოვილებისა და ორგანოების ადდგენასა და ნერვული სისტემის, ოვალების, კუნთებისა და კანის ნორმალურ განვითარებაში.

გლიცინი როგორც მუხრუქული ტიპის მოქმედების ნეირომედიატორი ახდენს რელატიურ მოქმედებას, აუმჯობესებს მეტაბოლურ პროცესებს ტვინის კანში, დადებით გავლენას ახდენს კუნთების დისტროფიაში. იმარება ტვინის სისხლძარღვთა კომპლექსურ თერაპიაში. გამოიყენება ტვინის სისხლძარღვთა კომპლექსურ თერაპიაში მწვავე იშემიური ინსულტის პერიოდში.

კარნოზინი მნიშვნელოვანი დიპეპტიდი ტვინისა და კუნთებისთვის. შეიძლება შეასრულოს ბუფერული ფუნქცია pH -ის ფიზიოლოგიურ მნიშვნელობათა დროს.

სილიმარინი პრეპარატი ფლავონოიდური ნაერთების ჯგუფიდან, ახდენს ჰეპატოპროტექტორულ მოქმედებას, ახასიათებს ჰეპატოპროტექტორული აქტიურობას.

გოჯის კენკრას ექსტრაქტი – მძლავრი ანტიოქსიდანტი, ეფექტურია სიმსივნეურ დაავადებათა პროფილაქტიკისთვის.

გაშლის პერიოდი საკვები დანამატის შემავსებელი. ხელს უწყობს ორგანიზმიდან ტოქსინების გამოტანას. ერთმანეთთან აკავშირებს მძიმე ტოქსიურ მეტალებს, როგორიც არის ტუკია, დარიშხანი, კადმიუმი, ვერცხლისწყალი და სხვ.

ლიტერატურა

1. Спирчев В.Б., Шатнук Л.Н., Позняковский В.М. Обогащение пищевых продуктов витаминами и минеральными веществами. /Наука и технология, Новосибирск, Сиб. унив. изд-во, 2004, 548с.
2. Казанцева Н.С. Пищевые концентраты. -М., Изд. торг. корп. „Дашков и К“, 2007, 400с.
3. Бугаец И.А., Разработка научно-обоснованных рецептур пищевых концентратов повышенной биологической ценности. // Известия вузов. Пищевая технология, 2007, №1, сс.102-103.
4. Тихомирова Н.А. Технология продуктов функционального питания. -М., ООО „Франтера“, 2002, 213с.
5. Тутелян В.А. Микронутриенты в питании здорового и больного человека (справочное руководство по витаминам и минеральным веществам). -М., Колос, 2002, 424с.
6. Нилова Л.П. Хлебобулочные изделия функционального назначения. Качество и безопасность. -Санкт-Петербург, ЛЕМА, 2012,178с.
7. Шаззо Р.И., Касьянов Г.И. Функциональные продукты питания. -М., Колос, 2000, 247с.
8. Юдина С.Б. Технология продуктов функционального питания. -М., Дели принт, 2008, 280с.
9. Дроздова Т.М. Физиология питания. -М., Дели плюс, 2012, 352с.
10. Кацерикова Н.В. Технология продуктов функционального питания. -Кемерово, 2004, 146с.
11. Бобренева И.В. Функциональные продукты питания. -Санкт-Петербург, ИЦ „Интермедиа“, 2012, 180с.
12. Ганина А.Г., Барабанова О.В. Значение функциональных продуктов в питании современного человека. -Оренбург, ИПК ГОУ ОГУ, 2007, 30с.
13. Коваленко А.Л. и др. Фармакологическая активность янтарной кислоты и ее лекарственные формы. //Врач, №4, сс. 26-27.

SUMMARY

NUTRITIONAL CONCENTRATES FOR THE FUNCTIONING OF FOODS OF THE FUTURE

Chigogidze N.Sh., Tsivtsivadze T.I. and Sulakvelidze G.A.

Scientific Center for Research of Biologically Active Substances of Georgian Technical University

The search and creation of promising food products of the future based on new chemical and biological compounds is a very long and expensive process that requires painstaking work and joint efforts of scientists and specialists. The food of the future will significantly improve people's health, incomparably increase immunity and reduce the risk of diseases, as a result, the concentration of specific ingredients in functional products will have a regulatory effect on the human body and will be close to physiological; Such products can be consumed for a long time. This article presents the composition of future food supplement concentrates that play an important role in cellular respiration and help fight oxygen deprivation.

Keywords: atherosclerosis, alzheimer's disease, immune system, functioning, specific Ingredients, bioavailability, nutrients.

**სპოლამდელი ასაკის ბავშვთა ფაზტიური გვეპის პორტფელი
გიორგი ბიურაძე აქტიური ნატურალური დანამატების გამოყენებით**

ერგმლიძე თ.დ., ქარჩავა მ.ს., ბერულავა ი.ო., აფხაძე ქ.რ.

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი

სკოლამდელი ასაკის ბავშვებისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს მათი კვების სწორად ორგანიზებას, რადგან ამ პერიოდში მიმდინარეობს ორგანიზმის ინტენსიური ზრდა, ყალიბდება ძვლოვანი და კუნთვანი სისტემა, ფორმირდება ნეირო-ჰიუმორალური და იმუნური სისტემები. აღნიშნული პროცესები მოითხოვს საჭირო რაოდენობისა და თანაფარდობის პლასტიკური, რეგულატორული და სხვა ბიოლოგიურად აქტიური ნივთიერებების უწყვეტ მიწოდებას ორგანიზმისათვის. მათი დეფიციტი ან ნაკლებობა იწვევს ბავშვის ორგანიზმში მიმდინარე სასიცოცხელო პროცესების შეფერხებას, რაც ვლინდება დეფიციტური მდგომარეობების – ანემის, რაქიტის, ცილოვან-ენერგეტიკული უკმარისობის, პარატროფიის, იოდდეფიციტის ჩამოყლიბებაში, ქრონიკული დაგადებების ფორმირებაში, ფიზიკური და ნეირო-ფსიქოლოგიური განვითარების შეფერხებაში, არამდგრადი იმუნური სისტემის ჩამოყალიბებაში, რაც ჯანმრთელობის სერიოზული დარღვევებით ვლინდება უკვე ზრდასრულ ასაკში. სწორად ორგანიზებული კვება გულისხმობს ნატურალური და უვნებელი პროდუქტების გამოყენებით, სრულფასოვანი ცილებით, უჯერი ცხიმოვანი მჟავებით, მონელებადი და მოუნებელი ნახშირწყლებით, ვიტამინებით, მიკრო- და მაკროელემენტებით, პრო- და პრებიოტიკებით დაბალანსებული რაციონით ბავშვის ორგანიზმის „სწორად გაწერილი გრაფიკით“ უზრუნველყოფას, რისთვისაც პირველ რიგში საჭიროა მათი ფაქტიური კვების სტატუსის ანალიზი და შემდეგ მისი კორექცია ნატურალური ბიოლოგიურად აქტიური დანამატების გამოყენებით.

იმერეთის რეგიონის ქალაქების (ქუთაისის, ზესტაფონის, თერჯოლის, ბაღდათის, წყალტუბოს, სამტრედიის და საჩხერეს) სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების მაგალითზე შესწავლილია სკოლამდელი ასაკის 18-322 ბავშვის ფაქტიური კვების სტატუსი, რისთვისაც ჩატარდა: 1. სკოლამდელი ასაკის ბავშვთა კვების რაციონის ანალიზი; 2. კვების რაციონში გამოყენებული ნედლეულის დღიური რაოდენობის ანალიზი; 3. კვების დღიურ რაციონში ძირითადი საცვები ნივთიერებების – ცილების, ცხიმების, ნახშირწყლების შემცველობის ანალიზი; 4. კვების დღიურ რაციონში ვიტამინების (A, B₁, B₂, B₆, B₉, B₁₂, E, PP, C, D, K) შემცველობის ანალიზი; 5. კვების დღიურ რაციონში მინერალების (K, Ca, Mg, P, Fe, I, Mn, Cu, Mo, Se, F, Cr, Zn) შემცველობის ანალიზი; 6. დღიური რაციონის ენერგეტიკული დირექტულების ანალიზი; 7. დღიური რაციონის მაკრო- და მიკრო ნუტრიენტებით დაკმაყოფილების ხარისხის ანალიზი 1-3 წლამდე და 3-6 წლამდე ასაკის ბავშვებისათვის.

დადგენილია, რომ იმერეთის რეგიონის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებში დანერგილია 4-ჯერადი კვების რეკიმი – საუზმე, წახემსება, სადილი, სამხარი. კერძების ასორტიმენტი მოიცავს საქართველოს მთავრობის №487 „ადრეული სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებებში კვების ორგანიზებისა და რაციონის კვებითი ლირგბულების ნორმების დამტკიცების შესახებ“ (30.10.2017) განსაზღვრული პროდუქტების ყველა ჯგუფს: სალათებს, ფაფებს, სუპებს (წვიანს), ხორცის, თევზის, ფრინველის, ბურდულის, ხაჭოს და კვერცხის კერძებს, გარნირებს, სახმელებს, ახალ ხილს, ბოსტნეულს, პურს, ფქვილოვან კულინარულ და საკონდიტო ნაწარმს, მაგრამ თითოეული ჯგუფში კერძის ასორტიმენტის მრავალფეროვნება სხვადასხვა მუნიციპალიტეტებისათვის განსხვავებულია. განსხვავებულია ერთიდაიგივე კერძის გაცემის ნორმაც ცალკეული მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებში. უთანაბორობა ასორტიმენტსა და ულუფის მოცულობაში კვლევაში ჩართული სხვადასხვა მუნიციპალიტეტებისათვის იწვევს შესაბამის სხვაობებს ბავშვთა ორგანიზმის საკვები ნუტრიენტებით დაკმაყოფილების ხარისხში, რაც ცალსახად დადასტურდა მომდევნო კვლევებით [1-5].

ბავშვთა დღიურ რაციონში გამოყენებული ნედლეულის ანალიზის შედეგად დადგენილია რომ რაციონში ჭარბობს ბოსტნეული და მარცვლეული პროდუქტები. აღინიშნება ხორცის, რძის პროდუქტებისა და ხილის ნაკლებობა.

დღიურ რაციონში ძირითადი საკვები ნივთიერებების – ცილების, ცხიმების, ნახშირწყლების, ასევე ვიტამინებისა და მინერალების შემცველობის ანალიზს ვახდენით შემდეგი სქემით:

1. რაციონში გამოყენებული თითოეული ნედლეულისათვის ვალგინდით საკვლევი ნივთიერებების შემცველობას %‐ში, ნედლეულისა და საბავშვი ნივთიერებების დანაკარგების გათვალისწინებით პროდუქტის პირველადი დამუშავებისა და თბური კულინარული დამუშავების დორს.
2. კსაზღვრავდით ანალოგიურ მონაცემებს თითოეული ქალაქის რაციონში გამოყენებული კველა ნედლეულისათვის და ბოლოს
3. მიღებულ შედეგებს ვადარებდით ბავშვის ორგანიზმისათვის საქართველოს მთავრობის №487 დადგენილებით განსაზღვრულ ნორმებს.

დადგენილია, რომ ცილების საერთო რაოდენობაზე მოთხოვნა კვლევის თითქმის ყველა ობიექტზე კმაყოფილდება მხოლოდ 1-დან 3 წლამდე ბავშვებისათვის, ხოლო 3-დან 6 წლამდე ბავშვებისათვის ეს დანაკლისი იმერეთის რეგიონისათვის საშუალოდ შეადგენს 26%-ს. ცხოველური ცილის დანაკლისი იმერეთში 1-3 წლამდე ბავშვებისათვის საშუალოდ 32%-ია, ხოლო 3-6 წლამდე ასაკის ბავშვებისათვის 65%. დადგენილია, რომ რაციონში 1-დან 3 წლამდე და 3-დან 6 წლამდე ბავშვების ფიზიოლოგიური მოთხოვნები ვიტამინებზე დაკმაყოფილებულია შემდეგნაირად: B₁ ვიტამინი – 80% და 49,4%, B₂ ვიტამინი – 83,5% და 57,7%, B₆ ვიტამინი – 80,1% და 49,6%, B₉ ვიტამინი – 51,3% და 25,6%, B₁₂ ვიტამინი – 122% და 89,38%, C ვიტამინი – 65,1% და 50,6%, PP ვიტამინი – 118,5% და 98,7%, D ვიტამინი – 4,6% და 4,4%, K ვიტამინი – 65,1% და 59,7%, E ვიტამინი – 161,8% და 115,6%. პიპოვიტამინოზის დადგენილი დონე მსოფლიოში ჯანდაცვის ორგანიზაციის მიერ აღიარებულია ეპიდემიად, ხოლო D ვიტამინის ავიტამინოზი პანდემიად, რაც სრულ შესაბამისობაშია ჩვენს მიერ მიღებულ მონაცემებთან.

ბავშვთა კვების დღიურ რაციონში მინერალური ნივთიერებების ანალიზმა აჩვენა, რომ 1-დან 3 წლამდე და 3-დან 6 წლამდე ბავშვების ფიზიოლოგიური მოთხოვნები მინერალურ ნივთიერებებზე დაკმაყოფილებდით ასეთი სახით: K – 95,4% და 80,7%, Ca – 49,2% და 39,4%, Mg – 135,5% და 101,5%, P – 58,62% და 53,9%, Fe – 64% და 49%; I – 17% და 14,9%, Mn – 289,2% და 289,2%, Cu – 101,1% და 70%, Mo – 11,9% და 71,99%, Se – 43% და 43%, F – 12,2% და 7,1%, Cr – 43,2% და 30,8%, Zn – 72,5% და 55,3%.

მიუხედავად გამოვლენილი ნუტრიციული დისბალანსის პოლიპროფილურობისა კვლევის მიზნად დავისახეთ ბავშვთა კვების რაციონში იმ დეფიციტური ნივთიერებების შემცველობის კორექცია ნატურალური საკვები დანამატების გამოყენებით, რომლის წარმოების მყარი სანედლეულო ბაზა გააჩნია საქართველოს. აღნიშნულიდან გამომდინარე მემბრანული ტექნოლოგიებისა და ლიოფილური შრობის გამოყენებით დამუშავებულია შემდეგი ნატურალური, ბიოლოგიურად აქტიური დანამატების ტექნოლოგიები: საქართველოს მინერალური წყლის „ლუგბელას“ ბაზაზე კალციუმის შემცველი ($19950 \pm 45\text{მგ}/100\text{გ}$) დანამატის ტექნოლოგია, ფეიქოს ნაყოფების ბაზაზე იოდის შემცველი ($430 \pm 18\text{მგ}\%$) დანამატის ტექნოლოგია და ასეილის ნაყოფების ბაზაზე C ვიტამინის შემცველი ($2000 \pm 31\text{მგ}\%$) დანამატის ტექნოლოგია. მიღებული დანამატების გამოვენებით შემუშავებული იქნა ბავშვთა კვების რაციონიში ჩართული შემდეგი კერძების რეცეპტურები: ჩაი, კომპოტი, ბოსტნეულის წვნიანი (ბრინჯით, ვერმიშელით, მაკარონით) ბორში, ხარჩო საქონლის ხორცით, კატლეტი საქონლის ხორცით, კატლეტი თვევზის, ფუნთუშა და პური.

ბავშვთა კვებისათვის განკუთვნილი პროდუქტების რეცეპტურების გაანგარიშება მოხდა რაციონში დასამატებელი ბიოლოგიურად აქტიური ინგრედიენტის საერთო რაოდენობისა და პროდუქტში დანამატის მაქსიმალური დასაშვები კონცენტრაციის ექსპერიმენტულად განსაზღვრული მონაცემების გათვალისწინებით. გასამდიდრებელი პროდუქტების მომზადების ტექნოლოგიებში ცვლილება ფაქტიურად არ მომხდარა, იგი მხოლოდ პროდუქტში (კერძში) შესაბამისი საკვები დანამატის შერე-

ვით შემოიფარგლა, რაც გაამარტივებს შეთავაზებული ცვლილების დანერგვას სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებში.

ტრადიციული და „გამდიდრებული“ რაციონების ანალიზმა აჩვენა, რომ ნატურალური, ბიოლოგიურად აქტიური საკვები დანამატების გამოყენებით ბავშვთა კვების რაციონში კალციუმის დეფიციტი აღმოფხვრილია სრულად, C ვიტამინის დეფიციტი აღმოფხვრილია სრულად და იოდის დეფიციტი შემცირებულია 85%-დან 55%-მდე.

ვიტამინებითა და მინერალებით გამდიდრებული ბავშვთა კვების პროდუქტების საწარმოო აპრობაციის შედეგების საფუძველზე ჩვენს მიერ შემუშავებული პროდუქტების რეცეპტურები და ტექნოლოგიები დამტკიცებულია ქ. ქუთაისის ბაგაბაღების გაერთიანების მიერ და რეკომენდებულია დასანერგად.

ლიტერატურა

1. ერგემლიძე ო., ქარჩავა მ., ბერულავა ი. ვიტამინებით და მინერალებით გამდიდრებული პროდუქტები სკოლამდელი ასაკის ბავშვთა კვების ხეატუსის კორექციისათვის. /სსმმ აკადემიის აკადემიკოსის, პროფესორ გურამ ტექმალაძის 80 წლის იუბილესადმი მიძღვნილი საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია „ინვაციური კვლევის ასპექტები აგრძელ მეცნიერებაში“. -თბილისი, „ტექნიკური უნივერსიტეტი“, 2021, გვ. 82-85.
2. I.N. Zakharova, N.G. Sugyan, Yu.A. Dmitrieva. Micronutrient Deficiencies in Children of Preschool Age. Russian Medical Academy of Postgraduate Education, Moscow, Russian Federation. QUESTIONS OF CONTEMPORARY PEDIATRICS, 2014, Vol. 13/ № 4, p. 63.
3. Pavlov N.N., Kleschina Yu.V., Eliseev Yu.Yu. Evalution of actual nutrition and nutrition status of modern children. /Научно-практический вестник «Человек и его здоровье», №1, 2011, cc. 128-132.
4. T. Ergemlidze, N. Kintsurashvili, M. Karchava, I. Berulava. Nutrition-related problems if pre-school children in Georgia// Georgian Engineering News, No.4 (vol.80), 2016, pp. 148-151.
5. N. Kintsurashvili, T. Ergemlidze, M. Karchava, I. Berulava. Technology of produqtion of a natural mineral food supplemen. // Georgian Engineering News, No.3 (Vol.83), 2017, pp. 115-117.

SUMMARY

CORRECTION OF ACTUAL NUTRITION OF PRESCHOOL CHILDREN THROUGH THE USE OF NATURAL BIOLOGICALLY ACTIVE SUPPLEMENTS

Ergemlidze T.D., Karchava M.S., Berulava I.O. and Apkhadze K.R.

Akaki Tsereteli State University

The actual nutritional status of preschool children in Imereti region has been studied, and the polyprophylactic nature of nutritional imbalance has been revealed. Using the natural food supplements containing calcium, iodine and vitamin C, there have been developed recipes and technologies of child nutrition products fortified with vitamins and mineral, as a result of which, there was completely eliminated calcium and C vitamin deficiency in the food ration, while iodine deficiency was reduced from 85% to 55%. Based on the results of industrial approbation of "enriched" products,a, the new food product recipes and technologies have been approved and recommended for introduction by the Kutaisi Day Nurseries Union.

Keywords: actual nutrition, child nutrition, vitamins, minerals, fortified products, natural food supolment.

აჭარაში გამოცელებული ტყავის პომოლოგიური და უნივერსიტეტი კვლევა

სურმანიძე დ.დ.

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

მოსახლეობის რაოდენობის უპრეცედენტო ზრდისა და კლიმატის გლობალური ცვლილებების ფონზე მსოფლიოს სასურსათო უსაფრთხოებასა და ეკონომიკურ განვითარებაში სულ უფრო მსარდ როლს თამაშობს მცენარეთა გენეტიკური რესურსები. ეს რესურსები, როგორც აგროკულტურების ბიომრავალფეროვნების არსებითი შემადგენელი კომპონენტი, მნიშვნელოვანია მდგრადი სასოფლო-სამეურნეო წარმოების გაძლიერებისათვის და სოფლის მეურნეობაში დაკავებული მოსახლეობის უზრუნველყოფისათვის [1].

თუმცა, ამჯამად მცენარეთა გენეტიკური რესურსები არის მზარდი წნების ქვეშ როგორც გლობალურ, ისე რეგიონალურ და ადგილობრივ დონეზე. ეს მცენარეები წარმოადგენენ საწყის ნედლ მასალას აგროკულტურათა გაუმჯობესებისათვის, რათა მიღებული ჯიშები და ფორმები უკეთესად შეეგუონ შეცვლილ კლიმატურ პირობებს, რასაც გარემოს ფიზიკური მახასიათებლების (ტემპერატურა, ტენიანობა, ნალექების რაოდენობა) ცვლასთან ერთად მოყვება მავნებელ-დაავადებათა საექტრის მკეთრი ცვლილებებიც. ამიტომ გენეტიკური მრავალფეროვნების უფრო ფართოდ გამოყენება აუცილებელია ამ და სამომავლო გამოწვევების მოსაგვარებლად [2].

საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ კავკასია, ბიოლოგიური მრავალფეროვნების მხრივ, ერთ-ერთ ყველაზე გამორჩეულ რეგიონადაა აღიარებული. WWF-ის 35 „პრიორიტეტული ადგილიდან“ ერთ-ერთი („შავი ზღვის დიდი აუზი“) მოიცავს კავკასიის რეგიონს; Conservation International-ის მიერ განსაზღვრული „ბიომრავალფეროვნების 34 ცხელი წერტილიდან“ (ტერიტორიები, რომელებიც გამოირჩევიან უმდიდრესი, მაგრამ სერიოზული საფრთხის ქვეშ მყოფი ბიომრავალფეროვნებით) საქართველოს ტერიტორია ორი „ცხელი წერტილის“ – კავკასიისა და ირან-ანატოლიის შემადგენლობაში შედის.

აჭარის მთები ერთ-ერთი ყველაზე ტენიანი ადგილია ჩრდილოეთ ნახევარსფეროში. მაგ. მთა მტირალა და მტირალას ეროვნული პარკი ყოროლიწყლისა და ჩაქისწყლის აუზებთან ერთად არის ტერიტორია, რომელსაც აქვს ნალექების მაქსიმუმი პრაქტიკულად მთელ ევროპასა და დასავლეთ აზიაში. აქ ნალექების რაოდენობა წელიწადში 4000 მმ-საც კი აღწევს. ეს რაოდენობა ჩვეულებრივია ეკვატორიალური ტყეებისთვის, ბრაზილიისთვის, ამაზონისა თუ დასავლეთ აფრიკისთვის, მაგრამ ზომიერი კლიმატისთვის ძალზე უზვეულოა. ტენის ასეთი რაოდენობა წარმოშობს იმ უზარმაზარ ტყეებს, რომლებსაც ზომიერი კლიმატის „ტყიმის ტყეებს“ (Temperate Rainforests) უწოდებენ. ტყეებს უკავია ავტონომიური რესპუბლიკის ფართობის 61%. ეს მაჩვენებელი გამორჩეულად მაღალია საქართველოს (39,1%), მეზობელი თურქეთის (11%) და მთლიანად მსოფლიოს (27%) შესაბამის მაჩვენებლებთან. ტყის მასივების ყველაზე მეტი წილი მოდის ზღვის დონიდან 1000–2000 მ-ის ფარგლებში. ტყით დაფარული ფართობების ნახევარზე მეტი, 55,9% მოდის 31 გრადუსისა და მეტი დაქანების ფერდობებზე. ამ ტყეებში კოლხური ფლორა – დიდი უზარმაზარი ხეებითა და უამრავი ენდემური სახეობით. მცენარები, მწერები, ფრინველები, ცხოველები, ზოგი სახეობა ჯერაც არაა ბოლომდე აღწერილი. ის სახეობები კი, რომლებიც მეტ-ნაკლებად მთელი კავკასიის ტყიან ნაწილებში გახვდება, აგრაში კაველაზე მრავლადაა შემორჩენილი. განსაკუთრებით სუბტროპიკული, მარადმწვანე სახეობები. 2021 წელს კოლხური რელიეფური წვიმიანი ტყეები და წყალჭარბი ტერიტორიები UNESCO-ს მსოფლიო ბუნებრივი მემკვიდრეობის ძეგლთა ნუსხაში იქნა შეტანილი. ამ ტყეების ქვეტყის ერთ-ერთ მნიშვნელოვან შემადგენელს წყავის მცენარეები ქმნის.

წყავი (*Prunus laurocerasus L.*) ვარდისებრთა (Rosaceae) ოჯახის, ტყემალოვანთა (*Prunoideae*) ქვეოჯახის, ქლიავის (*Prunus*) გვარის მარადწვანე ხე ან ბუჩქია, რომელიც სიმაღლით 12 მეტრამდე და მეტსაც აღწევს, ფართო პრიალა, ოვალური ფოთლებით. ყვავილები წვრილია, თეთრი ფერის, არომატული, ნაყოფი კენკრაა.

წყავი გამოირჩევა ქიმიური შედგენილობით. წყავის ფოთოლი შედგება ეთერზე-თებისგან, აზოტშემცველი ნაერთებისგან, სტერეოიდებისგან, ფენოლკარბონის მჟავის-გან, C ვიტამინისგან, ფლავონოიდებისგან, ცხიმებისგან და სხვ. წყავის ფევში აღმოჩენილია აზოტშემცველი ნაერთები – ციანტფალბადმჟავა, მთრიმლავი ნივთიერებები. მერქანი შეიცავს ფისს; ნაყოფი – ნახშირწყლებსა და მონათესავე ნაერთებს, ანტოციანებს. წყავის თესლის შემცველობაშია საქართველო, ეთერზეთი, ციანტფალბადმჟავა, ამიგ-დალინი, ცხიმი, ნაყოფი მდიდარია ვიტამინებით, ნახშირწყლებითა და სხვა სასარ-გებლო ნივთიერებებით. ცილებისა და მიკროელემენტების მაღალი შემცველობის გამო წყავის ნაყოფებს მაღალი კენტიო ღირებულება აქვთ და ისინი ფუნქციონალურ კვე-ბის პროდუქტების მიეკუთვნება. დადგენილია, რომ წყავის ფოთლებს და ნაყოფებს აქვთ ანთების საწინააღმდეგო, შემახორცებელი, გამაყუჩებელი მოქმედება. მცენარის ექსტ-რაქტებს აქვთ გამოხატული ფუნგიციდური თვისებები [3].

წყავის სამშობლო დასავლეთ საქართველო და მცირე აზიაა. მიუხედავად იმისა, რომ ჩვეულებრივი წყავი უძველესი დროიდან გამოიყენება, იგი არ გამოირჩევა ჯიშობრივი მრავალფეროვნებით. საქართველოს სოფლის მეურნეობის აკადემიის ინ-ფორმაციით [4] ჩვენში გავრცელებულია წყავის სამი ჯიში: შავნაყოფა ტკბილი „ნაკიფუ“, ოქტონაყოფა ტკბილი, წითელნაყოფა მსხვილი. თუმცა წყავის კულტივირების ძირითად რეგიონებში აქტიურად მიმდინარეობს სელექციური სამუშაოები პერს-პექტიული ფორმების შესარჩევად [5-7]. მსგავსი სამუშაოები ჩატარებულია საქართველოშიც ჩაის, სეპტემბერიც ული კულტურებისა და ჩაის მრეწველობის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტში (ოზურგეთი, ანასეული) [8]. შერჩეული იქნა შემდეგი ფორმები: ფორმა 14 (შავნაყოფა ჩლოუ), ფორმა 28 (წითელნაყოფა მსხვილი), ფორმა 29 (შავნა-ყოფა ტკბილი), ფორმა 33 (მოვარდისფრო), ფორმა 40 (შავნაყოფა ნარაზენი).

აჭარაში ფართოდაა გავრცელებული წყავის როგორ კულტურული, ისე ველუ-რი ფორმები. ამ მცენარის კულტურული წყავის ნაყოფს მოსახლეობა იყენებს რო-გორც დიეტურ ხილს, ხოლო ველური წყავი სიმწკლარტის გამო ნედლ ხილად არ გამოიყენება. არაა შემუშვებული მისი გადამუშავების ტექნოლოგიებიც. ჩვენი მიზანი იყო წყავის კულტურული და ველური ფორმების ფენოლოგიური ციკლის შესწავლა აჭარაში ვერტიკალური ზონალობის გათვალისწინებით.

დაკვირვება წარმოებდა 2020–2021 წლებში აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის შემდეგ სოფლებში და მათ მიმდებარე ტერიტორიებზე: ქობულეთის მუნიციპალ-ლიტების სოფ. ფიჭვნარი, ბობოვყათი, ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის სოფ. კვარია-თი (5–50 ზღვის დონიდან), ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის სოფ. მახო, ფერია, ქ-დის მუნიციპალიტეტის სოფ. ქვედა მახუნცეთი, (ზღვის დონიდან 50–250 მ), ქედის მუ-ნიციპალიტეტის სოფ. ქვედა და ზედა აგარა, წონიარისი, კინტრიშის სახელმწიფო ნაკრძალი (ზღვის დონიდან 250–500 მ), ქედის მუნიციპალიტეტის სოფ. ნენია (ზღვის დონიდან 500–800 მ).

დაკვირვების შედეგები მოცემულია ცხრილში.

ცხრილი 1. ფენოლოგიური ფაზების მიმდინარეობის პერიოდები წყავის მცენარეებში

ფენოლოგიური ფაზა	სიმაღლე ზღვის დონიდან			
	5–50 მ	50–250 მ	250–500 მ	500–800 მ
ვეგეტაციის დასაწყისი	8–24 დეკემბერი	25–31 დეკემბერი	20 იანვარი – თებერვალი	25 დეკემბერი – 15 იანვარი
კოპრების გამოცალებება	24 დეკემბერი – 1 აპრილი	30 დეკემბერი – 10 აპრილი	29 იანვარი – 12 აპრილი	4 იანვარი – 20 აპრილი
ვეგაილობა და ნაყოფის გამონასკვა	28 მარტი – 5 აპრილი	1–15 აპრილი	10–30 აპრილი	15–30 აპრილი
ვეგეტაციური ზრდის დასაწყისი – დასასრული	3 აპრილი – 30 მაისი	10 აპრილი – 12 ივნისი	15 აპრილი – 15 ივნისი	22 აპრილი – 16 ივნისი
ელორტების მეორადი ზრდა	15 ივნისი – 8 აგვისტო	18 ივნისი – 10 აგვისტო	16 ივნისი – 8 აგვისტო	25 ივნისი – 17 აგვისტო
ნაყოფის მომწიფება	10–25 ივნისი	10–25 ივნისი	15 ივნისი – 5 აგვისტო	18 ივნისი – 10 აგვისტო

განვითარების ყოველწლიურ ციკლში წაგის მცენარეები გადიან შემდეგ ფენოლოგიურ ფაზებს: გენერაციული კვირტების დაბერვა და გაღივება (ვეგეტაციის დასაწყისი), კოკრების გამოცალავება, ყვავილობა და ნაყოფის გამონასკვა, ვეგეტატური კვირტების დაბერვა და გაშლა (ყლორტების ზრდის დასაწყისი), ყლორტების ბირველადი ზრდის დასასრული, ყლორტების მეორადი ზრდა, ნაყოფის მომწიფება.

როგორც ცხრილის მონაცემებიდან ჩანს, განსხვავება ფენოლოგიური ფაზების დადგომას შორის ვერტიკალური ზონალობის მიხედვით რამდენიმე დღეს შეადგენს, გარდა ვეგეტაციის დასაწყისისა, რადგან ამ პერიოდში (დეკემბერ-იანვარში) ტემპერატურათა სხვაობა დიდი იყო, როცა ზღვის მახლობლად საშუალო ტემპერატურა $10-15^{\circ}\text{C}$ -ს შეადგენდა, ქვეითა და შუახევის მუნიციპალიტეტის სოფლებში თოვლი იდო. ნაყოფის დამწიფების პერიოდი, რომელიც ყველაზე საინტერესოა ტექნოლოგიური თვალსაზრისით, დაახლოებით 30–40 დღეს შეადგენს.

ლიტერატურა

- Cohen, J., J.B. Alcorn, and C.S. Potter. Utilisation and conservation of genetic resources: International projects for sustainable agriculture. *Econ. Bot.* 1991, 45, pp.190–199.
- Malik, S.S. and S.P. Singh. Role of plant genetic resources in sustainable agriculture. // *Indian J. Crop Sci.*, 2006, 1(1-2), pp.21–28.
- Кароматов И.Д., Давлатова М.С. Лавровицня лекарственная. // Эл.журн. «Биология и интегративная медицина», 2017, №1, сс. 243-250.
- საქართველოს აგრობიომრავალფეროვნება (ქატალოგი), თბილისი, 2015. www.gaas.dsl.ge/pdf/catalogue.pdf.
- Ferit C., Sezai E. et al. Estimation of Certain Physical and Chemical Fruit Characteristics of Various Cherry Laurel (*Laurocerasus officinalis* Roem.) Genotypes. /HortScience 2011, 46(6), pp.924–927.
- Sulusoglu M. The cherry laurel (*Prunus laurocerasus L.*) tree selection. //African Journal of Agricultural Research, 2011, Vol. 6(15), pp.3574-3582.
- Akbulut M., Macit I. et al. Evaluation of 28 cherry laurel (*Laurocerasus officinalis*) genotypes in the Black Sea region, Turkey. //New Zealand Journal of Crop and Horticultural Science, 2007, Vol. 35, pp. 463-465.
- Мчедlidзе В.Б. 1990. Биоэкология хозяйствственно-ценных форм лавровицни в субтропических районах черноморского побережья. Автореферат диссерт. Анакеули.

SUMMARY

POMOLOGICAL AND PHENOLOGICAL RESEARCH OF CHERRY LAUREL IN ADJARA

Surmanidze D.D.

Georgian Technical University

The article presents the results of pomological and phenological studies of cherry laurels in Adjara. Forests occupy 61% of the territory of Adjara. One of the components of the undergrowth of these forests is cherry laurel plants. This genetic resource is hardly used, so its study is interesting given the prospects for application. In addition to wild cherry laurel in Adjara, three cultural varieties are found. The periodicity of phenological phases varies depending on the vertical zonality, which for laurel plants in Adjara is 5-800 meters from sea level. **Keywords:** cherry laurel, forms of cherry laurel, phenology.

**აჭარაში გაგრცელებული მოცხარის ბბარის (*Ribes L.*) ბიოლოგიური
თავისებურება**

შემარწე ქ.ბ.

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

კენკროვან მცენარეთა შორის, უნიკალური სამკურნალო დირსებულით ხასიათდება მოცხარის გვარი – *Ribes L.* (ოჯახი: ხუნწისებრთა – *Grossulariaceae*) როგორც ველურად მოზარდი, ისე კულტურული ფორმები და ჯიშები. ისინი 1,0–3,0 მ სიმაღლის ბუჩქებია, დატოტვილი დერო სწორმდგომია, დეროს ქერქი მოწითალო, ახალგაზრდა ტოტების ქერქი კი მოყვითალო-რუხი შეფერილობისაა, ნორჩი ყლორტები მომწვანოა. სურნელოვანი, 3–5-ნაკვთიანი ყუნწიანი ფოთლები მორიგეობითაა განლაგებული, ზემოდან შიშველია, მუქი მწვანე, ქამომოდან კი უფრო მკრთალი, ძარღვების გაყოლებით ბუსუსიანი, მოფენილია ოქროსფერი ჯირკვლოვანი წერტილებით. ფოთლის ფირფიტა ფართო სამკუთხაა, შუა ნაწილში განიერია, კიდე ხერხისებრ დაბილულია; ყვავილები შედგება 5–12 ყვავილისაგან და წარმოადგენს 5–8 სმ-მდე სიგრძის მტევანს. ყვავილები მოწითალო ფერისაა, ფართო ზარისებრი, 5–10 ცალი შეკრებილია თავჩაქინდრულ მტევნად. ნაყოფი მრავალოესლიანია, სფეროსებური, წვნიანი. კენკრის დიამეტრი 7–10 მმ-ია. მის წვერზე ყვავილისაფრის ნაშთია. სიმწიფისას ცილდება ყუნწის. მოცხარი ყვავილობს მასი-ივნისში, ზოგან უფრო ადრეც. ნაყოფი მწიფდება ივლის-აგვისტოში, რაც დამოკიდებულია იმაზე, თუ ზღვის დონიდან რა სიმაღლეზე იზრდება [1,2].

შავი და წითელი მოცხარის სახეობებისა და ჯიშების ფართო სპექტრი არსებობს, რომლებიც განსხვავდებიან სიმწიფეში შესვლის პერიოდით, ბუჩქის ზრდის სიძლიერით და ფორმით, ნაყოფების ზომით, გამძლეობით დაავადების მიმართ და სხვ.

შავი მოცხარი გავრცელებულია ევროპაში, აზიაში, ამერიკაში. იზრდება ნესტიან ტყეებში, ველებზე, მდინარეთა და ტბების პირას, ზღვის დონიდან 2000 მ სიმაღლემდე, ქმნის პატარა კორომებს. საქართველოში ველურად არ გვხვდება, შემოტანილია კულტურაში. მათ შორის, ყველაზე ფართოდ გავრცელებული სახეობებია: *Ribes Sativum Syme* (წითელი, თეთრი და ვარდისფერი მოცხარი) და *Ribes nigrum* (შავი მოცხარი). მოცხარის ორივე ფორმა ველურად იზრდება ჩრდილოეთ ევროპასა და ციმბირში. შავი მოცხარის ნაყოფი შავი შეფერილობისაა, ფოთლები და კენკრა ძალიან სურნელოვანია ეთერზეთების მაღალი შემცველობის გამო, რომელსაც შეიცავს სპეციალური ჯირკვლები, რომლებიც მჭიდროდაა მოფენილი ფოთლების ქვედაზედაპირზე. შავი მოცხარი წითელისგან განსხვავდებით უფრო მწკლარტეა, მაგრამ აქვს განსაკუთრებული არომატი, რის გამოც მასზე დიდი მოთხოვნაა გადამამუშავებელ მრეწველობაში. თეთრი მოცხარი არის წითელი მოცხარის ნაკლებად მეტვა ალბინოსური ფორმა, სასიამოვნოა მისი ნედლი სახით მოხმარება. ვარდისფერი მოცხარი კი ხასიათდება უფერული კანით და ვარდისფერი რბილობით. წითელი მოცხარის ნაყოფი გამოიყენება როგორც ნედლად, ისე გადამუშავებული სახით. ოქროსფერ მოცხარს იყენებენ, როგორც დეკორატიულ ბუჩქს, ტყის დამცავ ზოლში, საძირედ ხურტგმელისა და მოცხრის შეგამბიანი ფორმის მისაღებად [1,2].

საქართველოში ველური სახით გავრცელებულია მოცხარის 3 სახეობა:

- კლდის მოცხარი (*Ribes biebersteinii Berl. ex DC.*), არეალი – ანატოლია;
- აღმოსავლური მოცხარი (*Ribes orientale Desf.*), არეალი – კავკასია, ანატოლია, ირანი;

• მთის მოცხარი (*Ribes alpinum L.*), არეალი – კავკასია, ანატოლია – შუა და ჩრდილოეთ ევროპა;

აჭარის მაღალმთიან ზონაში ველურად იზრდება შემდეგი სახეობები:

ბიბერშტეინის მოცხარი – *Ribes Bibersteinii Berl. ex DC.* – 2 მ-მდე სიმაღლის ფოთოლმცვენი ბუჩქია. 10–13 სმ სიგრძის ფოთლები გულისებრი ფორმისა, 12 სმ-მდე სიგრძის, ორსქესიანი ყვავილები ვიწრო მტევნებადაა შეკრებილი, გვირგვინის ფურცლები მუქი მეწამული შეფერილობით გამოირჩევა; 6–7 მმ სიგრძის კენკრა ნაყოფი

სფეროსებრი, მოშავო-წითელია; აჭარის ფლორისტულ რეგიონში გავრცელებულია შუა სარტყელიდან სუბალპურ ტყეებამდე, შემდგომ ვხვდებით მინდვრებსა და ველებზე, ფერდობებზე. კენკრა ნაყოფი საჭმელად ვარგისია. ბიბერშტეინის მოცხარს უფრო ძეგლად ვხვდებით ხულოს მუნიციპალიტეტში, დანისაპარაულში, ნაღვარევში, ლორჯომში, სხალთაში, სარიჩირში, ტბეთში, მაწყვალთაში და სხვ.

ალპური მოცხარი – *Ribes alpinum* – 1,5 მ-მდე სიმაღლის ფოთოლმცვენი ბუჩქია. ფოთლები 7–9 სმ სიგრძის. მტევნი ყვავილები 4-სმ-მდე სიგრძის, ერთსქესიანი. ყვავილი არის მტვრიანებით, მამრობითი – უფრო მოკლეა. გვირგვინის ფურცელი მომწვანო-მოყვითალო; კენკრა ნაყოფი წითელი ფერის, 7–8 მმ სიგრძის. გავრცელებულია აჭარის შუა და ზედა სარტყელში, ტყის ფერდობებზე. გვხვდება ხულოს მუნიციპალიტეტში, ნაღვარევში, ხიხაძირში, მაწყვალმთაში.

საქართველოში გავრცელებული სახეობები უეკლო ბუჩქებია.

კვლევის ობიექტები ხულოს მუნიციპალიტეტი შევარჩიეთ, კერძოდ, აგარის ხეობა, რომელიც ლიტერატურაში დასახელებული არ არის და ამდენად, საინტერესოა მისი გამოკვლევა.

მარშრუტული კვლევა ჩავატარეთ სოფლების: დიდაჭარის, ირემაძეების, საციხეურის, ნასაყდრალის, აგარის მიმდებარე ტყეებსა და მცენარეულ თანასაზოგადოებებში. აგარიდან სუბალპური მთის შემდეგი ადგილობრივი დასახელების ადგილმდებარეობები შევისწავლეთ: ბოგილი, რუსთავი, ცინწყარო, ნაკაფისერი, წვერიგანი, ლუთურაწყარო, ჭოლო, ნეფიწყარო, ხათელათი და სხვ.

ალპური და ბიბერშტეინის მოცხარი ბუნებრივად სწორედ ამ მიდამოებში გვხვდება, ზღვის დონიდან 1500–2030 მეტრისა და უფრო მეტი სიმაღლის პირობებში. GPS – კოორდინატები დაახლოებით ასეთია: 41° 0' 41" 39.55", 420° 28' 06.01" ... [3,4]

აღსანიშნავია, რომ მოცხარის სახეობების გავრცელება აღნიშნულ ხეობაში ხასიათდება როგორც დამოუკიდებელ ჯგუფებად, ისე სხვადასხვა მცენარეულ დაჯგუფებაში თანაარსებობით, ეს არის მთის ზედა სარტყელისა და სუბალპური სარტყელის საზღვარი, სადაც ძირითადად დაბალი ხე-მცენარეებისა და ბუჩქნარების დაჯგუფებია. ეს დაჯგუფებები არ არის ერთიანი, ისინი ცალ-ცალკეა წარმოდგენილი და გამოყოფილია მდელოებით.

Ribes Bibersteinii Berl. ex DC. იზრდება შემდეგ მცენარეულ დაჯგუფებში, სხვადასხვა სახეობის დომინანტობით:

Acer trautvetteri Medw. – ტრაუტვეტერის ნეკერჩხლის დომინანტობით არსებულ მცენარეულ დაჯგუფებაში. იგი ამ არეალში დაბალმოზარდი ხე-მცენარეა. მასთან ერთად ჯგუფში, ბიბერშტეინის მოცხარის გარდა, ვხვდებით სახეობებს: *Viburnum lantana L.*, *Vaccinium myrtillus L.*, *Rhamnus imeretina* Booth. (*Rhamnaceae Juss.*), *balaxovnebidan: tilWiri* - *Aconitum nasutum* Fisch. (=*A. brachynasum* kem.-Nath.) (*Ranunculaceae Juss.*), 1,5 მეტრამდე სიმაღლის.

Vaccinium myrtillus L. (*Vacciniaceae Lindl.*) – მოცვი ჩვეულებრივი, შავი ნაყოფებით, დაბალი ბუჩქები. ხშირია მისი გავრცელება და აგვისტოს თვეში მას ჰქონდა უხვი ნაყოფმსხმოიარობა. მასთან ერთად, ბიბერშტეინის მოცხარის გარდა, დაჯგუფებაში შერეული სახით იზრდება: *Rhamnus imeretina* Booth., *Frangula alnus* Mill. (*Rhamnaceae Juss.*), *Rubus saxifilis* L. (*Rosaceae Juss.*). ბალახოვნებიდან: ტილჭირი – *Aconitum nasutum* Fisch. (=*A. brachynasum* kem.-Nath.) (*Ranunculaceae Juss.*), 1,5 მეტრამდე სიმაღლის; *Heracleum sosnowskyi* I.Mand. (=*H.wilhelmsii* Fish. Et lall.), 1,5–2 მეტრამდე სიმაღლის.

Rhododendron luteum L. (*Ericaceae L.*), ყვითელი შექრის, იელის დომინანტობით შექმნილ ჯგუფში ბიბერშტეინის მოცხარის გარდა შერეულია სახეობები: *Acer trautvetteri Medw.*, *Viburnum lantana L.*, *Sorbus L.* გვარის წითელ და ნარინჯისფერ ნაყოფებიანი მაღალი ბუჩქები, რომელთა ზუსტი სახეობრივი სისტემატიკა საინტერესო იქნება, აგვისტოს თვეში დახუნდლულია სიმწიფეში შესული ნაყოფებით. იელი ძლიერ დომინანტობს ჯგუფში, აგვისტოს თვეში, იგი რა თქმა უნდა, უკვე ნაყოფობის ფაზაშია, დანარჩენი სახეობები, მოცხარის ჩათვლით, წარმოდგენილია ერთეული ეგზემპლარებით.

Viburnum lantana L. (*Caprifoliaceae Juss.*) – ძახველის დომინანტით არსებულ მცენარეთა დაჯგუფებაში ბიბერშტეინის მოცხარის გარდა იზრდება: *Vaccinium myrtillus L.*,

Sorbus L., Frangula alnus Mill. შავი ძახველი, უზანი, აგვისტოში წითელ და შავ ნაყოფებია. ბალახოვნებიდან: *Aconitum nasutum Fisch.*, *Heracleum sosnowskyi I.Mand.*

ამ მიდამოებში, რომელიც ძალიან ლამაზი გორაკ-ბორცვებია, ზემოთ აღწერილი ცალქეული მცენარეული დაჯგუფებების გარდა, არის ერთეული სახეობების ჯგუფები, მაგალითად: მხოლოდ *Sorbus L.*, *Viburnum lantana L.*, *Vaccinium myrtillus L.*, *Rhododendron luteum L.*, *Acer trautvetteri Medw.* და სხვა. მათ შორის სათიბი მდელოებია. გორაკ-ბორცვების განაპირა ადგილებში კი არქარ-სოჭნარ-ნაძვნარია.

რაც შეეხება, ალპურ მოცხარს, *Ribes alpinum L.*, იგი ნაკლები ინტენსივობით გვხვდება. იგი იზრდება ძალიან დაბალ მცენარეულობასთან, ჯგუფში: *Viburnum lantana L.*, *Rhododendron luteum L.*, *Vaccinium myrtillus L.*, *Rubus saxatilis L.*, *Laurocerasus officinalis L.* (ძალიან დაბალი, 0,5 მეტრამდე), *Corylus avellana L.* da sxva. *balaxovnebidan*, *garda Aconitum nasutum Fisch.*, *Heracleum sosnowskyi I.Mand.*-ისა, ამ ჯგუფში ფიგურირებენ *Hibiscus L.*, *Senecio L.* და სხვა ბალახოვნებიც.

ვეგებაციურ-გენერაციული განვითარება მაღალმთის პირობებში ნორმალურად მიმდინარეობს და აგვისტოს პირველ ნახევარში, ორივე სახეობის მოცხარი ნაყოფების სიმწიფის ფაზაშია. აგვისტოს მესამე დეკადაში ნაყოფმსხმოიარობა დასასრულს უახლოვდება. ახასიათებთ უხვი ნაყოფმსხმოიარობა.

ოფიცინალური ნედლეულია მოცხარის ნაყოფი და ფოთლები.

მოცხარი საუკეთესო სამკურნალო და საკვები პროდუქტია, იყენებენ ნედლად, გამხმარს, გაყინულს, ამზადებენ მურაბას, წვენს, ღვინოს და სხვ. მოცხარის ნედლი ნაყოფი შეიცავს ვიტამინ C-სა და ვიტამინ P-ს (1%-მდე, ასევე ჯგუფის ვიტამინებს, რკინას (0,9მგ%), კაროტინიდებს, ანტოციანურ ნაერთებს და მათ გლიკოზიდებს, ეთეროვან ზეთებს, 10–13% ნახშირწყლებს, პექტინოვან ნივთიერებებს 4,2–12,6%-მდე, 2,6–3,7%-მდე ორგანულ მჟავებს, მთრიმლავ ნივთიერებებს, ფლავონოიდებს და სხვა. განთქმულია შავი მოცხარის ღვინოებიც.

პექტინოვან ნივთიერებებს დიდი მნიშვნელობა აქვს ადამიანის ორგანიზმისათვის. ისინი ხელს უწყობენ ნაწლავებში ლაპობის გამომწვევი მიკროფლორის განადგურებას, აქვთ ეგზო- და ენდო- შხამების დეტოქსიკაციის უნარი. დადგენილია, რომ დამცავ ფუნქციას ასრულებენ რადიაციული დაზიანების დროს. პექტინი მძლავრი სორბციული და რადიოპროტექტორული თვისებებით ხასიათდება, ტოქსიკური ნივთიერებების გარდა, პექტინს აქვს ორგანიზმიდან ოქსალატებისა და მძიმე ლითონების მარილების გამოდევნის უნარი, მათ შორის კობალტის, ტყვიის, სპილენდის. საკვების ათვისების პროცესის დროს პექტინის დემეტოქსილიზაცია ხელს უწყობს მის გარდამნას პოლიგალაქტურინის მჟავაში, რომელიც უერთდება გარკვეულ მძიმე ლითონებს და რადიონუკლიდებს, რის შედეგადაც მიიღება არახსნადი მარილები, რომელთა შეწოვა კუჭ-ნაწლავის ტრაქტიდან არ ხდება და გამოიყოფიან ორგანიზმიდან განავლოვან მასებთან ერთად.

პექტინი აქტივირებულ ნახშირზე მეტად ადსორბციას უკეთებს ძმარმჟავა ტყვიას. მას გააჩნია აქტიური კომპლექსწარმომქმნელი თვისება რადიოაქტიური კობალტის, სტრონციუმის, ცეზიუმის, ცირკონიუმის, რუთენიუმის, იტრიუმის და სხვა ლითონების მიმართ პექტინის მჟავების მარილების წარმოქმნით, რომლებიც შემდეგ გამოიყოფიან ორგანიზმიდან. პექტინების დამცავი თვისება ასევე აიხსნება მათი უნარით, გააუმჯობესონ ნაწლავის პერისტალტიკა, რაც ხელს უწყობს ტოქსიკური ნივთიერებების უფრო სწრაფ გამოყოფას [3,4].

დიაბეტით დაავადებისას პექტინი ამცირებს სისხლში გლუკოზის კონცენტრაციის მომატების სიჩქარეს საკვების მიღების შემდგომ სისხლის პლაზმაში ინსულინის კონცენტრაციის ცვლილების გარეშე. პექტინს გააჩნია შემომგარსველი და დამცავი ფუნქცია, წარმოქმნის რა გელს კუჭის და ნაწლავების ლორწოვანი გარსის ზედაპირზე, იცავს მათ აგრესიული ფაქტორების ზემოქმედებისგან.

ფლავონოიდების სახელწოდება წარმოსდგება ლათინური „*Flavus*“ – ყვითელი, რადგან მცენარეული ნედლეულიდან გამოყოფილ ფლავონოიდთა უმეტესობა ყვითელი შეფერილობისაა. ადამიანის ორგანიზმში ისინი წარმოადგენენ ევექტურ ბუნებრივ ანტიოქსიდანტებს. მათ „ნატურალური ბიოლოგიური რეაქციის მოდიფიკატორებსაც“ უწყდებენ უნარის გამო, შეცვალონ ადამიანის ორგანიზმის რეაქცია

სხვა ნაერთებზე, როგორიცაა ალერგენები, ვირუსები, კანცეროგენები. ამაზე მეტყველებს მათი ანთების საწინააღმდეგო, ანტიალერგიული, ანტისიმსიგნური, ანტიმუტაგენური თვისებები.

ფლავონოიდების ბიოლოგიური თვისებებიდან ყველაზე ადრე აღმოჩენილი იქნა მათი სისხლძარღვების მედეგობის გამაძლიერებელი მოქმედება. ყველაზე ცნობილი ფლავონოიდი, რომელიც დადებითად მოქმედებს სისხლძარღვებზე – არის რუთინი (ხანდახან მას ვიტამინ P უწოდებენ). თუმცა, როგორც კალვებმა აჩვენა, რუთინის ანალოგიური თვისებები ახასიათებს ათასზე მეტ ფლავონოიდს.

ფლავონოიდებს შეიცავს კენკროვნები, მათ შორის მოცხარი, მწვანე ჩაი, კაკაო, კომში, ვაშლი, ატამი, მარწყვი, ულო, ყურძნის და წითელი ვაშლის ქანი, ბროწეული, ალუბალი, ბადრიჯანი, წითელ კომბოსტო, პროდუქტები და ხილი, რომლებიც შეფერილია ისევრად.

ადამიანის ორგანიზმში ფლავონოიდები ასრულებენ იმავე ფუნქციას, რასაც მცენარეებში – ბოჭავენ თავისუფალ რადიკალებს (რომლებიც წარმოიქმნება ულტრა-ისფერი გამოსხივებისა და რადიაციის ზემოქმედებით), იცავენ უჯრედებს მემბრანებისა და უჯრედშიდა სტრუქტურებს რდვევისაგან. ამიტომ ფლავონოიდების ბუნებრივი ექსტრაქტები, კენკროვნები, მათ შორის მოცხარი, წითელი დვინო ზომიერ ნორმებში რეკომენდებულია გამოიყენონ ადამიანებმა, რომლებიც ცხოვრობენ მაღალი რადიაციული ფრინის რაიონებში.

ფლავონოიდები წარმოადგენ ძლიერ ანტიოქსიდანტებს თავისუფალი რადიკალების წინააღმდეგ, მათ თავისუფალი რადიკალების მენაგვეებსაც უწოდებენ. მათი ეს მოქმედება დაკავშირებულია წყალბად-დონორული უნარით. მართლაც, ფლავორნოიდების ფენოლური ჯგუფი წარმოადგენს H⁺ ატომებისათვის ხელმისაწვდომ წაყროს, ასე რომ, წარმოებული რადიკალები შესაძლოა დელოკალიზდნენ ფლავონოიდის სტრუქტურის ირგვლივ. თავისუფალი რადიკალის შემბოჭავი უნარი პირველ რიგში განპირობებულია მაღალი რეაქციულობით პიდროქსილური ჩამნაცვლებლების მიმართ, რომლებიც მონაწილეობენ რეაქციაში. ფლავონოიდების ანტიოქსიდანტური ეფექტი რეალიზდება კომბინირებული მექანიზმით და აქვს სინერგიუმის უნარი ასკორბინის მჟავასა და E ვიტამინთან. ისინი რეაგირებენ, როგორც კლასიკური ფენოლური რადიკალური ინკიბიტორები.

არანაკლები მნიშვნელობა აქვს ფლავონოიდურ ნაერთთა უნარს წარმოქმნას კომპლექსები მძიმე ლითონების იონებთან, რაც არის იმის საფუძველი, რომ ზოგიერთი პოლიფენოლი ანტიდოტის სახით წარმატებით იქნას გამოყენებული მძიმე ლითონებით მოწამვლისას [4].

ფლავონოიდების ერთ-ერთ მთავარ თვისებას წარმოადგენს მათი დადებითი გავლენა დვიძლის ფუნქციაზე. ისინი აძლიერებენ ნაღველის გამოყოფას, აუმჯობესებენ მის დეტოქსინაციურ შესაძლებლობას ისეთი ნივთიერების მიმართ, როგორიცაა ბარბიტურატები, თაგვის შხამი. ორგანიზმის დეტოქსინაცია შესაძლებელს ხდის ფლავონოიდებმა გამოამჟღავნონ შარდმდენი მოქმედება. ზოგიერთი ფლავონოიდი დადებითად მოქმედებს საჭმლის მონელებაზე, ამცირებს ნაწლავების გლუკი კუნთების ტონუსსა და კუჭ-ნაწლავის ტრაქტის კუნთების საზომოლიტურ მოქმედებას.

შავი მოცხარის ნაყოფებს აშრობენ რეინის სახურავიან სხვენზე 35–40 °C 4–5 საათის განმავლობაში, შემდეგ კი 55–60 °C ტემპერატურაზე ამთავრებენ შრობას. შრობის დროს საჭიროა ნედლეულის გადარევა. მშრალი ნედლეულის გამოსავლიანობა შეადგენს 18–20%-ს ნედლ მასაზე გადაანგარიშებით.

შავი მოცხარის ნაყოფებსა და ფოთლებს იყენებენ როგორც ვიტამინურ საშუალებას სურავანდის, პიპო- და ავიტამინოზის დროს, აგრეთვე, სხვადასხვა დაავადებების გადატანის შემდეგ, რომელიც ორგანიზმს ფიტავს და ასუსტებს. დადგენილია, რომ მოცხარს გააჩნია ბაქტერიოციდული მოქმედებაც, რაც აისხება მასში შემავალი ფიტონციდებით. მოცხარის წყლიანი გამონაწვლილის ცხლად მიღება ნაჩვენებია რემატიზმის დროს. მკურნალობა საჭიროა რამდენიმე თვის განმავლობაში. მის ფოთლებში შემავალი ეთერზეთით აისხება მისი დიურეზული და ანთების საწინააღმდეგო ეფექტი. შავი მოცხარის ფოთლების თეთრ დვინოზე დამზადებული ექსტრაქტი ახდენს მატონიზირებელ გავლენას კუჭ-ნაწლავის ტრაქტზე, ნაყოფები კი სასიამოვნო და

მეტად სასარგებლო საკვებია. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, იყენებენ ხედლად, გამხმარს, გაყინულს, ამზადებენ მურაბას, წვენს, ჯემს და სხვა. მოცხარის ნაყოფები გამოიყენება საკონდიტო მრეწველობაშიც. მისგან ამზადებენ ლიქიორებს. ფოთლისგან დებულობენ ეთერზეთს, რომელიც გამოიყენება ბოსტნეულის დამწნილებისას.

მოცხარის ერთ-ერთ სახეობას, ოქროსფერ მოცხარს, იყენებენ დეკორატიული მიზნით, იგი გამოიყენება ცოცხალ დობედ და ტყისსაცავ ზოლში, იყენებენ საძირედ ხურტკმელისა და მოცხრის შტამბიანი ფორმების მისაღებად. გამშრალი ფოთლები კი ჩაის სუროგატია, შედის „ხილის ჩაის“ მრავალ ნაკრებში. ამზადებენ გამაგრილებელ სასმელებს. პოპულარულია მისი დვინოებიც. ფოთლები და კვირტები იხმარება ნაყენებისა და ლიქიორების წარმოებაში. ფოთლები იხმარება ბურახის დამზადებისას. ფოთლებს იყენებენ სოკოს, კიტრის და პომიდვრის დამწნილებისას მათი არომატიზირებისათვის.

წითელი მოცხარი, ჩვეულებრივი მოცხარი (ლათ. *Ribes rubrum*) – ველურად იზრდება ევრაზიის ტყის ზონაში. უპირატესობას ანიჭებს მდინარეებისა და ნაკადულების სანაპიროებს, ქმნის ბურქნარებს. ბურქის სიმაღლე 1–2 მ აღწევს. ყლორტი ნაცრისფერი ან მოყვითალოა. მერქანი მომწვანოა, შუაგული ლია ფერისაა. ყვავილები მოყვითალო-მომწვანო ან მოწითალო მურა შეფერილობისაა. ყვავილობს მაისში. ნაყოფი ლია მოწითალო შეფერილობის წვნიანი კენკრაა, მომჟავო, დიამეტრი 8–12 სმ. ქმნის მტევანს. მისგან ამზადებენ ჯემსა და სხვა მრავალ ნაწარმს. სკანდინავიურ ქვეწებში გამოიყენება როგორც სუპისა და პუდინგის კომპონენტი. თაფლოვანი მცვნარეა. მაღალი კეტითო ღირებულებით გამოირჩევა და დიდი რაოდენობით ჯანმრთელობისათვის სასარგებლო ნივთიერებებს შეიცავს. მის მოხმარებას ურჩევენ სამედიცინო მიზნით ართრიტების და რეგმატიზმების დროს [4,5].

მოცხარის სამრეწველო პლანტაციების შექმნა ხელს შეუწყობს მცენარის გენოფონდის შენარჩუნებას. ეს უნიკალური მცენარე მეტად ძვირფასი და შეუცვლელი ნედლეულია არამარტო სამამულო ფარმაცევტული მრეწველობისათვის, არამედ საექსპორტო პოტენციალის სერიოზული პერსპექტივაც გააჩნია. მათი ბიოლოგიური თავისებურებების გათვალისწინებით, ფერმერულ მეურნეობებში, მეცნიერულად დასაბუთებული რეკომენდაციების საფუძველზე, უნდა განვითარდეს ქავენისათვის ისტორიულად ტრადიციული, ამჟამად მივიწყებული პრიორიტეტი.

ლიტერატურა

1. კეცხოველი ნ. საქართველოს მცენარეული საფარი. -თბილისი, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა, 1959, 443გ.
2. შეოეკაური შ. საქართველოს ბურების ატლასი – მცენარეები და ცხოველები. -თბილისი, გამომც. ბაკურ სულაკაური, ISBN 9789941158599, 2013, 152 გვ.
3. კაჭარავი თ. საქართველოს სამეცნიალო, არომატული, საღებარი, თაფლოვანი, სანელებელი და შხამიანი მცენარეების ბიომრავალფეროვნება. -თბილისი, უნივერსალი, ISBN 978-9941-26-728-4; უაკ:633.88.+615.322, კ-367; 2020, 462 გვ.
4. კაჭარავი თ. და სხვ. ფიტოგენეტიკური რესურსიდან მძიმე ლითონების და რადიონუკლიდების გამომტანი მცენარეების დიფერენცირება. -თბილისი, ნეკერი, 2014, 28 გვ.
5. Aleksidze A., Japaridze G., Giorgadze A., Kacharava T. Biodiversity of Georgia, Global Biodiversity. Volume 2, Selected Countries in Europe Environmental Science/Climate Change & Mitigation, ISBN: 9781771887175, 2018, 404 p.

SUMMARY

BIOLOGICAL FEATURES OF THE CURRENT GENUS (*Ribes L.*) COMMON IN ADJARA

Memarne K.G.

Georgian Technical University

The article describes the biological features of species of the genus currant (*Ribes L.*), common in Adjara, discovered as a result of the expedition. The results of expeditionary-route studies of wild currant species growing in the highlands of the Khulo municipality of the Adjara region, in particular, in the Agara gorge, on the border of the upper and subalpine belts, at an altitude of 1500-2300m and above, above sea level. It is shown that in the mentioned gorge the distribution of wild currant species is characterized by both independent groups and coexistence in groups of low-growing trees and shrubs. Their chemical composition and use are differentiated.

Keywords: Berries, *Ribes Bibersteinii* Berl. ex DC., *Ribes alpinum* L., Biologically active substances.

დკტო „საშმის საცერავი“-ის თვისებათა პაგვირი ზარმოშობის აღილთან

მირველაშვილი მ.შ, ლამბაშიძე გ.ო, სალია ე.შ

საქართველოს სოფლის მეურნეობის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრი

ისტორიულ წყაროებში სოფელი ხაშმი „აგვაროვანი“ უძველესი დროიდან მოიხსენიება სოფლის ზეპირსიც უვიერებაში შემორჩენილია ვენახის მდებარეობის განმსაზღვრელი სახელებიც: ყორიანები, კორძიანები, შილიანები, ოოკები, ყარაბულახი. სოფლის ძელ ტერიტორიებზე, როგორც დვინის წარმოების უტყუარი მოწმე, შემორჩენილია ყურძნის გადამუშავების მიზნით აგებული დახურული ტიპის სხვადასხვა პერიოდის მარნები, ქვევრებით და მარნის ინვენტარით: საწახლები, სხვადასხვა ტიპის საღვინე ჭურჭელი [1,2]. მაგრამ არსებულ მარნებს შორის, სამაგალითოა იმ პერიოდისათვის ინვაციური ტექნოლოგიების გამოყენებით გადაწყვეტილი თავად ჩოლოვაშვილის მარანი, „სადაც ქვევრებს შორის გადიოდა წყაროს წყალი, რაც მუდმივ და საჭირო ტემპერატურას ქმნიდა“ [3]. ამგვარად იქმნებოდა ხაშმი ადგილის დასახელების განსაკუთრებული დვინო, რომელსაც, ბუნებრივი პირობების გათვალისწინებით შემუშავებულ დვინის დამზადების წესთან ერთად, განსაზღვრავდა კონკრეტულ ჯიშზე – საფერავზე მოქმედი სხვადასხვა ფაქტორები ნიადაგი, ზღვის დონიდან სიმაღლე ექსპოზიცია, ზოგჯერ კლიმატი, ან ყველაფერი ერთად, ეს აისახებოდა დვინის ხარისხზე და თვითმყოფადობაზე [6]. საკითხის მიმართ დიდი ინტერესიდან გამომდინარე, საჭიროდ ჩავთვალეთ, ჩვენს მიერ გარეკახეთში, კერძოდ საგარეჯოს მუნიციპალიტეტის სოფელ ხაშმი, შესწავლილი და გამოვლენილი გარემო პირობების მოქმედების ეფექტი წარმოგვედგინა ადგილწარმოშობის დასახელების „დვინო ხაშმის“ ქიმიურ და ორგანოლებრივ მაჩვენებლებზე.

აგროკლიმატი

ხაშმის მიკროზონა მდებარეობს გომბორის ქედის სამხრეთ დასავლეთ კალთებზე მდ. ივრის მარცხენა მხარეს საგარეჯოს მუნიციპალიტეტის (დაშორება ადმინისტრაციული ცენტრიდან 14 კმ) ტერიტორიაზე, ზღვის დონიდან 770 მეტრზე. კლიმატი აქ ზომიერად ხოტიო, ცხელი ზაფხულით და ზომიერად ცივი ზამთრით. ტერიტორიის უმეტეს ნაწილში ჰაერის ტემპერატურის მდგრადი გადასვლა 10°C -ზე ზევით აპრილის პირველ დეკადაში აღინიშნება, ხოლო 10°C -ზე ქვევით ტემპერატურა ოქტომბრის ბოლო რიცხვებში ეცემა. სავაგამტაციო პერიოდის ხანგრძლიობა 190–200 დღეა, აქტიურ ტემპერატურათა ჯამი $3600–3400^{\circ}$ ფარგლებშია. ტერიტორიაზე ატმოსფერული ნალექების წლიური ჯამი 768,6 მმ-ია. წლიური ნალექებიდან მაქსიმუმი მაისში მოდის (90–130 მმ), ხოლო მინიმუმი დეკემბერში (25–35 მმ). ხაშმის მიკროზონის ამინდის ფორმირებას განაპირობებს სუბტროპიკულ და ზომიერ განედებში განვითარებული დასავლეთიდან და აღმოსავლეთიდან გადმონაცვლებული ატმოსფერული პროცესები. ჰაერის საშუალო წლიური ტემპერატურა შეადგენს $11,4^{\circ}\text{C}$, ყველაზე ცივი თვე იანვარია. უთბილესი თვეების (ივლისი, აგვისტო) საშუალო ტემპერატურა $23–22^{\circ}$ საზღვრებში ცვალებადობს. ჰაერის ფარდობითი ტენიანობის წლიური მნიშვნელობა საშუალოდ $66–68\%$ -ის ფარგლებში მერყეობს. ჰაერის ტენით გაჯერება ყველაზე ნაკლებია ($62–64\%$) ზაფხულის თვეებში (ივლისი, აგვისტო), ყველაზე მაღალ მაჩვენებელს კი გვიან შემოღვიმაზე (75%) და ზამთრის დასაწყისში აღწევს.

ქარის საშუალო წლიური სიჩქარე მიკროზონაში $1,5 \text{ მ}/\text{წ}-\text{ი}.$ ძირითადად გაბატონებულია ჩრდილო დასავლეთის, დასავლეთის ($11,8\%$), აღმოსავლეთის და სამხრეთ-აღმოსავლეთის ($6–15\%$) ქარები. შემოღვიმაზე ქარებს სამხრეთიდან (აზერბაიჯანი) მდ. ივრის ხეობაში შემოაქვთ თბილი ჰაერის მასები, რომელსაც წინ ეღობება გომბორის ქედი, რაც კიდევ უფრო მეტად ამაღლებს ადგილმდებარეობის ანუ ექსპოზიციის სითბურ რეჟიმს. მრავალწლიანი მონაცემების მიხედვით მიკროზონაში სეტყვიან დღეთა რიცხვი წლის განმავლობაში $2,4$ უდრის. ყველაზე სეტყვიანი თვე მაისია.

ნიადაგი

სხვადასხვა მიკროზონებში ღვინის კვლევის შედეგები გვიჩვენებს, რომ ვაზზე მოქმედ სხვა კომპონენტებთან ერთად წითელ ღვინოებში ნიადაგი გადამწყვეტია. ანუ ხაშმი ნიადაგური ფაქტორების მიკროკლიმატთან შეჯერება ხელსაყრელ პირობებს ქმნის ჯიშ საფერავიდან განსაკუთრებული თვისებების მქონე ღვინის მისაღებად. „მთელ ღღეს მზის გულზეა გამოფენილი, რაც უმთავრესია სოფლის ვენახები ირწყება მდ. იორის წყლით, რომელიც მიკროელემენტებით მდიდარი თიხის ნაწილაკებით არის გაჯერებული და ამიტომ საკმაოდ ნაყოფიერია“ [5]. სრულმა ნიადაგურმა ჭრილებმა და საველე პროფილური და ლაბორატორიული კვლევის შედეგებმა გვიჩვენეს, რომ მიკროზონაში აღწერილი ნიადაგები მიეკუთვნება ყავისფერ კარბონატული ნიადაგების ჯგუფს, რომლებიც განვითარებულია ლიოსისებრ თიხნარებზე და ქვიშაქვების გამოფიტვის პროდუქტებზე (სანიმუშო ფართობი №1), ალუვიურ ნაფენებზე (სანიმუშო ფართობი №2, 3) და ხასიათდება ტუტე (8,0–8,4 და ძლიერ ტუტე (8,5–8,7) რეაქციით, სიღრმეზე ტუტიანობის მატებით, საშუალოდ მცირედ ჰუმისიანობით (2,9–3,6 %), ღრმად ჰუმუსირებით, მძიმე და საშუალო თიხნარი გრანულომეტრული შედეგებით, ზედაპირიდანვე ძლიერ კარბონატულობით (18,4–27,0%), საშუალო ან მაღალი შთანთქმის ტევადობით (32–68 მგ/ქქ/100 გ) ფუძეებით მაღალობით, შთანთქმული ფუძეებიდან ჭარბობს კალციუმი. მცენარისთვის ხელმისაწვდომი საკვები ელემენტების ფორმების შემცველობის მიხედვით შესწავლიდ ნიადაგში ძირთიადი საკვები ელემენტებიდან პილოლიზური აზოტის (50–78 მგ/კგ) რაოდენობა საშუალო ან დაბალია, სიღრმით კლების ტენდენციით, გაცვლითი კალიუმის შემცველობა ზედა პორიზონგში (300–510 მგ/კგ) მაღალი ან ძალიან მაღალია და თანხათანობით მცირდება სიღრმის მატებასთან ერთად (150–60 მგ/კგ) და საშუალო ან დაბალი უზრუნველყოფის კატეგორიაში გადადის, ნიადაგის ზედა პორიზონგი საშუალოდ (21–27 მგ/კგ) ან მცირედ უზრუნველყოფილია (7–12 მგ/კგ) მოძრავი ფოსფორით, ხოლო ქვედა პორიზონგებში ხელმისაწვდომი ფოსფორის შემცველობა მნიშვნელოვნად მცირდება.

ჯიში საფერავის სამეურნეო-ტექნოლოგიური დახასიათება

საფერავი სამეურნეო დანიშნულებით ვაზის წითელი ჯიშების საუკეთესო წარმომადგენელია. აკადემიკოს ივანე ჯავახიშვილის ცნობით საფერავმა არსებობის ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში გარემო პირობების ხშირი და მკვეთრი ცვალებადობის ხელშეწყობით წარმოქმნა განსხვავებული ფორმები – ვარიაციები. ასხვავებენ საფერავის რამდენიმე ვარიაციას: მართალ, ცრუ, დედალ, მრგვალმარცვალა, წვრილმარცვალა, ბუდეშურისმაგვარ საფერავს, გარდა ჩამოთვლილისა ფრანგულ ამცელოგრაფიებში პიულია, ოდარი, ვიალა, ვერმოლი მოხსენიებულია დიდი საფერავი, პატარა საფერავი, კახეთის საფერავი, კრიკინა საფერავი. მათ შორის მსხვილმარცვალა – საფერავი № 359 და ბუდეშურისებრი საფერავი – ბოლოებწარგებული მარცვლებით და ხააღრევი სიმწიფით [4]. კახეთის რეგიონში მევნახეობის სხვადასხვა სპეციფიკურ ზონებში (ქინძმარაული, მუკუზანი, ნაფარეული, ზეგაანი, ახაშენი) საფერავი მასზე მოქმედი გარემო პირობების გავლენით იძლევა მაღალი ხარისხის სხვადასხვა ტიპის ღვინოს: მშრალი, ბუნებრივად ნახევრადტკბილი, სადესერტო, კახური-ტრადიციული [7].

საფერავისთვის დამახასიათებელია საშუალოზე ძლიერი ზრდა და საშუალო მოსავლიანობა 6–7 ტონა 1 ჰა-ზე. მტევნის საშუალო წონა 140–145 გრამია. მწიფე ურძენში შაქრიანობა 24–26 გ/დმ³-ს, ხოლო მჯავიანობა 7,5–8,5 გ/დმ³-ს აღწევს [6].

ღვინო ხაშმი

ადგილწარმოშობის დასახელების კონტროლირებადი უმაღლესი ხარისხის წითელი ღვინო „ხაშმის საფერავი“ მზადდება საფერავის ჯიშის ყურძნისგან დურდოს სრული ალკოლური დუღილის გზით. ჩვენი კვლევებით ხაშმის მიკროზონაში ზღვის დონიდან სხვადასხვა სიმაღლეზე (700, 750, 770 მ) საფერავიდან დამზადებული ღვინის სამი ნიმუშის შეფასებით გამოვლენილია პარამეტრების სიახლოვე (მოცულობითი სპირტშემცველობა არანაკლებ 10,5%), რაც ადგილწარმოშობის შიგნით ჰომოგენურობის მაჩვენებლია. ღვინო შეფერილობით მუქი წითელია და ასაკთან ერთად ცნობილი კანონზომიერების მიხედვით კანტის ზონაში იცვლება მოიისფერო

ნიუანსიდან მუქი აგურისფერისკენ; არომატი ხასიათდება ჯიშური თავისებურებებით, ინტენსიური წითელი ხილის ტონებით, მუვე ალუბლის, ქლიავის, მწიფე ბლის, ტუემლის და სხვა კურკოვანი და კენკროვანი ხილის ტონების დომინანტურობით. ნაკლებად გამოხატული ალკოჰოლიანობით.

ლიტერატურა

1. სულხან-საბა ორბელიანი. ლექსიკონი ქართული, ტ I, 1991.
2. სუმბაძე ლ. ქართული მარნის ხუროთმოძღვრება ძეგლის მეგობარი. №16 1968, გვ. 37-41.
3. ქარუმიძე ვ. ქარუმიძე ნ. ხაშმი. თბილისი, ცოდნა, 2002, გვ. 73-77, გვ. 37, გვ. 213.
4. ქოქრაშვილი ზ. ქართული ფენომენი დვინო და დვინის დვთაება. ბადაგონი საქატენტი 2004, გვ. 143.
5. დეკანოსიძე თ., კობაიძე თ., გოგიტიძე ვ., მირველაშვილი მ. საფერავის ჯიშური, აგროეკოლოგიური და ტექნოლოგიური პოტენციალი შიდა კახეთში. /საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის მოამბე, თბილისი 2006, ტ. 18, გვ. 55-60.
6. ტაბიძე დ. კახეთის ვაზის ჯიშები. –თბილისი, ტექნიკა და შრომა, 1954, ტ. II, გვ. 69-84.
7. გოგიტიძე ვ, დლონტი თ., ჩხარტიშვილი ნ. აგროეკოლოგიური პირობების გავლენა სუფრის დვინოების ხარისხზე შიგა კახეთში. // ვაზი და დვინო, თბილისი, 2006, ტ. 5, გვ.30.

SUMMARY

CONNECTION OF KHASHMI SAPERAVI CHARACTERISTICS WITH THE PLACE OF ORIGIN

Mirvelashvili M.Sh., Gambashidze G.O. and Salia E.Sh.

Georgian Agricultural Scientific Research Center

Environmental factors operating in Khashmi microzone have a special impact on the agricultural-technological indicators of Saperavi grapes. Helps to ferment this grape to make the highest category red dry wine of the appellation of origin "Khashmi Saperavi", the aroma of which is characterized by varietal characteristics, in particular, intense and with dominance of red fruit tones, sour cherry, plum, ripe bliss etc., but also with less alcoholism.

Keywords: Khashmi microzone, environmental factors operating, khashmi saperavi characteristics.

სელოვნური განგური და მისი მიზანებისა მიკვერცხულ მაცრინველებაში

ნოზაძე თ.პ.

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

დღეისათვის, როგორც სანაშენე ისე ინდუსტრიულ მეფრინველეობის უკანმებში უმნიშვნელოვანესი საკითხია კერცხმდებელი ფრინველის ექსპლუატაციის გახანგრძლივება – წარმოებული პროდუქციის რაოდენობრივი და ხარისხობრივი მაჩვენებლების ზრდა. აღნიშნულის მიღწევა კი შესაძლებელია ფრინველის ანატომიური, ფიზიოლოგიური და ბიოლოგიური თავისებურებების შესწავლის შედეგად, რათა უფასებური ზემოქმედება მოვახდინოთ ფრინველის პროდუქტიულ მაჩვენებლებზე.

ფრინველის ერთ-ერთი დამახასიათებელი ბიოლოგიური თავისებურებაა ბუმბულის საფარისა და კანის ეპიდერმისის სტრუქტურული ელემენტების პერიოდული ცვლა, რასაც განგური ეწოდება. განგური ფრინველებში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პროცესია, რომელსაც გარეულ ფრინველებში სეზონური ხასიათი აქვს და სრულდება შემოდგომისთვის, თბილ ქვეწების გადაფრენამდე, სწორედ ამიტომ განგური შესაძლოა ჩაითვალოს ფრინველის ადაპტირების უნარი გარემო პირობების ცვლილებისადმი, რომლის უნარიც შინაურმა ფრინველმა მემკვიდრეობით მიღოთ თავისი გარეული წინაპრისგან.

ზემოაღნიშნული თავისებურების გათვალისწინებით ინდუსტრიულ მეფრინველეობის ფერმებში კვების რეჟიმისა და მიკროკლიმატის პირობების მანიპულირებით ფრინველის ხელოვნური განგურის გამოწვევა და გამოყენება ერთ-ერთი მეთოდია, რომლის დახმარებითაც შესაძლებელია მეკვერცხული პროდუქტიულობის ზრდა მ.შ კვერცხის საინკუბაციო თვისებების გაუმჯობესება, ამასთან, ძალზედ დიდია ხელოვნური განგურის მნიშვნელობა კვერცხმდებელი ფრინველის ექსპლუატაციის გახანგრძლივების საკითხში, რითაც შესაძლებელია მისი შენახვის ფინანსური, ადამიანური და ტექნიკური დანახარჯების შემცირება [1].

პირველი ცდები ხელოვნურ განგურზე 1900 წელს აშშ-ში ჩატარდა, ხოლო 30-იანი წლებიდან ფრინველის კვერცხის მწარმოებლებმა აქტიურად დაიწყეს მისი გამოყენება წარმოების რეგულირებისა და მეკვერცხული პროდუქტიულობის გაუმჯობებისთვის.

ხელოვნური განგურის ქვეშ იგულისხმება ფრინველის ორგანიზმები სტრესს-ფაქტორის ზემოქმედებით, მორფოლოგიური, ფიზიოლოგიური და ფუნქციონალური ცვლილებების გამოწვევა, რომელიც იწვევს ორგანიზმიდან მავნე ნივთიერებისა და ზედმეტი ცხიმის გამოდევნას, ბუმბულის ცვლას, ცოცხალი მასის შემცირებას, კვერცხმდებლობის დროებით შეწყვეტას და კვერცხმდებლობის ახალი ციკლის გამოწვევას.

ხელოვნური განგურის გამოწვევის მეთოდები

დღეისათვის მეფრინველეობაში ხელოვნური განგურის გამოწვევ სხვადასხვა სტრეს-ფაქტორებს იყენებენ და ახდენენ დაკვირვებას რამდენად ადეკვატურად რეაგირებს ფრინველი და რამდენად უფეხტურად ხდება პროდუქტიული მაჩვენებლების რაოდენობრივი და ხარისხობრივი მახასიათებლების ზრდა.

სტრეს-ფაქტორების მიხედვით განასხვავებენ ხელოვნური განგურის გამოწვევის შემდეგ მეთოდებს:

1. კლასიკური მეთოდი;
2. ხოოგექნიკური მეთოდი;
3. ჰორმონალური მეთოდი;
4. ქიმიური მეთოდი;
5. განგურის გამოწვევა მიკროელემენტებით [2].

კვლევითი ნაწილი

საქართველოში დარგში არსებული მრავალი გამოწვევის: საკვები ბაზის სიმცირის, საზღვარგარეთიდან საინკუბაციო კვერცხის და ერთდღიანი წიწილის სრუ-

ლად იმპორტზე დამოკიდებულების, კომბინირებული საკვებისათვის საჭირო ინგრედიენტების, წარმოებისთვის საჭირო მოწყობილობა-დანადგარების იმპორტის და მეფრინველების დარგში ჩართული წვრილი ფერმერული მეურნეობების მძიმე სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გამო და განსაკუთრებით დღვევანდელ პერიოდში მსოფლიო პანდემიით გამოწვეული შექმნილი ვითარების გამო, რა დროსაც ვერ ხერხდება ქვეყანაში ერთდღიანი წილის გაგმური შემოყვანა და შესაბამისად ადგილი აქვს წარმოების ციკლის ჩავარდნას, აქტუალური საკითხი და დიდი გამოწვევა ისეთი კვლევების ჩატარება, რომელიც სათანადოდ უპასუხებს ზემოაღნიშნულ გამოწვევებს და რესურსების რაციონალურად გამოყენებით – ფრინველის ექსპლუატაციის გახანგრძლივებით, მნიშვნელოვან წვლილს შეიტანს სასურსათო უსაფრთხოებასა და ეკონომიკურ მდგრადობაში.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე კვლევის მიზანს წარმოადგენს წვრილი ფერმერული მეურნეობის მაგალითზე შეგვესწავლა მეკვერცხულ ფრინველში მინიმალური დანახარჯებით ხელოვნური განგურის ჩატარების ეკონომიკური ეფექტურობა, მულტივიტამინოვანი, მინერალური ნივთიერებებისა და ელექტროლიტების შემცველი „განასუპერვიტ პლიუს“ დანამატის გავლენის შესწავლა განგურის პროცესზე და მთელ ექსპლუატაციის პერიოდზე: ფრინველის შენარჩუნებაზე, კვერცხდების ინტენსივობაზე, ცოცხალ მასაზე, მიღებული პროდუქციის რაოდენობასა და ხარისხზე, ამასთან აღნიშნული მაჩვენებლების შედარება განგურ გაუვლელი გუნდის მეკვერცხულ პროდუქციასთან, რათა მოხდეს სხვადასხვა გუნდიდან მიღებული სასურსათო კვერცხის თვითდირებულების ეკონომიკური გაანგარიშება.

კვლევის მიზნებიდან გამომდინარე ჩვენს მიერ გამოყენებულ იქნა ზოოტექნიკური მეთოდი და შერჩეულ იქნა ახმეტის რაიონ სოფელ ხორხელში მდებარე მეკვერცხული მიმართულების მეფრინველების ფრთა: სულ ორი საფრინველე – 8600 ფრთა ქათმის ტევადობით, საშუალო კვერცხმდებლობა 80%, ფრთაში გამოყენებულია ქათმის შენახვის გალიური სისტემა, სადაც კვებასთან, დაწყურებასთან, ნაკლის გატანასთან და პროდუქციის შეგროვებასთან დაკავშირებული ყველა პროცესი ავტომატიზირებული და მექანიზირებულია, შენობაში ასევე განთავსებულია ზოოპიგინური ნორმების დაცვისთვის ყველა საჭირო აღჭურვილობა.

ცდები ტარდებოდა მეკვერცხული მიმართულების ქათმის 4 ხაზიან კროს „ლომან LSL კლასიკ“ „, საცდელი სულადობა 72 კვირის ასაკის 2000 ფრთა ქათმი, საშუალო ცოცხალი მასა 1,5 კგ (ცხ.1) [3].

ცხრილი 1. 4 ხაზიანი კროსი „ლომან LSL კლასიკ“-ს დახასიათება

მეკვერცხული პროდუქტიულობა	ასაკი 50% კვერცხმდებლობისას	140 – 150 დღე
	კვერცხმდებლობის პიკი	92 – 95%
	12 თვის მეკვერცხული პროდუქტიულობა	305 – 315 ცალი
	წარმოებული კვერცხის მასა წელიწადში	19,0 – 20,0 კგ
	ერთი კვერცხის საშუალო მასა წელიწადში	62,0 – 63,0 გ
კვერცხის დახასიათება	ნაჭუჭის ფერი	თეთრი
	ნაჭუჭის გატეხვის სიმძლავრე	40 H
საკვების მოხმარება	1 – 20 კვირა	7,0 – 7,5 კგ
	პროდუქცია	105 – 115 გ/დღეში
	საკვების ათვისება	2,0 – 2,2 კგ/კგ კვერცხის მასა
ცოცხალი მასა	20 კვირაში	1,3 – 1,4 კგ
	წარმოების ბოლოს	1,7 – 1,9 კგ

კვლევის დაწყების წინ დაგეგმილი ექსპლუატაციის პერიოდის და სასურველი პროდუქტიულობის მაჩვენებლების მიღების მიხედვით განისაზღვრა ხელოვნური განგურის პერიოდი:

1. წინასწარი (მოსამზადებელი) პერიოდი – წინასწარ (მოსამზადებელი) პერიოდში განგურის ეფექტურობისათვის, ხანგრძლივი ექსპლუატაციის პერიოდის-

თვის და პროდუქტიულობის მაქსიმალურად ზრდისთვის ფერმერს მივეცით რეკომენდაცია განგურის დაწყების წინ ქათმის ცოცხალი მასის, მეკვერცხული პროდუქტიულობის, განგურამდე გუნდის მდგომარეობისა და შენახვის სისტემის გათვალისწინებით მოქმედინა სულადობის განგურის წინა წუნდება, გუნდიდან ავადმყოფი, სუსტი, არაერთგვაროვანი ფრინველის გამოწუნება და ერთგვაროვანი სულადობით საფრინველის დაკომპლექტება, ოუმცა შენობასთან, ელექტროენერგიასთან და მუშა ხელის დამატებითი ხარჯების თავიდან აცილების მიზნით მოხდა ერთ საფრინველები – სამ იარუსიან გალიებში არაერთგვაროვანი სულადობის დასმა და განგურისთვის მოსამზდებელი პერიოდის გავლა. მინიმალური და მაქსიმალური ცოცხალი მასის მაჩვენებელი მერყეობდა 1,1 კგ-დან 1,5 კგ-მდე.

2. სტრეს-ფაქტორის ზემოქმედების პერიოდი – 1-9 დღის განმავლობაში ქათმის წყალთან ერთად მულტიფიტამინოვანი, მინერალური ნივთიერებებისა და ელექტროლიტების შემცველი „განასუპერვიტ პლიუსი“ ეძლეოდა თავისუფლად (1 ტონა – 250გრ). საკვების მიწოდება არ ხდებოდა, საკვები ნივთიერებებიდან ეძლეოდა მხოლოდ კირქვა (1 ფრთა: 6–8 გრ), სინათლის ხანგრძლივობა 2–3 სთ, ხოლო სინათლის ინტენსივობა ნორმაზე 1/3-ით ნაკლები. სტრეს-ფაქტორის ზემოქმედების პერიოდი გაგრძელდა 9 დღე, რა დროსაც სულადობის საშუალო დაცემის პროცენტი 2-3%-ს მიაღწია.

3. კვერცხდების დაწყების პერიოდი – მე-9-ე დღიდან 5-6 დღის განმავლობაში დაგემილი წონის კლების 25–30% მიღწევის შემდეგ, ფრინველს მიეწოდებოდა საკვები 1 ფრთაზე – 30გ ოდენობით. სინათლის ხანგრძლივობა 4 სთ, ხოლო სინათლის ინტენსივობა არ აღემატებოდა 6–8 ლუქსს. ყოველი კვირის თავზე ხდებოდა 10–20 გ საკვების მომატება და კვერცხდების დაწყების პერიოდში, როდესაც კვერცხმდებლობამ მიაღწია 10%-ს საბეჭის რაოდენობა შეადგენდა 100 გ კომბინირებულ საკვებს, 30–40% კვერცხმდებლობის მიღწევისას 105გ. სინათლის ხანგრძლივობა 13 სთ, ხოლო ინტენსივობა 10 ლუქსი.

4. კვერცხდების პიკზე გასავლის პერიოდი – პიკზე გასავლა მოხდა იმ რაოდენობის საკვებით, რა რაოდენობასაც ქათმი იღებდა კვერცხდების I პერიოდში პიკის დროს – 110გ, სინათლის ხანგრძლივობა 14 საათი, ხოლო ინტენსივობა 10 ლუქსი. კვერცხმდებლობის ინტენსივობამ 85–86%-ს მიაღწია განგურის დაწყებიდან 95–98-ე დღეს. პიკის ხანგრძლივობამ შეადგინა საშუალოდ 18 დღე.

5. პროდუქტიული პერიოდი – პროდუქტიული პერიოდი გაგრძელდა 8 თვემდე (ცხრ.2).

ცხრილი 2. საშუალო პროდუქტიული მაჩვენებლები განგურის შემდგომ პერიოდში

საშუალო პროდუქტიულობა (%)	75,4
საშუალო პროდუქტიულობა 1 ფრთაზე (ცალი კვერცხი)	180,96
თვის საშუალო პროდუქტიულობა 1 ფრთაზე (ცალი კვერცხი)	22,6
კვერცხის საშუალო მასა (კგ)	11,580
კვერცხის კატეგორიათა თანაფარდობა (%)	ნული კატეგორია – 85 I კატეგორია – 12 II კატეგორია – 2 დაზიანებული კვერცხი – 1
საბეჭის მოხმარება 1 ფრთაზე (გ)	110
სულ მოხმარებული საკვები (კგ)	26,4

ზემოაღნიშნულ კვლევის შედეგებზე დაყრდნობით ხელოვნური განგურის გამოყენებით კვერცხმდებელი ფრინველის ექსპლუატაციის გახანგრძლივება და არსებული რესურსების რაციონალურად გამოყენებით წარმოებული პროდუქციის რაოდენობრივი და ხარისხობრივი მაჩვენებლების ზრდა ეკონომიკურად ძალზედ გვექ-

ტიანია, განსაკუთრებით დღევანდელ პერიოდში, როდესაც ადგილი აქვს მსოფლიო პანდემიით გამოწვეულ ეკონომიკურ კრიზისს.

ლიტერატურა

1. ნოზაძე რ. ხუციშვილი მ. ზავრაშვილი ვ. მეფრინველების პროდუქტების წარმოების და გადამუშავების ტექნოლოგია. - ობილისი, ახალგაზრდა ფერმერთა სახლი. 2007, გვ. 3–416.
